



ისტორიული მემკვიდრეობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2013 წ. თებერვალი, №2 (31), ფასი 3 ლარი



„ეს წელიწადი — 2013 წელი არის საიუბილეო წელი, მეცნიერები ფიქრობენ, რომ სრულდება 800 წელი თამარ მეფის გარდაცვალებიდან. არის სხვა თარიღებიც, მაგრამ უმეტესობა თანხმდება, რომ თამარ მეფე 800 წლის წინ გარდაიცვალა. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ამ წელიწადს დაერქვას თამარ მეფის წელი. წმინდა თამარ მეფის ლოცვა შეენიოს სრულიად საქართველოს“.

ილია II

ივ. ჯავახიშვილის
სახელობის
უნივერსიტეტი
4 სიტატი
95 წლისა

დავითიანი
გულვა
8 ნოვუბიკა

დიმიტრი
უზნაძე —
ქართული
11 ფსიქო-
ლოგიური
სკოლის
ფუძემდებელი

17 ილია
ჭავჭავაძე
პრესის
თავის-
უფლებისა
და დანი-
შნულების
შესახებ

არჩილ
ბელოვანი —
საინჟინრო
22 ჯარების
მარშალი

რუსეთი
25 დგან იმ
უდიდეს
წმინდანებზე,
რომლებიც
დღესაც
გაუხრწელად
ასვენია
ეკლესიებში

საქართველოს
რეპრეზენტანტი
ბრძოლას
31 უნივერსიტეტის
70-ე
პროფესორი
შეენიოს...



შალვა ნუსუბიძეს ხშირად
უთქვამს, რუსთაველმა
გაღამარჩინაო, რადგან
მისი და სტალინის ინტერესი
„ვეფხისტყაოსნისადმი“
დაემთხვა ერთმანეთს

Воспоем Тamar-царицу, кровь слезя потоком красным,
Я и раньше пел ей гимны, стих ведя путям по разным.
Глаз-озер писал я чернью и пером, как стан, прекрасным.
Песнь моя вонзится в сердце копием сердцеобразным.

ამონარიდი „ვეფხისტყაოსნის“ შალვა ნუსუბიძისეული თარგმანიდან

სარჩევი

იუბილე

- **ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი 95 წლისაა** 4
- **დაუვიწყარი ვალვა ნუხუბიკა** 8

- პროფესორი სპოლოს სათავებეთან
- **დიმიტრი უზნაძე – ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი** 11

- პრესა და საზოგადოება
- **ილია ჭავჭავაძე პრესის თავისუფლებისა და დანიშნულების შესახებ** 17

- სახელოვანი ქართველები
- **არჩილ გელოვანი – სინეინრო ჯარების მარშალი** 22

- ერთმორწმუნეობა
- **სინაეფილელი რუსეთი დგას იმ უდიდეს წმინდანებზე, რომლებიც დღესაც გაუხრწებლად ასვენებენ ეკლესიებში** 25

- მეტერანი
- **გივი გელოვანი: დემოკრატიულმა წყობამ თავი „ისახელა“ ხალხის ანიოკებით, დაყარა ღვთისმეტყველებით, გაღატაკებით, ჩაგვრით და არაფრადთან სროვის ზღაპრულად გაფიქრებით!** 27

- განათლება
- **ჯემალ მეგონია: სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლას უნივერსიტეტის 70-მდე პროფესორი შეენიჭა, გვირს ჯანერთალოვის მდგომარეობა უკიდურესად დაუემიედა...** 31

- რანი ვიყავით, რანი ვართ
- **ქლიერი სოფელი – ქლიერი საქართველო** 34

- ქართული პრესა 30 წლის წინ
- **ნინ ნავედით თუ უკან** 37

- ისტორია
- **გორა ჯაფარიკა: ახალი არაბული წყარო XIII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის** 42

- საოჯახო ალბომი
- **ფოტოები არასოდეს კვლავა** 46

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი ღბრეჟან ანდრიაძე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი 95 წლისა

1871 წელს თბილისი რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ს მასპინძლობდა. ამ დროისათვის სამოღვაწეო ასპარეზზე უკვე გამოსულნი იყვნენ ქართველი 60-იანელები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. სწორედ მათი გავლენით, საგანგებოდ ამ შემთხვევის გამო მოწვეულმა თავადაზნაურობის ყრილობამ დაადგინა, იმპერატორისთვის უნივერსიტეტის გახსნა ეთხოვათ. თუმცა, ბოლო წუთს ძველი თაობის წარმომადგენლებმა თავისი გაიტანეს და თავადაზნაურთა მარშალ რევაზ ანდრონიკაშვილის ხელით ალექსანდრე მეორეს სულ სხვა „ადრესი“ გადასცეს, რომელშიც თბილისში კადეტთა კორპუსის გახსნას ითხოვდნენ. იმპერატორმა დიდი სიამოვნებით დააკმაყოფილა ქვეშევრდომთა თხოვნა.



ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო კერის შექმნა გადაიდო, მაგრამ იმედი და ზრახვა მისი დაფუძნებისა არ გამქრალა. 1900 წელს გერმანიიდან სამშობლოში დაბრუნებულ ილია ჭავჭავაძეს საზოგადო მოღვაწემ, პედაგოგმა და პუბლიცისტმა **ნიკო ცხვედაძემ** (1845-1911წწ.) სასიხარულო ამბავი დაახვედრა, რომ მალე ქალაქის განაპირა ადგილას, ვერაზე, თავადაზნაურთა სკოლის ახალი შენობის ასაგებად გაჭრიდნენ საძირკველს.

საქმეს უშუალოდ ნიკო ცხვედაძე უძღვებოდა. მისი თაოსნობით დაარსდა თბილისში პირველი ქართული სკოლა, რომელიც შემდეგ გიმნაზიად გადაკეთდა. გიმ-

ნაზიას თავისი შენობა არ ჰქონდა და ერთი ნაქირავები სახლიდან მეორეში გადაჰქონდათ. გადანყვდა გიმნაზიისთვის ცალკე შენობის აგება. ნიკო ცხვედაძე სათავეში ჩაუდგა ამ საქმეს და ვერაზე, ვარაზისხევთან, გაბაშვილებისგან 12 დღიური მიწა შეიძინა. ეს საიდუმლოდ გააკეთა, ემინოდა, საქმეს ჩამიშლიანო. მხოლოდ „შეთქმულთა“ ვინრო წრისათვის იყო ცნობილი, რომ შენდებოდა არა სკოლა, არამედ სასახლე, სადაც მომავალი ქართული უნივერსიტეტი დაიდებდა ბინას. ამაზე მეტყველებდა შენობის მასშტაბებიც და ის ენთუზიაზმიც, მის ასაშენებლად ნებართვის აღებას, ადგილის გამონახვას და, რაც მთავარია, თანხების მოძიებას რომ ახლდა თან.

ნიკოს მადა გაეხსნა, ორსართულიან შენობას კიდევ ორი სართული დაუმატა და დავით სარაჯიშვილს მიადგა. მარტო სარაჯიშვილის ფული რას ეყოფოდა და ცხვედაძემ „ყაჩალობას“ მიჰყო ხელი, „ძარცვადა“ ყველას — თავადაზნაურობას, ბანკს, მდიდარ ვაჭრებს შინ თუ გარეთ, ესტუმრებოდა და ისე ოსტატურად წარმართავდა საუბარს, რომ „მსხვერპლს“ ფულს მაინც ართმევდა. **„მე მას „ბანდიტს“ ვუნოდებდი, — ამბობდა ბიორბი ბაბრატონ-დავითაშვილი, —** მართალია, მას არა ჰქონდა თან რევოლვერი და ჯერ არ შესჩვეოდა გამოთქმას „ხელები ზევით“, მაგრამ... მან შექმნა ბანდიტიზმის ისეთი კატეგორია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სთესავს მხოლოდ ბედნიერებასა და სიხარულს“. ქართველ თავადაზნაურთა ნაწილი არ ცხრებოდა, აშკარა პროტესტს გამოთქვამდა, — ჩვენი ბანკი ამდენ ფულს გასცემს, მშენებლობა ჭიანურდება, ფული უაზროდ იყრება. ეს ვილაც ცხვედაძეა, ილიამ გაათამამა და, რასაც უნდა, იმას სჩადისო. რაზეც ნიკო პასუხობდა: **ყულაბებს დავდგამ ქურაში, სულ გროშებს მოვაგროვებ და ასე დავამთავრებ ამ შენობასო.** მოიწვევდნენ კრებაზე. ეს აღელვებული ხალხი ერთბაშად მიჩუმდებოდა, როცა თვალწინ წარმოდგებოდა გულკეთილი, გულუბრყვილო,



ნიკო ცხვედაძე

მაგრამ ხმა მაინც გავარდა და ატყდა ერთი ამბავი: — ვერის ტურებისა და მელებისთვის უყიდია სკოლის ადგილი და ქართველი ყმანვილები ელებუა მენახშირისა და მეშეშეებისკენ უნდა გარეკოსო.

1899 წელს ნიკომ მოიწვია მაშინ საკმაოდ ცნობილი ახალგაზრდა ქართველი ხუროთმოძღვარი სვიმონ კლდიაშვილი (1865-1920) და მანაც 1900 წლის შემოდგომისთვის უკვე დასრულებული პროექტი წარმოადგინა. **1900 წლის 14 ოქტომბერს ქართული გიმნაზიის ახალი შენობის საძირკველი აკურთხეს.**



მუდამ მოლიმარი კაცი და დაინყებდა ლაპარაკს ტკბილად, ისე გატაცებით, რწმენით, — ეს საქმე საშვილიშვილოა, საჭიროა ქართველებისთვის და ხარჯს არ ელატებაო. ძალზე ახლობლებს კი ერთხელ უსაყვედურა კიდეც: „რას ჩამაცვივდით თქვენი სათავადაზნაურო გიმნაზიით, თითქოს მასზე ჩამონყვეტილიყოს ქვეყნის ბედი. ნუთუ უკეთესის, უფრო დიდი რამის წარმოდგენის უნარი დაგკარგვიათ? ნუთუ სამუდამოდ გამოეთხოვეთ იმ იმედს, რომ ქართველებს შეიძლება თავიანთი უმაღლესი სასწავლებელი ჰქონდეს? მე რომ ვარაუდში მარტო სათავადაზნაურო გიმნაზია მქონდეს, ხვალვე გადავხურავდი შენობას, რადგან ისიც დაიტევს გიმნაზიას, რაც გაკეთებულა... მაგრამ სად მოათავსებთ უმაღლეს სასწავლებელს, ვინიციობაა, დადგა ის სანეტარო წამი? ახალს ააშენებთ? ვაი, რომ ვერ ააშენებთ“.

ყველაფერს ინიშნავდა: ზუბალაშვილისა და სარაჯიშვილის შემოწირულობით დაწყებული, ორიოდ კილო ლურსმნის შემომწირველით დამთავრებული. მაგრამ ხარჯთაღრიცხვას არ აჩენდა: „მე რომ ნამდვილი ხარჯთაღრიცხვა წარმედგინა, თქვენ ამ შენობას თვალითაც ვერ ნახავდითო“.

ერთხელ ნიკოს სიმწრით მოგროვილი ფული მოპარეს. გაიგო, ვინც იყვნენ ქურდები, მაგრამ არ უჩივლია მათთვის, — სინდისმა გაასამართლოსო.

ეს შენობა მილიონ ოქროს მანეთზე მეტი დაჯდა. ამოდენა ფულის შოვნას მაშინდელ საქართველოში ფიქრადაც ვერავინ გაივლებდა, მაგრამ ნიკო ცხვედაძემ ეს შეძლო. „ქართველებს მოწყალების გაღება ასწავლაო“, — ამბობდა მასზე ზაძარია ჭინაძე.

იყვნენ ისეთებიც, ცხვედაძეს ეჭვის თვალთ რომ უტყვერდნენ, ბანკის დამფუძნებლები კი ილიას საქციელს უწუნებდნენ: „რას აყოლიხარ ამ გადარეულს, ამხელა შენობა რისთვის გვჭირდებაო“. ხანაც დასცინოდნენ: „შენს აშენე-



ბულ სკოლაში ტურები და მგლები თუ ისწავლიან, თორემ ბავშვები იმ გადაკარგულში ვერ ივლიანო“. ყველა სიძნელე უკან დარჩა და მშენებლობა დაიწყო. აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის გავრცელებული პრაქტიკის თანახმად, ამ გრანდიოზული შენობის დაპროექტება არა რომელიმე ცნობილ უცხოელს, არამედ ახალგაზრდა ქართველ ატიტექტორ სიმონ კლდიაშვილს მიახდეს. ამ კეთილშობილი გვარის შვილმა სამუშაოც კეთილსინდისიერად შეასრულა და 1906 წელს მშენებლობა დასრულდა.

მშენებლობაზე მისვლა ჰყვარებია წმინდა ილია მართალს და ახალგაზრდებს ხშირად ეუბნებოდა: „თქვენ მერე დააფასებთ ნიკოლოზ აღმაშენებლის ღვაწლსო“.

ამდენმა შრომამ, ნერვიულობამ, ტვირთმა დაასწავლა ნიკოლოზი, მაგრამ საქმე მაინც ბოლომდე მიიყვანა.

ძნელია, ისაუბრო ნიკო ცხვედაძეზე და არ გაიხსენო დიდი იაკობ გოგებაშვილი, მათი სანაქებო მეგობრობა, მამულიშვილობა. ერთ დღეს სემინარიიდან „ქართული სეპარატიზმისთვის“ გამოძევებულმა იაკობმა თავისი საბუთები ცეცხლში შეყარა და მასავით შერისხულ ნიკოს უთხრა: „დავწვი ჩემი გემები, სამსახურში შესვლის სურვილი რომ არ გამღვიძებოდა.

ამიერიდან მთელი ჩემი სიცოცხლე, ძალა და ენერჯია ჩემს ქვეყანას უნდა მოვახმაროო“. აღტაცებულმა ნიკომ დაუდასტურა, „ქვეყნის სამსახურს არც მე გავექცევი, ვფიცავ პატიოსნებას და ქვეყნის მომავალსო“.

„როგორც ილია და აკაკი ერთად იხსენიებოდნენ, ვით ქართული ლიტერატურის მესვეურნი, ისე იაკობ გოგებაშვილი და ნიკოლოზ ცხვედაძე, ვით ქართული განათლების მესვეურნი“, — წერს ილია ზურაბიშვილი. მსახიობ მაკო საფაროვა-აბაშიძის მონათხრობიც გავიხსენოთ: იაკობი მისთვის ვანო მაჩაბელს გაუცნია. მაკოს ძალიან გახარებია და ღიმილით უთქვამს: „ეს თქვენა ბრძანდებით ცხვედაძე-გოგებაშვილი? დარწმუნებული ვიყავი, რომ ერთი ადამიანი ატარებდა ამ ორ გვარს. არასოდეს ეს გვარები ცალ-ცალკე არ გამიგონია... ასე რომ, ჩემს წარმოდგენაში ისინი გაერთიანებულნი იყვნენ“.

„ისინი იყვნენ ქართული სკოლის ფანატიკოსები და მისი ნამდვილი შემქმნელები — ეს იყო მათი სიცოცხლის მიზანი“, — ბრძანებს არტურ ლაისტი. ილია ზურაბიშვილი კი ერთ სახალისო ამბავს იხსენებს: „ერთხელ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურების წინამძღოლი, კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანბატონი, საქართველოს მაშინდელ ეგზარ-

ქოსხთან სლავთა განმანათლებელ, მოციქულთა სწორ კირილესა და მეთოდეს ხსენების დღის მისალმობად მისულა. ეგ ზარხოსს უკითხავს, — ქართველები არ ზემოთ ამ წმინდანების დღესო?

— არა, ჩვენ ჩვენი კირილე და მეთოდე გვყავს — ცხვედაძე და გოგებაშვილიო, — მიუგია მუხრან-ბატონს“.

იმდროინდელი ქართველი ინტელიგენცია იოსებ მამაცაშვილის ოჯახში იკრიბებოდა ხოლმე. ერთ-ერთ შეკრებაზე გაჩნდა იდეა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებისა. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა დიდი ილია. ნიკო ცხვედაძე მისი უცვლელი მოადგილე იყო 1885 წლიდან 1907 წლამდე — ილიას გარდაცვალებამდე. ქაშუეთიდანაც თავისი მხრით გამოასვენა მისი კუბო... ნიკო დასტრიალებდა ილიას საფლავს, ამშვენებდა. ერთხელ პროკლე ტაბიძე შესწრებია: ვინმე მუშას ილიას საფლავისთვის ფეხი დაუდგამს. ეს ნიკოს დაუნახავს: „უეცრად მოხუცი მთელი ტანით აკანკალდა, სახე შეეცვალა, თვალებზე ცრემლები მოადგა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მორთო ყვირილი: რას შვრები, ადამიანო! რას ჩადიხარ, ვის ადგამ გულზე ფეხს, ვისა? გაგება გაქვს, ვინ არის ეს?“

ნიკოს მონაწილეობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეიქმნა ქართული სკოლები, რომელშიც 1907 წლამდე ოცი ათასამდე ახალგაზრდამ მშობლიურ ენაზე მიიღო განათლება. განსაკუთრებულ დიდ მზრუნველობას იჩენდა აჭარაში გახსნილი სკოლების მიმართ.

უკანასკნელად, როდესაც მომაკვდავი კავთისხევიდან ეტლით თბილისში მოჰყავდათ, სამხედრო გზიდან რალაც გრძნობით იცნო ის ადგილი, საიდანაც ჩანდა გიმნაზიის შენობა. გაიღიმა, წამოდგა, დიდხანს უცქეროდა შენობას გაბრწყინებული სახით. მერე დაღლილი, უსიტყვოდ დაეცა ეტლში, — იხსენებს გიორგი ბაგრატიონი.

ნიკო ცხვედაძე 1911 წლის 30 ოქტომბერს (ძვ.სტ.) გარდაიცვალა. მადლიერმა ქართველებმა დიდუბის პანთეონში, დავით სარაჯიშვილის გვერდით დაკრძალეს.

1918 წლის 26 იანვარს (8 თებერვალს) თბილისში უნივერსიტეტი სწორედ ქართული გიმნაზიის შენობაში გაიხსნა. ასრულდა „სკოლის ფანატიკოსის“, ნიკო ცხვედაძის, ოცნება.

სამწუხაროდ, ვერც ილია და ვერც ნიკო ცხვედაძე მათი ოცნების განხორციელებას — ვარაზის ხევში აგებულ შენობაში ქართული უნივერსიტეტის გახსნას, ვერ

მოესწრნენ. ამის ტვირთი და პატივი ივანე ჯავახიშვილსა და მის ირგვლივ შემოკრებილ მამულიშვილთა ახალ თაობას ერგო.

1917 წელს რუსეთში თვითმპყრობელობა დაემხო. თებერვლის რევოლუციიდან სულ რაღაც დღის შემდეგ, ივანე ჯავახიშვილი, რომელიც იმხანად პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, აკაკი შანიძეს და შალვა ნუცუბიძეს გაენდო, რომ დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, ვითარებით უნდა ესარგებლათ და ეზრუნათ უნივერსიტეტის გახსნაზე. 1 მარტს ივანე ჯავახიშვილის ბინაში ახალი „შეთქმულება“ მომზადდა, შეიქმნა მომავალი უნივერსიტეტის პირველი მონახაზიც. გადაწყდა, რომ პირველ ეტაპზე კერძო უმაღლესი სასწავლებლის დაფუძნების ნებართვა აეღოთ, რადგან ფრთხილობდნენ, ზედმეტი მოთხოვნებით საერთოდ არ ჩაეშალათ საქმე. გადაწყვიტეს, საკითხი პეტერბურგში მყოფ ქართველ მეცნიერთა ფართო წრისათვის გაეცნოთ, ამისათვის იქირავეს კინოთეატრი „ელიტი“. მოხსენება თავად ივანე ჯავახიშვილმა გააკეთა ქართულ ენაზე, რაც საღბუნევით დაედო იქ მყოფ ქართველებს, რომლებიც გადაჩვეულნი იყვნენ მშობლიურ ენაზე მოხსენების მოსმენას. თავისი სიტყვა გამომსვლელობა ასეთი



უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები



სიტყვებით დაასრულა: „ახლა დროა, გავსწიოთ სამშობლოსაკენ, მე უკვე დავინყე ბარგის ჩალაგება“.

მართლაც, 1917 წლის აპრილში ივანე ჯავახიშვილი უკვე საქართველოში იყო და აქ იკრებდა და აფართოებდა თანამოაზრეთა წრეს. ქართველთა შორის იმ დროს არსებულ აღმაფრენას საუკეთესოდ ასახავს ერთი წერილი: „რაც აქ თქვენს სახელზე წერილები მოდის, ყველას ვაბრუნებ და მანდ გიგზავნით. მე ამ თვის დამლევს ვაპირებ წამოსვლას, რადგან ბილეთებზე დიდი ცხვირ-პირის მტვრევაა. ახლა უკვე დასაძინებელი ადგილი მოსპეს, ამიტომ მე-3 კლასის ბილეთი ავიღე. სულ რომ ფეხზე დგომა მომიხდეს, მაინც წამოვალ,“ — ამ წერილს ივანე ჯავახიშვილს პეტროგრადში ჩარჩენილი აკაკი შანიძე წერს.

როგორც უნინ, ახლაც გამოჩნდნენ ურწმუნო ნიჰილისტები, რომლებიც თვლიდნენ, რომ ეროვნული უნივერსიტეტი ვერ შეძლებდა მეცნიერების ამეტყველებას ქართულ ენაზე და ევროპის წამყვანი უნივერსიტეტებისთვის კონკურენციის განევას. მათ კონსტანტინე გამსახურდია აჩუმებდა. „თაობათა მთელი რიგის მუყაითი შრომაა საჭირო ჩვენ წინაპართაგან ნაანდერძევი კულტურულ საუნჯის მეცნიერულად შესასწავლად. ამისათვის არ არის საკმარისი სხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში გახსნილი ქართველოლოგიის კერები. საჭიროა ეროვნული უმაღლესი სასწავლებელი და კულტურული ერისათვის სამარცხვინოა მისი არქონა. რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში გაბნეულმა ქართველმა პროფესორებმა ეხლავე უნდა იზრუნონ ამაზე,“ — წერდა ბატონი კონსტანტინე.

უცხოეთის უნივერსიტეტებში კი მართლაც მრავალი ქართველი მეცნიერი მოღვაწეობდა, მათ შორის ისეთებიც, უმაღლესი ავტორიტეტით რომ სარგებლობდნენ ევროპის სამეცნიერო წრეებში. პეტროგრადის, მოსკოვის, ოდესის, კიევის, ტარტუს, ყაზანის უნი-



ვერსიტეტებიდან საქართველოსკენ დაიძრა უბედობის გამო გაბნეული ქართველი ერის ინტელექტუალური ელიტა: **ანდრია რაზმაძე, პეტრე მელიქიშვილი, გრიგოლ ნათაძე, კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ჯანელიძე, ალექსანდრე ნათიშვილი, ვასილ ვარაზიშვილი, ალექსანდრე ალადაშვილი, გრიგოლ მუხაძე...** ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ჩამოსულ კოლეგებს ივანე ჯავახიშვილი აცნობდა მომავალი საუნივერსიტეტო საქმიანობის გეგმებს და წვრილმანებს, ბოლოს ყოველ მათგანს მიმართავდა ასეთი წინადადებით: „ლექცია აუცილებლად ქართულ ენაზე უნდა წაიკითხოთ, ამაზე ნულარ ვისაუბრებთ“.

როგორც ადრე, ახლაც საჭირო იყო ფული. უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოება საქართველოს ყველა კუთხიდან იღებდა ამანათებს. თანხებს აგზავნიდნენ რუსეთის მორყეული იმპერიის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ქართველებიც.

„ხალხო ქართველო, ერთის დლით მაინც თავი ანებე ნუნუას წვეთებს,

გასწი გულუხვად ლატარიისკენ და მოაწერე ხელი ბილეთებს, — ასე უნივერსიტეტის სასარგებლოდ მოწყობილი ლატარიის გათამაშების ბილეთების შექმნისაკენ მოუწოდებდა გაზეთი „თეატრი და ცხოვრება“ მოსახლეობას.

1917 წლის 28 სექტემბერს დროებითი მთავრობის სახალხო გა-

ნათლების სამინისტრომ ქართული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე ნებართვა გასცა და 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი. 13 საათსა და 20 წუთზე დაიწყო ზემი. პირველი სიტყვა უნივერსიტეტის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი ჩხენკელმა წარმოთქვა, შემდეგ კი საზოგადოებას სასწავლებლის **პირველმა რექტორმა პეტრე მელიქიშვილმა** მიმართა (მელიქიშვილი, როგორც ქართველთა შორის ყველაზე ცნობილი მეცნიერი საერთაშორისო სარბიელზე, ჯავახიშვილის მოთხოვნით დაინიშნა რექტორად). თავის სიტყვაში პეტრე მელიქიშვილმა, რომელსაც ქართულად საუბარი უჭირდა, თქვა: „ჩვენ გვინდა იმ ენაზე, რომელზეც პირველად მოვისმინეთ დედის ალერსი და პირველად ავმეტყველდით, მოვისმინოთ მეცნიერული ჭეშმარიტებანი“.

დღეს ჩვენი დედა-უნივერსიტეტი 95 წლისაა. ამ ხნის მანძილზე იგი იყო არა მხოლოდ ცოდნის მიღების კერა, არამედ ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართველი ხალხის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ ხნის მანძილზე ქართული უნივერსიტეტის მაჯისცემით უშეცდომოდ იცნობოდა მთლიანად ქვეყნის გულისცემა.

დაუპიწყარი შალვა ნუსუბიძე

წლებადელი წელი შალვა ნუსუბიძის საიუბილეო წელია. მას დაბადებიდან 125 წელი უსრულდება. იგი უაღრესად კოლორიტული პიროვნება გახლდათ, ფილოსოფოსი, ფილოლოგი, ქართული კლასიკური პოეზიის საუკეთესო ძეგლების მთარგმნელი, ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი პროფესორთაგანი, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.



„დაბადება არ არის ცხოვრების დასაწყისი, მაგრამ მე მაინც დავიბადე 1888 წლის 14 დეკემბერს, სოფელ ფარცხანაყანევში“ — ამბობდა შალვა ნუსუბიძე. ორივე ბაბუა მღვდელი ჰყოლია, თუმცა დედის მამას, ფილიპე დათიაშვილს, განსაკუთრებით ჰყვარებია წიგნის კითხვა და პატარა შალვაზეც, დიდი გავლენა მოუხდენია მის მდიდარ, ტყავისყდიან ხეცურ წიგნებს. „ბავშვობისას მიზიდავდა ამ წიგნების სუნი, გაუგებარი სიამის მომგვრელი“.

მამა — ისააკ ნუსუბიძე პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა ხონში. დედისგან განსხვავებით, მამა საკმაოდ მკაცრი და მომთხოვნი ყოფილა. „მჯეროდა მისი და უაღრესი პატივისცემა მქონდა ამ ადამიანისა, რომელსაც ჩემთვის მთელ სიცოცხლეში ერთხელაც არ უთქვამს სიტყვა „შვილო“, — ამბობდა უკვე 50 წელს გადაცილებული შალვა ნუსუბიძე.

15 წლამდე შალვა ნუსუბიძე დაბა ხონში ცხოვრობდა. აქ შეხვდა ბევრ ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და მწერალს, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მომავალ მეცნიერზე. ჯერ ხონის სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ — ქუთაისის გიმნაზიაში. 1906 წლიდან კი პეტერბურგში, ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა, რომელიც 1910 წელს დაამთავრა.

იმავლე წელს დანიშნეს მასწავლებლად ყუბანის ოლქში, სადაც მძიმე პირობებში მოუწია მუშაობა. მოგვიანებით იგონებდა: „მას-

წავლებელთა სახლში მომათავსეს. ასე თუ ისე, მოვეწყვე, წიგნები გადავშალე და ვიგრძენი, რომ მათი იმედით ყველგან გაიძლებოდა“. სწორედ მასწავლებლობის წლებში დადიოდა შალვა ნუსუბიძე გერმანიაში, ყოველი წლის მათი-ავვისტოში საზაფხულო სემინარებზე. ლაიფციგისა და ბერლინის უნივერსიტეტებში მუშაობდა ცნობილი ფილოსოფოსების ხელმძღვანელობით.

ორი წლის შემდეგ შალვა ნუსუბიძე პეტერბურგის მე-2 გიმნაზიის მასწავლებლად გადაიყვანეს. სწორედ აქ გაიცნო მან გრიგოლ წერეთელი, რომელიც შემდეგ მის უახლოეს ადამიანად იქცა.

1917 წელს შალვა ნუსუბიძეს მიენიჭა პრივატ-დოცენტის წოდება. ამავე პერიოდში ის იბრძვის ქართული უნივერსიტეტის დაარსებისთვის. უნივერსიტეტის გახსნამდე შექმნა საგამომცემლო ბაზა, ხელმძღვანელობდა საქართველოს უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოებას, დააარსა „საერთო განათლების კურსები“. უნივერსიტეტის გახსნისთანავე კი, 1918 წლის 26 მაისს, დააფუძნა „პეტრინის სახელობის საფილოსოფიო საზოგადოება“, რომლის ამოცანა იყო ქართული ფილოსოფიური ძეგლების შეგროვება და გამოსაცემად მომზადება. უნივერსიტეტში იყო პრორექტორი, დეკანი, კათედრის გამგე, პროფესორი, კითხულობდა სხვადასხვა საგანს.

უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში შალვა ნუსუბიძემ დანე-

რა სახელმძღვანელოები სტუდენტებისთვის: „ლოლიკა“, „ფილოსოფიის შესავალი“, ასევე შრომები: „ალეთოლოგიის საფუძვლები“, „ბუნებისთვის ცნებისა“, „შემეცნება, როგორც ფილოსოფიური პრობლემა“, „ხელოვნების თეორია“, „კანტი კაცობრიობის აზროვნების პერსპექტივებში“ და სხვ.

1926 წელს ბერლინში ცნობილი ნეოკანტიანების — ლიბარტისა და ბუხანაუს რეცენზიით დაიბეჭდა შალვა ნუსუბიძის ნაშრომი „ჭეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურა“, რომელიც მიზნად ისახავდა ალეთოლოგიური რეალიზმის დასაბუთებას. ამ შრომაში მიიღო მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი.

შალვა ნუსუბიძემ რუსულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, „აბდულმესიანი“, „თამარიანი“. ლექსად აღადგინა, გამოიკვლია და თარგმნა „ამირანიანი“. მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ იუსტინე აბულაძე წერდა: „ნუსუბიძის თარგმანი, პოემის სხვა თარგმანებთან შედარებით, რუსულ და სხვა უცხო ენებზე, საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს... მან უდავოდ შეძლო, ყველა ეპიზოდში შეენარჩუნებინა ქართული ორიგინალის ზუსტი



აზრი და შინაარსი. შალვა ნუცუბიძემ დაადგინა შოთა რუსთაველის ჰუმანისტური მსოფლმხედველობა. ახლებურად გადაწყვიტა პოემის ეროვნულ-ფილოსოფიური წყაროების შესწავლის საკითხი, განსაზღვრა რუსთაველის ადგილი რენესანსში. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ მონინავე აღმოსავლეთის ქვეყნების საერთო კულტურული ცხოვრების პოეტური გამოსახვა და ქართული რენესანსის მწვერვალია. ნუცუბიძის დასაბუთებით, ამ პოემის ფილოსოფიური წყარო ქართული ნეოპლატონიზმია, რომლის ძირითადი იდეა — სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვება — პოემაში მხატვრულად არის განსახიერებული.

შალვა ნუცუბიძეს ეკუთვნის დღეს ფართოდ აღიარებული თეორია აღმოსავლური რენესანსის შესახებ, რომელიც მან ჩამოაყალიბა წიგნში „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ (1947წ.). ამ თეორიის მიხედვით, XII საუკუნის საქართველოში თავი იჩინა ალორძინებამ, ანუ რენესანსმა. შალვა ნუცუბიძემ პირველმა ცხადყო, რომ რენესანსული იდეები დასავლეთ ევროპაში აღმოსავლეთიდან შეიჭრა. წიგნის გამოსვლიდან ცოტა ხანში შალვა ნუცუბიძე გაათავისუფლეს სამსახურიდან იმის გამო, რომ თავის ნაშრომში ვერ შეძლო „იდეალური თვალსაზრისის დაძლევა და მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საფუძველზე გადასვლა“.

1961 წლის შემოდგომაზე მოსკოვიდან ჩამოსულმა აკად. ი. მეგრელიძემ შალვა ნუცუბიძეს ამბა-



აკაკი შანიძე და შალვა ნუცუბიძე

ვი ჩამოუტანა, — აკად. იოსებ კონრადი თქვენს თეორიას იზიარებს აღმოსავლური რენესანსის თაობაზე და ახალ ნაშრომში გამოგეხმურებათო. შალვამ მის გვერდით მდგომ გრიგოლ კალანდარიშვილს გადაულაპარაკა თურმე: „ე, გრიშა, გააგებინე იმ კრეტილებს, აქ რომ მენინააღმდეგებიან, მსოფლიოში გავიტანე ქართული კულტურის დიდება და შინ მმტრობენო“.

იგი მუდმივად განიცდიდა დევნას საბჭოთა რეჟიმის მხრიდან. დაპატიმრებული იყო 1921 და 1938-40 წლებში, 1953-1960 წლებში გაძევებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და ჩამორთმეული ჰქონდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობა.

„ფილოსოფია არ იყო ჩემთვის ერთი საქმეთაგანი, ფილოსოფია ჩემი სასიცოცხლო ამოცანა იყო მუდამ; ფილოსოფია იყო ჩემთვის

სიბრძნისა და სიკეთის წვდომის წყარო“, — ამბობდა შალვა ნუცუბიძე.

შალვა ნუცუბიძეს ხშირად უთქვამს, სიკვდილს რუსთაველმა გადამარჩინაო. დაპატიმრების უამს „ვეფხისტყაოსანს“ თარგმნიდა. ციხეში ნება მისცეს, ემუშავა თარგმანზე. როგორც ჩანს, ნუცუბიძისა და სტალინის ინტერესი რუსთაველისადმი დაემთხვა ერთმანეთს, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა მეცნიერის მომავალ ბედზე. ყოველ შაბათს პოემის ნათარგმნი ნაწილი საპატიმროდან ქრებოდა, როგორც შემდეგ გაირკვა, კითხულობდა სტალინი. სტალინისვე განკარგულებით, შალვა ნუცუბიძე გაათავისუფლეს ციხიდან მოსკოვიდან გასვლის უფლების გარეშე, ხოლო 1940 წლის 20 ოქტომბერს სტალინთან ნაიყვანეს კრემლში, რათა პირადად გასაუბრებოდა თარგმანის თაობაზე. როგორც აღმოჩნდა, სტალინს ძლიერ მოსწონებია თარგმანი და თავიდან ბოლომდე ნაუკითხავს.

1940-41 წლებში შალვა ნუცუბიძე მოსკოვში მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობდა. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. გერმანელები მოსკოვს უახლოვდებოდნენ. ამან შალვა ნუცუბიძეს საშუალება მისცა, დაბრუნებულიყო საქართველოში. მას დიდი სიყვარულით შეხვდა ქართული ინტელიგენცია და სტუდენტობა.

შალვა ნუცუბიძეს ხშირად უთქვამს, სიკვდილს რუსთაველმა გადამარჩინაო. დაპატიმრების უამს „ვეფხისტყაოსანს“ თარგმნიდა. ციხეში ნება მისცეს, ემუშავა თარგმანზე. ნუცუბიძისა და სტალინის ინტერესი რუსთაველისადმი დაემთხვა ერთმანეთს, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა მხატვრის მომავალ ბედზე

1953 წელს სრულიად მოულოდნელად კომუნისტური ხელისუფლება კიდევ ერთხელ დაესხა თავს მეცნიერს, ამჯერად იგი ბერიას აგენტად გამოაცხადეს. ხელისუფლების მითითებით, მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ შალვა ნუცუბიძეს ჩამოართვა აკადემიის სამდვილი წევრის წოდება, ასევე გაათავისუფლეს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობიდან.

ამის შემდეგაც ყველანაირად ავიწროებდნენ, ცდილობდნენ, არ შეეშვათ ფართო აუდიტორიებში. 1937 წელს, დეკემბრის ბოლოს თბილისში რუსთაველის საიუბილეო ზეიმი მიმდინარეობდა. არ უნდოდათ მას მონაწილეობა მიეღო რუსთაველის იუბილეში, შეხვედროდა სტუმრებს. თუმცა შალვა ნუცუბიძეც იყო სიტყვაში ჩაწერილი, „მისთვის სიტყვა 26-ში უნდა მიეცათ, მაგრამ არც 27-სა და 28-ში მისცეს! — იგონებს აკადემიკოსი იოსებ მეგრელიძე, — დარბაზში გავიარე. შალვამ შემაჩერა და მითხრა: ამბობენ, სიტყვას არ მაძლევენ, იქნებ გამიგოთ, რაშია საქმეო! ერთ-ერთი სიტყვის წინ იმ სხდომის თავმჯდომარე სანდრო ეულმა გამოაცხადა: მოემზადება აკადემიის დელეგატი მეგრელიძეო. მე ხმამაღლა დავიძახე: შალვა ნუცუბიძეა ჩემზე ადრე ჩაწერილი, ჯერ იგი გამოვამეტქი. სანდრო სახტად დარჩა და შალვაზე შეჩერდა. შალვამ შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა. ოვაციების შემდეგ ორატორი ჩემთან მოვიდა და მითხრა: მე მამაკაცებს არ ვკოცნი, მაგრამ თქვენ უნდა გადაგკოცნოთო და მაღლობით ამავსო“.

1968 წელს გამართულ თბილისის უნივერსიტეტის 50 წლის იუბილეზე უფლება არ მისცეს, წარმოეთქვა სიტყვა. მიუხედავად ამისა, შალვა ნუცუბიძე არასოდეს კარგავდა ღირსებას, იყო მუდამ შემართული და ქედუხრელი ყველაზე მძიმე ნუთებშიც კი. იგი ძლიერ განიცდიდა ყოველივეს, რაც საქართველოს უკავშირდებოდა.

დიდი წვლილი შეიტანა ნუცუბი-

ძემ ფსევდოდონისე არეოპაგელისა და ცნობილი ქართველი მოღვაწის პეტრე იბერიის იდენტობის საკითხის კვლევაში. ეს ჰიპოთეზა მან წამოაყენა 1942 წელს, მისგან დამოუკიდებლად ამავე დასკვნამდე მივიდა ბელგიელი მეცნიერი ერნესტ ჰონიგმანი 1952 წელს, რის შემდეგაც აღნიშნულ თეორიას ეწოდა ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია.

ნუცუბიძემ გაარკვია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ჰუმანისტური მსოფლმხედველობა. ახლებურად გადანყვიტა პოემის ეროვნულ-ფილოსოფიური წყაროების შესწავლის საკითხი, განსაზღვრა რუსთაველის ადგილი რენესანსში. ნუცუბიძის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ მოწინავე აღმოსავლეთის ქვეყნების საერთო კულტურული ცხოვრების პოეტურ გამოსახვას და ქართული რენესანსის მწვერვალს წარმოადგენს. ნუცუბიძის დასაბუთებით, „ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიური წყარო ქართული ნეოპლატონიზმია, რომლის ძირითადი იდეა — სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვება — პოემაში მხატვრულად არის განსახიერებული.

ქართული ფილოსოფიის, ლიტე-

რატურის სოციალური კულტურის, ისტორიის გარემოს საკითხების კვლევას ნუცუბიძემ ორმოცზე მეტი გამოკვლევა უძღვნა.

შალვა ნუცუბიძე 1969 წელს გარდაიცვალა. მეცნიერი უნივერსიტეტის ეზოში დაკრძალეს. „ცხოვრებასთან გაყრა ტრაგიკულად არ განუცდია. უკანასკნელ ნუთამდე ფილოსოფოსად დარჩა, — ნერდა მისი მეუღლე, ქეთევან კლიმიაშვილი თავის მემუარებში, — რაც უფრო მეტ წინააღმდეგობას ხვდებოდა მისი აზრი, მით უფრო რწმუნდებოდა საკუთარ ჭეშმარიტებაში და ახალ არგუმენტებს პოულობდა. ყველაზე მეტად სძულდა გაცვეთილი და მარტივი აქსიომები და, ალბათ, ამიტომ ამბობდა ხოლმე: **არ მნამს აზრი, თუ ის საკამათო არ არისო**“.

აუარებელი ხალხი დაესწრო მის დაკრძალვას. შალვა ნუცუბიძეს უაღრესად დიდ პატივს სცემდა მშობელი ხალხი. იგი ერთ-ერთი უპოპულარესი მეცნიერთაგანი იყო საქართველოში, მით უფრო, რომ მან ჩვენი ეროვნული დიდების — „ვეფხისტყაოსნის“ ერთი საუკეთესო თარგმანი გვიანდერძა და ამით თავისი სახელი რუსთაველის უკვდავ სახელს დაუკავშირა.

ლარეჯან ანდრიაკე




შალვა ნუცუბიძის საფლავი



დიმიტრი უზნაძე – ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი

ქართველ ფსიქოლოგებს არაერთხელ უთქვამთ: მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, დღითიდღე პროგრესს განიცდის, ზოგიერთი თეორია ძველდება, ზოგიერთი ფსიქოლოგიური სკოლა, უბრალოდ, ინგრევა, დიმიტრი უზნაძის მოძღვრება და, განსაკუთრებით, დიდი მეცნიერის მიერ ექსპერიმენტულად დადგენილი ეგრეთ წოდებული განწყობის თეორია კვლავაც მნიშვნელოვან მიღწევად რჩება ფსიქოლოგიის ისტორიაში. „უზნაძის ეფექტი“ (სწორედ ასეთი სახელწოდება აქვს უზნაძის ექსპერიმენტს უცხოურ ლიტერატურაში) აქტიურად გამოიყენება ხელოვნებაშიც.



უჩვენეთ ადამიანს ორი ბურთი, რომელთაც წონა განსხვავებული აქვთ, მოცულობა, ფერი, ფაქტურა კი — ერთნაირი... „მოცულობის ილუზია“ აუცილებლად იმოქმედებს შეფასებაზე. უმრავლესობა აუცილებლად იტყვის, რომ მძიმე წონის ბურთის მოცულობა მეტია მსუბუქზე... დაუფიქრებლად იტყვის, რადგან „მძიმე წონა“ ამ შემთხვევაში განმსაზღვრელი ხდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განსხვავებული სიმძიმის საგანთა მრავალგზის შედარების შედეგად, ტოლი საგნები ილუზორულად უტოლოდ აღიქმება.

ესაა ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, დიმიტრი უზნაძის, ერთ-ერთი ექსპერიმენტი, რომელიც ეგრეთ წოდებულ განწყობის თეორიას ქმნის.

დიმიტრი უზნაძე მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ერის მოჭირნახულე და მოამაგე იყო და საზოგადოების სამსახურში იდგა. სხვებთან ერთად, თითქოს მარცვალ-მარცვალ აგროვებდა საქართველოს მეცნიერების ძვირფას სამკაულებს: ქართულ უნივერსიტეტს, პედაგოგიურ ინსტიტუტს, ფსიქოლოგიურ მეცნიერებას, საშუალო სკოლის თეორიას, ექსპერიმენტული პედაგოგიკის საფუძვლებს, ფსიქოლოგიურ მეტყველებას, სასკოლო სახელმძღვანელოებს. ეს მაღალი

იდეალები თავს იყრის დ. უზნაძის პიროვნების შინაგანი განწყობილებისა და მისი დროის პროგრესული საზოგადოებრივი მოთხოვნების გარშემო.

დ. უზნაძის შემოქმედების მასშტაბი მისი პიროვნების სიღრმითა და სისრულით არის განსაზღვრული, იგი მის მიერ დასახული მაღალი იდეალების შესატყვისია.

1904 წელს დაამთავრა ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია, ხოლო 1909 წელს ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. იმავე წელს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი დაიცვა ჰალე-ვიტენბერგის უნივერსიტეტში (გერმანია). ეს ნაშრომი ეძღვნებოდა ვ.სოლოვიოვის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას და წარმოადგენდა ამ საკითხზე დაცულ პირველ სადისერტაციო ნაშრომს. 1913 წელს უზნაძემ ექსტერნის წესით დაასრულა ხარკოვის უნივერსიტეტის (უკრაინა) ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ისტორიის განხრით.

1909-1918 წლებში უზნაძე მსოფლიო ისტორიას ასწავლიდა ქუთაისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში. 1917 წელს მან ქუთაისში გამოსცა მსოფლიო ისტორიის პირველი ქართული სახელმძღვანელო. 1917-1918 წლებში იყო თბილისის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგა-

დოების წევრი. 1918 წელს ივანე ჯავახიშვილთან და სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან ერთად აფუძნებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. 1918-1950 წლებში იყო ამ უნივერსიტეტის პროფესორი და მის მიერვე დაარსებული ფსიქოლოგიის კათედრის გამგე იყო. 1935 წელს მას დისერტაციის დაუცველად მიენიჭა ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1941 წელს მისი თაოსნობით შეიქმნა საქართველოში ფსიქოლოგიის დარგის პირველი სამეცნიერო დაწესებულება - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის სექტორი, რომელიც 1943 წელს გარდაიქმნა ფსიქოლოგიის ინსტიტუტად. როგორც სექტორის, ისე ინსტიტუტის დირექტორი იყო დიმიტრი უზნაძე. დღეს ეს ინსტიტუტი, რომელიც ფართოდ არის ცნობილი მთელ მსოფლიოში, მის სახელს ატარებს. 1933-1942 წლებში უზნაძე იყო ქუთაისის სახელ-



მნიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ფსიქოლოგიის კათედრის პირველი გამგე.

საშუალო სკოლის ბაეროვნება

1917 წლის რევოლუციამ წაღეს და გადარეცხა სწავლა-აღზრდის მანამდე არსებული პედაგოგიური სისტემა და ბავშვის განვითარების შესახებ მეცნიერულ-ფსიქოლოგიურ მონაცემებთან შეფარდებული ფორმით ეროვნული, ხოლო შინაარსით დემოკრატიულ-სოციალისტური სკოლის აგების პრობლემა დააყენა. დ. უზნაძე იმ დროს საქართველოში იყო ის პედაგოგი, რომელიც ბავშვის აღზრდას მეცნიერულ-ფსიქოლოგიური მონაცემებით უდგებოდა და ცხოვრების რაობის, არსებობის აზრისა და იდეალური პიროვნების იდეის ასპექტით აგებული საკუთარი პედაგოგიური სისტემით მუშაობდა („სინათლის“ სკოლა). ახალი სკოლის შექმნის პრობლემა დ. უზნაძეს გადაუშალა მისი პედაგოგიური სისტემის ძირითადი პრინციპების სკოლაში ფართოდ დანერგვის შესაძლებლობის პერსპექტივა. დ. უზნაძემ ეს შესაძლებლობა გამოიყენა: რევოლუ-

ციის პირველსავე თვეს იგი სკოლის გაეროვნების მასწავლებელთა მოძრაობის ინიციატორთა შორისაა, ახალი სკოლის მშენებლობის სახალხო მოძრაობის მოწინავეა. საქართველოს თუ ამიერკავკასიის მასწავლებელთა არც ერთი ყრილობა ან მნიშვნელოვანი კრება არ ჩატარებულა, რომ უზნაძე მთავარი მომხსენებელი არ ყოფილიყო და მისი მოხსენების თეზისები კრებას სახელმძღვანელოდ არ მიეღო.

1917 წლის მარტში დ. უზნაძე სამუშაოდ თბილისში გადადის; იგი მიიწვია თავის რწმუნებულად სახალხო განათლების დარგში ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრმა და სასწავლო ნაწილის გამგემ — კიტა აბაშიძემ.

დ. უზნაძეს ქართული პედაგოგიური საზოგადოებრიობა 1910 წლიდან იცნობდა როგორც განსწავლულ მასწავლებელს, მრავალი შრომისა და საკუთარი პედაგოგიური სისტემის ავტორს, „სინათლის“ სკოლის გამგეს, ეროვნულ-საზოგადოებრივ მოღვაწეს. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როდესაც ქართველმა მასწავლებელმა სკოლის გაეროვნების საკითხი დააყენა და სახალხო განათლების საქმე სა-

ხალხო მოძრაობად გადააქცია, დ. უზნაძე ამ მოძრაობის თავკაცი გახდა, ის ამუშავებდა ახალი სკოლის მეცნიერულ პრინციპებს. საქართველოს და ა/კ მასწავლებელთა ყრილობებზე უზნაძის მოხსენებები ამ პედაგოგიური პრინციპების მეცნიერულ დასაბუთებას შეიცავდა. ამიტომაც სასწავლო ოლქის კომისარიატში სხვა კანდიდატის შეყვანას მასწავლებლები დიდი გულსწყრებით შეხვდნენ და საბრძოლველად განემზადნენ. მასწავლებელთა ყრილობებსა და კრებებს გამოჰქონდათ საგანგებო კომისარიატისადმი მიმართული საპროტესტო დადგენილებები. მაგალითად, თელავისა და თელავის მაზრის მასწავლებელთა ყრილობამ გამოუგზავნა „საპროტესტო დეპეშა ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომისარიატს“. ის წერდა, რომ აცხადებს „თავის ერთსულოვან პროტესტს ამ ფაქტის წინააღმდეგ. განახლებული სკოლის სათავეში ჩვენ მოვითხოვთ ყოველმხრივ მომზადებულ პედაგოგს, რომელსაც საზოგადოება საკმარისად იცნობს. პირველი კანდიდატის დ. უზნაძის მაგიერ, რომელსაც საზოგადოება იცნობს, როგორც საპედაგოგო-მეცნიერული ნაწარმოებებით ფსიქოლოგიის სფეროში, ისე პრაქტიკული მოღვაწეობით იმავე სფეროში, ახალი ტიპის სკოლის „სინათლის“ შექმნით და, სხვათა შორის, უკანასკნელ მასწავლებელთა ყრილობაზე მოხსენება-ნაშრომით, — თქვენ დაგინიშნავთ პედაგოგიურ სფეროში სრულიად უცნობი უბრალო მასწავლებელი. ჩვენ გვნამს, რომ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი გამოასწორებს თავის შეცდომას და ასეთი სერიოზული და საპასუხისმგებლო საქმის სათავეში დანიშნავს ქართველ რევოლუციონერ მასწავლებელთა და მოსწავლეთა დიდი უმრავლესობის ნდობით აღჭურვილ პირს და ამით შესაძლებლად გახდის, ახალი, დემოკრატიული სკოლის წესიერ ორგანიზაციას. ეს დადგენილება გეგზავნებათ თქვენ და გამოქვეყნე-

მწერალი ია კვალაძე (იაკობ სინსაძე):

გაზაფხულის პირზე, მარტის ცვალებადიან დღეს, — აი, ხან რომ ჟინჟღავს და მზე სუსტად გამოანათებს ხოლმე, — გინახავთ ღობის ძირას მიმალული, პანია, უმანკო ბავშვის თვალებივით მოცინარი სოსანი ია? თითქოს პატარაა ეს ყვავილი, სუსტი და ნაზი, მაგრამ ვინ იტყვის, რომ დიდი იმედების აღმძვრელი არ იყოს. იგი წინამორბედა კეკელუცი გაზაფხულისა, იგი სასოებაა დაჩაგრულისა და ნუგეშია ყინვისაგან დამზრალისა!

უმზერ ამ ყვავილს და გულში ჰფიქრობ: გაივლის ცუდი ტაროსი, მზე სავსებით ამოაშუქებს, გათბება გული ბუნებისა, გალხვება ზედაპირი ქვეყნისა და ადამიანური ცხოვრება მიენიჭებათ.

სწორედ ასეთივე ფიქრი და აზრი ებადება ჩვენი ცხოვრების მეთვალყურეს, როდესაც უკვირდება იგი დ.ნ. უ-ძის მოქმედებასა და მოღვაწეობას. დ.ნ.უ-ძე ქართველთა გაზაფხულის წინამორბედი ყვავილია.



ბული იქნება პრესაში“. ამას უერთდება რაჭის მაზრის მასწავლებელთა კრებაც, ისიც უგზავნის საპროტესტო დეპეშას განსაკუთრებულ კომისარიატს. დიდი სტატია მიუძღვნა ამ საკითხს ქუთაისის გაზეთმა „ჩვენმა მეგობარმა“. ავტორი „ნარქანი“ (ნიკო ქაშუშაძე) წერს: „ეს მეორე (კანდიდატი) გახლავთ დიმიტრი უზნაძე, რომლის სახელსაც არათუ საქართველოს მასწავლებლობა, არამედ მთელი კავკასიის მასწავლებლობა იცნობს, როგორც ღრმად განსწავლულს და ნიჭიერ პედაგოგს, მაგრამ უზნაძე კომისარიატში არ მოხვდა“ და სხვ. ამავე პერიოდში ქუთაისის მასწავლებელთა ყრილობის დღის წესრიგში მოხსენებულა ეს საკითხი (თუმცა არ გარჩეულა). ყველაფერი ეს მეტყველებს, რომ დ. უზნაძე ჩვენი სახალხო მასწავლებლობის სულისკვეთების გამომხატველი იყო, მისი ინტერესის დამცველი. უზნაძე ბოლომდე, ქართველ მასწავლებელთან ერთად, სკოლის შექმნაზე ზრუნავს. 1917 წლის 9 დეკემბრიდან უზნაძე სასკოლო და ხელოვნების კომისიის წევრია; 1918 წელს უმაღლესი და საშუალო სასწავლებელთა ორგანიზაციის საქმეშია ჩაბმული; 1920 წელს სასკოლო რეფორმის კომისიის თავმჯდომარეა.

დ. უზნაძე - სასკოლო სახელმძღვანელოთა ავტორი

1909-1920 წლებში ქართული სკოლა ქართული სახელმძღვანელოების განსაკუთრებულ სიღარიბეს განიცდიდა. სასკოლო სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე სპეციალურ საგნებში იშვიათად გამოიყენებოდა. ამ პერიოდში დ. უზნაძე ისტორიის სახელმძღვანელოებზე მუშაობს და აქვეყნებს: „პირველყოფილ კულტურას“, „ძველ აღმოსავლეთს“, „ძველ საბერძნეთს“, „ძველ და ახალ ისტორიას“. ეს იყო პირველი სახელმძღვანელოები ისტორიაში ქართულ ენაზე, მათ ჩვენს სკოლას დიდი სამსახური გაუწიეს.

1920 წელს „სასწავლო კომიტეტმა“ განიხილა საისტორიო კომისიის მოხსენება დ. უზნაძის „ძველი ისტორიის“ შესახებ. კრებამ კომისიის დადგენილება დაამტკიცა. კომისიის სახელით გ. ნათაძემ განაცხადა: „კომისია შუამდგომლობს, დ. უზნაძის „ძველი ისტორია“ პრემიით იქნას დაჯილდოებული“. თავმჯდომარემ მოითხოვა კრიტიკიუმები, რომელთა ნიშნავზე, კომისიის აზრით პრემია უნდა მიენიჭოს დ. უზნაძეს. გ. ნათაძემ თქვა: „კომისიას ჰქონდა ამის შესახებ მსჯელობა და დაადგინა, რომ მხოლოდ ის სახელმძღვანელო, რომელიც უნაკლო და სამაგალითოა, შეიძლება იქნეს დაჯილდოებული პრემიით“. ასეთი მაღალი შეფასება მისცა უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელოს — „ძველი ისტორია“ — სპეციალისტთა კომისიამ.

სახელმძღვანელოს „პირველყოფილი კულტურა“ შესახებ ერთ-ერთი მასწავლებელი წერს: **„ასეთ გაჭირვებულ დროს, მონაფეთათვის სახელმძღვანელოს მიწოდება და ისიც უნაკლოდ შედგენილის, ჭეშმარიტად დიდი სამსახურია სკოლისათვის. უეჭველად მასწავლებელი უნდა იყოს, რომ შეგეძლოთ განიცადოთ ის განსაკუთრებული მადლობა, რომელიც დაიმსახურა „კულტურის ისტორიის“ სახელმძღვანელოს ავტორმა, ბ-ნმა დ. უზნაძემ. პროფ. უზნაძეს რომ ამ შრომის გარდა სხვა არავითარი ღვაწლი მიუძღოდეს ერის წინაშე, ესეც საკმაო იქნებოდა მისი სახელის ტკბილად ხსოვნისათვის... დ. უზნაძის „კულტურის ისტორია“ უდავოდ პირველია ყველა ქართულად დაწერილ სახელმძღვანელოებში, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს პედაგოგიკის მოთხოვნილებებს. მასზე უფრო მშვენიერი, მსუბუქი ენით დაწერილი სახელმძღვანელო ჩვენ არ მოგვეპოვება“.**

დ. უზნაძე ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანია. 1917 წლის 12 მაისს ივანე ჯავახიშვილის მონვევით შეკრებილ უნივერსიტეტის დამაარსებელთა პირველი დამფუძნებ-

ლი კრების 28 წევრიდან ერთ-ერთი დიმიტრი უზნაძეა. გადაწყვეტილია, უნივერსიტეტი გაიხსნას 1918 წლის 26 იანვარს (დავით აღმაშენებლის დღეს). ამისთვის სამზადისი შეუწელებლად წარმოებს: არკვევენ უნივერსიტეტის პროფილს, ძალებს, წესდებას. დ. უზნაძეს ყველა ამაში წილი უდევს. უნივერსიტეტი ჯერ გახსნილი არ არის, მაგრამ პროფესორთა საბჭო უკვე მოქმედებს. აი ამონაწერი მისი პირველი სხდომის ოქმიდან:

„ქართული უნივერსიტეტი წინასწარ სხდომის ოქმი №1 „26 ნოემბერი 1917 წ.“.

დაესწრნენ: გოგიჩაიშვილი ფ., თაყაიშვილი ე., კეკელიძე კ., უზნაძე დ., შანიძე ა., ჯავახიშვილი ი. თავმჯდომარე — ი. ჯავახიშვილი, მდივანი — ა. შანიძე

განსახილველი საგანი: განაჩენი: რა ტიპის უნდა იყოს ჩვენი უნივერსიტეტი? როგორც რუსეთშია თუ სხვაგვარი?

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გადაწყდა, რომ, უცხოეთის ბევრი უნივერსიტეტის მსგავსად, ერთი სიბრძნისმეტყველების, ანუ საფილოსოფოსო ფაკულტეტი დაარსდეს შემდეგი განყოფილებებით: 1) ჰუმანურ მეცნიერებათა (რომელიც უდრის პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ და აღმოსავლური ენების ფაკულტეტს); 2) სამათემატიკო და 3) საბუნებისმეტყველო.

მხოლოდ ამთავითვე გაიხსნას ჰუმანურ მეცნიერებათა განყოფილება.

ამ დარგზე საგნების წასაკითხად დასახელებული იყვნენ პროფესორები მეცნიერ-ხელმძღვანელები, ლექტორები, მათ შორის პროფესორად — დ. უზნაძე.

ჯერ კიდევ 1917 წელია, უნივერსიტეტი გახსნილი არ არის, ყოველივე ეს მხოლოდ წინასწარი სამზადისია. უნივერსიტეტის გახსნის მეორე დღეს, ფაკულტეტის სხდომაზე განიხილეს ლექციების განაწილების საკითხი. გამოიტანეს დადგენილება: „საკითხი საბოლოოდ მიენდოს დ. უზნაძეს და ი. ყიფშიძეს“. ასეთია ქართული მეცნიე-



რული აზროვნების ალორძინების პირველი ნაბიჯები. ყველამ იცის, თუ რა სიზუსტით გამართლდა ამ დიდი ეროვნული საქმისათვის ნავარაუდები, რამდენად რეალური გამოდგა ეს ჩანაფიქრი. დაუფასებელია უნივერსიტეტის დამაარსებელთა ღვაწლი ქართველი ხალხის წინაშე, ხოლო დიმიტრი უზნაძე ერთ-ერთი მათგანია.

დ. უზნაძე - პირველი პედაგოგიური ინსტიტუტის დამაარსებელი საქართველოში

უნივერსიტეტი, რომელიც ახალი დაარსებული იყო, უახლოეს წლებში მასწავლებელთა კადრებით საშუალო სკოლას ვერ უზრუნველყოფდა. გასათვალისწინებელი იყო, აგრეთვე, სახალხო სკოლის მასწავლებლის სპეციფიკაც, რაც გარდუვალად აყენებდა სპეციალური პედაგოგიური სასწავლებლის შექმნის საკითხს, ამ საკითხის გადაჭრაც დ. უზნაძემ ითავა.

პირველი პედაგოგიური ინსტიტუტი საქართველოში „თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის“ ბაზაზე დაარსდა.

1872 წელს ა/კ მოსახლეობისთვის თბილისში დაარსებული სამასწავლებლო ინსტიტუტი 1918 წლის 16 ივლისს „ქართულ საოსტატო ინსტიტუტად“ გადაკეთდა. ინსტიტუტის დირექტორად 1918 წლის 1 ოქტომბრიდან დ. უზნაძე დაინიშნა. 1918/19 აკადემიური წლის დამდეგისთვის, ე.ი. საქართველოს სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების დაწყების მომენტისთვის, ამ ინსტიტუტში მსმენელად „სულ ექვსი ქართველი ირიცხებოდა“. სასწავლებლის წესრიგში მოსაყვანად საგანგებო მზრუნველობა დ. უზნაძემ გასწია. საოსტატო ინსტიტუტისა და შემდეგ პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსების შესახებ მასალა არსებითად დ. უზნაძის მოხსენებებს მოიცავს. 1919 წლიდან დ. უზნაძე ცდილობს სამასწავლებლო ინსტიტუტი ქარ-

თულ უნივერსიტეტს დაუქვემდებაროს. 1919 წლის 19 მარტს უნივერსიტეტი მიიღებს ინსტიტუტს, როგორც „პედაგოგიურ ინსტიტუტს“ და საკითხის დასაზუსტებლად გამოჰყოფს სპეციალურ კომისიას შემდეგი შემადგენლობით: ე. თაყაიშვილი, დ. უზნაძე, შ. ნუცუბიძე, ა. რაზმაძე. პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორად უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო ერთხმად ირჩევს დ. უზნაძეს.

პედაგოგიურმა ინსტიტუტმა უნივერსიტეტთან 1924 წლამდე იარსება. 1923 წლის ბოლოს ინსტიტუტი დაიხურა (დ. უზნაძე ამ დროს საქართველოს სსრ განათლების კომისარიატმა სამეცნიერო მიზნით მიავლინა გერმანიაში).

პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსება მეტწილად უზნაძის პირადი ინიციატივის საქმე იყო, რაც შეპირობებულია მისი კონცეფციით მასწავლებლის პიროვნების როლის შესახებ პედაგოგიურ პროცესში. დ. უზნაძის პედაგოგიურ კონცეფციაში მასწავლებელს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მასწავლებელი პედაგოგიურ პროცესში ცენტრალური ფიგურაა. მასზეა დამოკიდებული პედაგოგიური პროცესის მთელი მსვლელობა.

მასწავლებელი ხელოვანია, რომელსაც ხელთ უპყრია ბავშვის შინაგანი სამყაროს საუნჯე და ის პედაგოგიური მეცნიერების მიერ გაკაფული გზებით წარმართავს ამ სამყაროს გაშლა-განვითარებას. ამიტომ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ბავშვის პიროვნების განვითარების დინამიკის ცოდნა. მას უნდა გააჩნდეს ადამიანის სულიერ მოძრაობაში ჩანვდომის უნარი. მასწავლებელი განათლებული უნდა იყოს პედაგოგიური მოთხოვნების შესაფერისად. ამ კონცეფციის მიხედვით მთელი განახლებული სკოლა არაფერს ნიშნავს, თუ მას შესაფერისად მაღალი დონის განათლების მასწავლებელი არ ეყოლა. აი, ეს არის დ. უზნაძის პედაგოგიური კონცეფციის ძირითადი დებულება, ამას ამტკიცებდა იგი თავის პედაგოგიურ ძიებაში ყველგან, ეს არის მისი პედაგოგიური კრედიო.

ყოველივე ამის მიხედვით მასწავლებლის მომზადება სპეციალური სასწავლებლის დანიშნულებას შეადგენს; „უნივერსიტეტი თავისი პროფილით ამას ვერ გააკეთებს, ამიტომ უნდა შეიქმნას ჩვენში იმგვარი დაწესებულება, რომელიც თავის ერთადერთ მიზნად უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის, საოსტატო სემინარიისა და საშუალო სკოლის მასწავლებელთა მომზადებას უნდა ისახავდეს“.

დ. უზნაძეს ამოქმედებდა იმის შეგნება, რომ მასწავლებლის სპეციალური პედაგოგიური მომზადების გარეშე მთელი სახალხო სკოლა ეფემერული იქნებოდა. დ. უზნაძე იღვწოდა, შეექმნა ისეთი უმაღლესი ტიპის სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ბავშვის აღზრდისა და სწავლების ოსტატობას მასწავლებელს შეასწავლიდა.

ფსიქოლოგიის ლაბორატორიის დაარსება

1918 წელს დ. უზნაძემ საფუძველი ჩაუყარა ფსიქოლოგიის ლაბორატორიას. ამისათვის ისარგებლა „ცენტრალურ პედაგოგიურ მუზეუმთან“ არსებული ფსიქოლოგიის კაბინეტით. არქივში დაცულია დ. უზნაძის თხოვნა 1918 წლის 4 ოქტომბრის თარიღით: თბილისის საოსტატო ინსტიტუტს გადაეცეს ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმის კუთვნილი ფსიქოლოგიის კაბინეტი „შესანახად და სასარგებლოდ“. დ. უზნაძემ მიიღო ეს კაბინეტი 1918 წელს.

1927 წელს დ. უზნაძის განცხადებაში უნივერსიტეტის გამგეობისადმი ნათქვამია: „ჩემდამი რწმუნებული ლაბორატორია თავიდანვე მოთავსებული იყო იმ შენობაში, სადაც წინად უნივერსიტეტის პედაგოგიური ინსტიტუტი იყო“. ჩვენ ვიცით, რომ უნივერსიტეტის პედაგოგიური ინსტიტუტის შენობა ყოფილი „სამასწავლებლო ვაჟთა ინსტიტუტის“ შე-



ნობა იყო და ეს კაბინეტი აქ იმიტომ იყო მოთავსებული, რომ თავდაპირველად ის დ. უზნაძემ ამ ინსტიტუტისათვის გამოითხოვა. ფსიქოლოგიის ამ კაბინეტის ბაზაზე აშენდა შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ლაბორატორია. მისი დაარსების თარიღი 1918 წლის 9 ოქტომბერია.

1918 წელს დ. უზნაძე 32 წლისაა. უკვე დამთავრებულია ახალგაზრდობისათვის ჩვეული ალტაცებული განცდების ხანა და დადგა უფრო დადინჯებული შემოქმედების პერიოდი. მაგრამ ამ პერიოდშიც, დ. უზნაძის სიცოცხლე კვლავ დაუღალავ და ამოუწურავ შემოქმედებადაა ქცეული. დ. უზნაძე თავს დასტრიალებს ახლადგახსნილ ქართულ უნივერსიტეტს და, სხვებთან ერთად, ქმნის მის მეცნიერულ ტრადიციებს: ასრულებს უნივერსიტეტის ყოველგვარ დავალებას, იქნება ეს ლექციების განაწილების თუ სასწავლო გეგმის შედგენის ან სადოქტორო გამოცდის წესდების დამუშავების საკითხი და სხვ. ის წევრია სასკოლო კომიტეტისა, სატერმინოლოგიო კომისიისა, წერს საშუალო სასწავლებლისათვის სახელმძღვანელოებს, ინიციატორი, დამაარსებელი და ხელმძღვანელია საოსტატო ინსტიტუტისა, შემდეგ პედაგოგიური ინსტიტუტისა, აარსებს ფსიქოლოგიის კაბინეტს, მეთაურობს სასკოლო რეფორმას, ხელმძღვანელობს მასწავლებელთა კურსებს. ამავე დროს დ. უზნაძეს საკუთარი, პირადი, საქმიანობა აქვს: ფსიქოლოგიის კათედრა უნივერსიტეტში, ფსიქოლოგიური მეცნიერების სისტემატიზირე-

კიტა აბაშიძე:
იგი ახალგაზრდა ნიჭიერი საზოგადო მოღვაწეა. მის მშვენიერ, ღრმა ცოდნით აღსავსე საზოგადო ბაზას არაერთხელ დაუტკბია ჩვენი სმენა; იგი ნიჭიერი მწერალია და ნიჭით შემკული ლექტორი. სულ ახალგაზრდა იგი ყოველგვარ საზოგადო მოღვაწეობასაც ეწევა, ერთი სიტყვით, თვალსაჩინო წევრია საზოგადოებისა.

ბა ქართულ ენაზე. ამ საქმეს იგი ცარიელი ადგილიდან იწყებს, წინამორბედი არავინ ჰყავს. მეცნიერულ თეორიულ მუშაობას ამ პერიოდში დ. უზნაძე კიდევ უფრო აღრმავებს; იგი წერს შრომებს: ლაიბნიცის ფილოსოფიაზე, მონოგრაფიას ანრი ბერგსონზე; ამასთან ერთად, იგი პრაქტიკულ-საზოგადოებრივ საქმიანობაშიცაა ჩართული.

1918 წელს ქართველ მოღვაწეთა ერთი ჯგუფის თაოსნობით ქართულ უნივერსიტეტთან დაარსდა „პეტრონის სახელობის ფილოსოფიო საზოგადოება“. დ. უზნაძე ამის ერთ-ერთი ინიციატორთაგანი იყო. გაზეთის ცნობით, დამფუძნებელ კრებას დაესწრნენ უნივერსიტეტის რექტორი პეტრე მელიქიშვილი, პროფესორები და მეცნიერ-ხელმძღვანელები: ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, ინიციატორები — დიმიტრი უზნაძე და იოსებ ყიფშიძე, გიორგი ახვლედიანი და სხვები. კრებამ აირჩია 46 წამდვილი წევრი. ამ საზოგადოების სხდომაზე, რომელიც მისი დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ ჩატარდა დ. უზნაძის თავმჯდომარეობით, წაკითხულ იქნა „ფრიად

შინაარსიანი მოხსენება პროფ. შალვა ნუცუბიძისა: „ბუნებისათვის ცნებისა“.

1909-1920 წლების მანძილზე დ. უზნაძის მიერ დაწერილი ფილოსოფიური და პედაგოგიური ხასიათის შრომები მისი მომავალი ფსიქოლოგიური კვლევის წინამოსამზადებელი საფეხური იყო. ამ პერიოდში დ. უზნაძე, გარდა პედაგოგიური საკითხებისა, რომელთა შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, წერს უმთავრესად ესთეტიკისა და ხელოვნების ფილოსოფიურ კრიტიკაზე („ნ. ბარათაშვილის ლირის მოტივები“, „განდგომილობის პრობლემა ი. ჭავჭავაძის განდევნილში“, „აბაშელის პოეზია“), ფილოსოფიის საკითხებზე („სიკვდილი“, „ინდივიდუალობა და მისი გენეზისი“, „ომის ფილოსოფია“, „რა არის შემეცნების თეორია“).

ქართული საზოგადოება თავიდანვე დიდ იმედებს ამყარებდა ამ ახალგაზრდა მკვლევარზე, რომელიც ჯერ კიდევ 23 წლის ასაკში გაბედულად დადგა ქართველ მოღვაწეთა უფროსი თაობის რიგებში.

1921 წლიდან დ. უზნაძის შემოქმედებაში ახალი ფსიქოლოგიურ-მეცნიერული კვლევის პერიოდი იწყება. ამ პერიოდში დაინერა მისი მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული შრომები (მათში ფსიქოლოგიის დიდი კურსებიც იგულისხმება: ზოგადი ფსიქოლოგია, ბავშვის ფსიქოლოგია და სხვა). ისინი მრავალი ძირითადი ხასიათის ფსიქოლოგიური პრობლემის გარკვევას ემსახურებიან და მათ დღესაც ოდნავადაც არ დაუკარგავთ აქტუალური მნიშვნელობა; ზოგ მათგანს კიდევ საერთაშორისო ფსიქოლოგიური აზროვნების ყურადღება აქვს მიქცეული (მაგ.

დ. უზნაძის ამოქმედებულ იმის შეხებაზე, რომ მასწავლებლის სასწავლო პედაგოგიური მომზადების გარეშე მთელი სახალხო სკოლა ეფექტური იქნებოდა. დ. უზნაძე იღვწოდა, შეაქმნა ისეთი უმაღლესი ტიპის სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ბავშვის აღზრდისა და მასწავლებლის მომზადების მასწავლებელს შეასწავლიდა.



შრომას „მნიშვნელობის წვდომის პრობლემისათვის“, „ცნების შემუშავება სკოლის წინარე ასაკში“, „სახელმწიფოს ფსიქოლოგიური საფუძვლები“ და სხვ.).

ამ შრომებს საქართველოში ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარებაში ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვთ ამჟამად მიმდინარე ფსიქოლოგიური კვლევა საქართველოში ინარჩუნებს ამ შრომათა თემატიკისა და პრინციპების წამყვან მნიშვნელობას. ერთი სიტყვით, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ დ. უზნაძე საქართველოს სინამდვილეში ის შემოქმედი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ ფსიქოლოგიურ მეცნიერებას. ფსიქოლოგიის დარგში ყოველი ამჟამად და მომავალშიც მომუშავე ქართველი ფსიქოლოგი, განურჩევლად მისი ფსიქოლოგიური კონცეფციისა, ამ მყარ ნიადაგზე ყლორტნაყარ მეცნიერების ნაყოფად ჩაითვლება. მაგრამ საგანგებო ყურადღებას მიაჩნდ. უზნაძის განწყობის თეორია იპყრობს. განწყობის თეორია წარმოადგენს: 1. ახალ პრინციპზე აგებულ კონცეფციას ფსიქოლოგიის საგნის შესახებ; 2. მისი ექსპერიმენტებით აღმოჩენილი ფაქტები განძია ფსიქოლოგიური მეცნიერებისთვის; 3. ქართული ფსიქოლოგიური სკოლა განწყობის ნიადაგზე აღმოცენებული; 4. ქართული ფსიქოლოგიური სკოლის არსებობა, ის, გარემოება, რომ მისი ნაამბარი შემოქმედებით ნაკადად ერთვის მსოფლიოს ფსიქოლოგიურ აზროვნებას, უეჭველია, ჩვენთვის დიდი კულტურულ-პროგრესული მნიშვნელობის ფაქტია. ქართული ფსიქოლოგიური აზროვნების მნიშვნელობას ფსიქოლოგიის მეცნიერების თანამედროვე საფეხურზე ძირითადად და არსებითად დ. უზნაძის განწყობის თეორია განსაზღვრავს.

ქართული ფსიქოლოგიური სკოლა

განწყობის ფენომენის შესახებ ექსპერიმენტული მასალის დაგ-

როვება დ. უზნაძემ 1927 წელს დაიწყო და მრავალ პირთა თანამშრომლობით ამ ექსპერიმენტულ მუშაობას იგი აწარმოებდა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. სწორედ მისი თანამშრომელ-მონაფეებისაგან შეიქმნა „ქართული ფსიქოლოგიური სკოლა“.

ცნობილია, რომ განწყობის ყოველ დებულებას დ. უზნაძე დიდ ექსპერიმენტულ მასალაზე აფუძნებდა. ამ ცდისეული მასალის მოპოვება მისმა მონაფეებმა შეასრულეს. რასაკვირველია, მიზნის, ამოცანის და მეთოდის განსაზღვრა და ზოგადი ხელმძღვანელობა დ. უზნაძეს ეკუთვნოდა: განწყობის ყველა ექსპერიმენტს ის თავისი ძირითადი იდეის მიხედვით აყალიბებდა და მოპოვებული ფაქტი განწყობის ცნების საერთო კონტექსტში შეჰყავდა; მაგრამ ჩატარებულ ექსპერიმენტზე განეულ შრომას იგი ცდის უშუალო მწარმოებელ თანამშრომელს აკუთვნებდა და ამ საკითხის ავტორობას მას აკისრებდა. ამრიგად, ერთი იდეით გაერთიანებული, გარკვეული მეცნიერული მიმართულების მქონედ აღნიშნული სკოლა განწყობის თეორიის ექსპერიმენტული დამუშავების პროცესში ყალიბდებოდა. დ. უზნაძის განწყობის თეორია ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მიმდინარეობად შევიდა ფსიქოლოგიის ისტორიაში. რა თქმა უნდა, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ჩამოყალიბებას ძირითადად და არსებითად ხელი შეუწყო: ა) განწყობის თეორიის მეცნიერულმა ხასიათმა; ბ) მისი კვლევის საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტულმა მეთოდმა, რომლის კლასიკური ნიმუში დ. უზნაძემ 1929-1930 წლებში მოგვცა (გრიგოლ ხმალაძის ცდები); გ) დ. უზნაძის პიროვნების მოქალაქეობრივმა მორალურმა ღირსებებმა; დ) მისი მონაფეების მეცნიერულმა ინტერესმა და ნიჭმა. ყველა ამ გარემოებამ დ. უზნაძის თითოეული თანამშრომელი-მონაფე განწყობის თეორიის თანაზიარი გახადა, მასთან იდეურად დააკავშირა.

განწყობის თეორიის ადგილი თანამედროვე ფსიქოლოგიაში

დ. უზნაძე სიცოცხლეშივე იქცევს თანამედროვე დიდ ფსიქოლოგთა ყურადღებას (პიაჟე, შტერნი, კელერი, ვილფოლი, ვიგოცკი, რუბინშტეინი, კოფკა). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარსების 20 წლისთავზე თავის მოხსენებით წერილში დ. უზნაძე წერდა: „ამჟამად ჩვენში ყოველდღიურად გამოკვლევათა მთელი რიგი მზადდება, რომელთა მეცნიერული ღირებულება იმდენად უდავოა, რომ ბევრი მათგანი მეცნიერების მტკიცე მონაპოვრად ითვლება და მსოფლიო მნიშვნელობის სახელმძღვანელოებშია შეტანილი...“

სპეციალურ ფსიქოლოგიურ გამოკვლევებში, რა ენაზე უნდა იბეჭდებოდეს იგი, ტფილისის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური კათედრის გამოკვლევათა შედეგების დასახელება და გამოყენება დღეს ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა“. ასევე უნივერსიტეტისადმი მიძღვნილ თავის მეორე მოხსენებაში დ. უზნაძე წერს: „ჩვენი ლაბორატორიის ნამუშევრები შეტანილია თითქმის ყველა დიდმნიშვნელოვან სახელმძღვანელოში როგორც რუსულ, ისე ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე... ჩვენი ლაბორატორიის ზოგიერთი მეთოდით უდიდესი ფსიქოლოგიური ლაბორატორიები სარგებლობენ, მაგ., ლაიფციგის უძველესი ფსიქოლოგიური ინსტიტუტი.“

ცნობილია, რომ საფრანგეთის უდიდესმა ფსიქოლოგმა პიაჟემ, დ. უზნაძის სიცოცხლეშივე, კონტრასტული ილუზიის ფენომენს „უზნაძის ფენომენი“ უწოდა და ანალოგიურ მოვლენებს ამ სახელწოდებით აჯგუფებდა.

მოამზადა
ლარიჟან ანდრიაკიძე



ილია ჭავჭავაძე პრესის თავისუფლებისა და დანიშნულების შესახებ

მასმედიის როლი ქვეყნის საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მისი მიმართულებები, განვითარების ტენდენციები, საზოგადოებისა და პრესის დამოკიდებულება ის საკითხებია, რომლებზეც ფიქრი და რომელთა გააანალიზებაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც. ჯერ კიდევ 1882 წელს ილია ჭავჭავაძე პრესის თავისუფლების შესახებ წერდა, რომ გაზეთების ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულებაა, საზოგადოებას და თვით მთავრობასაც კი შეატყობინოს და გააცნოს ხალხის ჭირ-ვარამი, ავი და კარგი, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც „საზოგადო საქმეებს შეეხება იმ ქვეყნისას“, სადაც ეს გაზეთი გამოდის.

ამ დანიშნულების შესრულება ქვეყნის სასარგებლოდ მით უფრო შესაძლებელია, რაც უფრო ნაკლებად დამოკიდებული იქნება სხვადასხვა გარეშე მიზეზზე, რაც უფრო „მომეტებული ნება“ ექნება, რომ თამამად და მოურიდებლად ილაპარაკოს და წეროს სიმართლე, რეალურად და სწორად ასახოს ფაქტები; შეძლოს ისეთი სარწმუნო ფაქტების შერჩევა, რომლებიც ობიექტურად გამოხატავენ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს; ამასთან, მიუკერძოებლად შეაფასოს ისინი.

მასმედია, რომელიც დამოკიდებულია ხელისუფ-

ლებაზე ან მედიამეპატრონეზე, სშირად „დუმს“ სიმართლეზე, ეს დუმილი გადამდებია და საზოგადოებაც გარკვეულწილად ეჩვევა სიცრუეს.

რამდენადაც ადამიანობის საზომი ნებისმიერ დროსა და ეპოქაში ნამუსის სინმინდე და პატიოსნებაა, ზედმეტი არ იქნება, XXI საუკუნეში მაინც მოვუსმინოთ დიდ ილიას, მით უფრო, როცა სასაზოგადოებრივ ოცნებების ახდენას ვაპირებთ.

1877 წლის 3 მარტს ილია ჭავჭავაძემ „საპოლიტიკო და სალიტერატურო“ გაზეთი „ივერია“ გამოსცა და ამით ქართველი ერის ცხოვრებაში რაღაც ახალი ეტაპი დაიწყო.

სამწუხაროა, რომ ქართველი ხალხი დღესაც იმავე საშინაო და საგარეო პრობლემების წინაშე დგას, რომლებზეც გაზეთი „ივერია“ 135 წლის წინ წერდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ გაზეთის პირველი ნომრის უკან 25 წლის რედაქტორი დგას, გაგვიკვირდება მისი სიბრძნე და განონასწორებულობა, რაც სიჭარმაგეში გადასული ადამიანის თვისებები უფროა, ვიდრე ახალგაზრდისა.

პრობლემათა ანალიზით, აქტუალურობით, აქცენტებით ილია ჭავჭავაძე უაღრესად თანამედროვე რედაქტორიცაა. ილიას ეპოქის „ივერიიდან“ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მკითხველი პარალელურად უკეთ გააგებებს, ადვილად გააანალიზებს და, შესაბამისად, უკეთ მიხვდება, რა არის დღეს საკეთებელი.

ილია ჭავჭავაძე

გაზეთი «ივერიის» მარცხი

ტბილისი, 2 ივლისი, 1887 წ.

„არა გვგონია, სხვაგან სადმე იყოს ისეთი ქვეყანა, სადა ადამიანის პატიოსნება და ნამუსი ისე წინდაუხედავად, ტყუილუბრალოზედ ილახებოდეს, როგორც ჩვენში. ჩვენის ფიქრით კი ადამიანს, კაცია თუ ქალი, პატიოსნების და ნამუსის მეტი სხვა უძვირფასესი არა აქვს რა გასაფრთხილებელი და წმინდად შესანახავი. ადამიანი ადამიანობს მარტო პატიოსნებით და ნამუსითა და, ვინც

ეს იცის, იმისათვის შებლაღვა ან ერთისა და ან მეორისა ყოველს დანაკლისზედ უმძიმესია, ყოველს მწუხარებაზედ უდიდესი მწუხარებაა.

თუმცა ესეა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენში კი არაფრად მიაჩნიათ ჩირქის მოცხება და წაწყმედა სხვისის პატიოსნებისა და ნამუსისა. ამისთანა უკადრის საქციელს არსად არ ვერიდებით, და საცა ამას ვხედავთ, არამც თუ შესაფერის გულისწყრომით აღ-





ვიჭურვებით ხოლმე, არამედ მცირეოდენადაც არ შევიხრით წარბსა. პირიქით, ზოგჯერ თითქო საქციელს ვუნონებთო, ვიძახით: უჰ, რა ლაზათიანად გამოგილანძლა ამ კაცმა ის კაციო; ასეთი ყოფადანია რომ შენი მოწონებულიო.

ამისთანა საქციელს არ ვერიდებით არც შინა, არც გარეთ, არც საქვეყნოდ და არც კერძოდ, არც საზოგადოებაში, არც ცალკე. როცა ეს ამისთანა უკადრისი საქციელი აშკარაა და პირდაპირ ზედმოსეულია, მაშინ ამის მომქმედს ცოტაოდენი ნიშანწყალი ადამიანობისა კიდევ შეიძლება ვუგულისხმოთ, იმიტომ, რომ არ იქნება ისიც არ გამოელოდებოდეს რაიმე განსაცდელსა აშკარად გაუპატიურებულის კაცისაგან. მაშასადამე, იგიც რაიმეს უნდა ჰშიშობდეს, და რაკი გაკადნიერდა უკადრისის ქცევისათვის, სჩანს სძლია შიშსა და განსაცდელს გულდაგულ უხვდება. პირდაპირ ზედმოსეული ავაზაკი იმოდენად საზიზღარი არ არის, რამოდენადაც მხდალი ქურდბაცაცა. იმიტომ რომ ამისთანა ავაზაკი იმოდენად იმეტებს თავისთავსა, რამოდენადაც გამომეტებული ჰყავს თავისი მოპირდაპირე; აქ მარტო გამარჯვებაა თავდები მისის გადარჩენისა. ქურდბაცაცა კი მალული მტერია, მისი ანგარიში იმაზეა აგებული, რომ მემარჯვება თუ მემარცხება, მე თვითონ არ დამაკლდება რაო, მე კი შემძლიან ვავნო, თუ მემარჯვა, და ის კი მე ვერას მავნებს, თუ მემარცხაო.

ქურდბაცაცაზედ უარესნი არიან ისინი, ვინც იმოდენად ხელს იღებენ თავზედ, რომ ცილისწამებით, ხმების დაყრით ჩუმად და იღუმალად უბლალავენ თვის მოპირისპირეს პატიოსნებას და ნამუსსა. რაკი ჯავრი ვისზედმე ჩაიდეს გულში, მაშინ იმათთვის მოსარიდებელი აღარა არის-რა; კაცია, თუ ქალი, არ მოერიდებიან, რომ ყოველგვარი ლაფი თავს გადაასხან და ერთსაც და მეორესაც სახელი გაუტეხონ, სახელი დაუშხონ.

ესეთი საზიზღარი საქციელი მაშინ უფრო საზიზღარია, როცა ნიშნად ამოღებულია დედაკაცი.



მამაკაცი ასე თუ ისე შემძლებელია ცილის მწამებელს არ შეუშინდეს და ტყუილს ტყუილის კარამდის ჰსდოს. რა ქმნას ამის არშემძლებელმა უღონო დედაკაცმა! უსამართლოდ, ცილისწამებით გაუპატიურებულმა გრძნობამ დედაკაცის ღირსებისამ სად და რაში ეძიოს თვისი მსჯავრი, თვისი კმაყოფილება! აქ ნამუსის მპარავი ყოველ შიშს გარეთ არის, ყოველს განსაცდელს აცილებულია და მით არის იგი უფრო ბილნი და მაშასადამე, უფრო საზიზღარი.

ჩვენ მოგვივიდა ერთი მოთხრობასავით რაღაცა წერილი, საცა თურმე ჩამოთვლილია ზოგიერთი ამბავი, ერთის ხელნაწერის პასკვილიდამ ამოღებული. დღესაც, ბუნებრივია, არა მარტო პრესა, მასმედიის ყველა საშუალება ნებით თუ უნებლიეთ ჩართული ხდება ცოდვა-ბრალის ამ საშინელ ორომტრიალში. ერის ბედზე დაფიქრებული დიდი მამულიშვილი ნუსხს: „ჩვენ ვერ მივუხვდით ამ მოთხრობის აზრსა, და რადგანაც თვითონ მოთხრობა ცოტად თუ ბევრად ღირსად ვცანით დაბეჭდვისა, დავბეჭდეთ, და ამ სახით ერთს საზიზღარს ცოდვაში ჩვენ, ჩვენდა უნებურად, მონაწილეობა მივიღეთ. თუმცა არცოდნა არცოდვია, მაგრამ მაინც დიდად შემანუხებელია, რაკი შევიტყეთ,

რაზედ არის აშენებული იგი მოთხრობა.

ჩვენ, ვიმეორებთ, ვერ მივუხვდით შინაგანს აზრს მოთხრობისას და იქ კი, საიდანაც გამოგზავნილი იყო იგი მოთხრობა, ყველანი მიმხვდარან, რაც ამბავია: თურმე ნუ იტყვით, სდომებიათ უპატიურად გაეხადნათ ნიშანში ამოღებულნი, ჯავრის ამოსაყრელნი გვამნი — და ამით ხელნაწერად გავრცელებულ პასკვილისათვის გაზეთში გამოტარებულ სიტყვით ცოტად თუ ბევრად გზა გაეხსნათ.

„ივერია“ როგორც ჭირს ერიდება ამისთანა საქციელს, ძლიერ ჰფრთხილობს, მაგრამ რას იზამთ, როცა ავზნეობას, უკადრისად ქცევას, ამდენი სამალაგები აქვს, ამდენი ფარული გზები შემოსაპარავად. რედაქციას სწორედ გულთმისნობა უნდა ჰქონდეს მომადლებული, რომ ამ შემთხვევაში უნებური შეცდომა არ მოუვიდეს და უცოდნელად დანაშაულში არ გაერიოს.

გულით ვწუხვართ, რომ ესე მოუხდა „ივერიას“, მაგრამ ესეც კი ვიცით, რომ ჩვენი მწუხარება უბრალოდ გაუპატიურებულის გულის ცეცხლს ვერ გაანელებს: ეს ცეცხლი მეტად მწვავეა და დიდხანს გაუქრობელი მისთვის, ვინ იცის, რა დიდი საუნჯეა ადამიანისათვის სიფაქიზე პატიოსნებისა და სინმინდე ნამუსისა“.

საზოგადო საშმის მსახურთა სახელის დაცვისათვის

ტფილისი, 29 დეკემბერი, 1887 წ.

ჩვენი გაზეთი მეტად ჰფრთხილობს, რომ არა რომელიმე კაცი არ იყოს გაბიაბრუებული, გაუპატიურებული არც მართლად და არც ტყუილ-უბრალოდ. გაბიაბრუება, გაუპატიურება. ვისიმე საკადრისი არ არის არც ცალკე კაცისაგან, არც ლიტერატურისაგან, რომელიც მართებულობის და რიგიანობის მაგალითი უნდა იყოს, და თუ ან ერთი აკლია, ან მეორე, ღირსი არ არის წმინდა სახე-



ლი ლიტერატურისა ატაროს. ჭუჭყიანი სიტყვა-პასუხი, ჭუჭყიანი გულისნადები, რომელიც ზედ აბეჭდია ხოლმე ყოველს კაცს, სხვის გასაბიარებლად გამოლაშქრებულს, მეტისმეტად ცხადი ნიშანია თვითონ მოლაშქრეს უწმინდურობისა და ჭუჭყისა.

ჩვენ ამის თაობაზედ არაერთხელ გვექონია ლაპარაკი და ისიც დაგვიმატებია, რომ ეს ჩვენი აზრი იმას კი არ ჰნიშნავს, ვითომც კაცი განკითხული არ უნდა იყოს, როცა განსაკითხავია. ხოლო განკითხვაც არის და განკითხვაც. განკითხვა ადამიანისა არ შეიძლება ზრდილობიანი, თავაზიანი და მართებული იყოს?! დღეს ჭემ-მართლად განათლებული და გულ-ლით და გონებით განათლებისაგან გაფაქიზებული და განწმენდილი კაცი ითხოვს. რომ ადამიანურად, ადამიანის ღირსების ძირს დაუშვებლად ექცეოდნენ თვით ავაზაკსაც კი, რომელიც უკვე წამოსკუპებულია დამნაშავეთა სკამზედ და მსჯავრი მის მიერ შეგინებულის სათნოებისა უკვე თავს დასტრიალებს სამართლიან ზღვევისათვის.

თუ ავაზაკს ესე უნდა მოვექცეთ, მაშ, როგორ უნდა მოვექცეთ ერთმანეთს, როცა ბედი და გარემოება შეგვახვედრებს ხოლმე ერთმანეთის განსაკითხავად? ცხადია, როგორც, მაგრამ, ჩვენ-და სამუხაროდ, ჩვენში მართებულ, ზრდილობიან განკითხვისათვის ბევრს აკლია საფანელი. ბევრს გული და გონება ამისათვის საკმაოდ განწმენდილი, განურთვნილი არა აქვს. ამიტომაც ისეთს თავზედ ხელაღებულს ლანძღვა-თრევას, ისეთის სიხარულით კაცის ავად ხსენებას არსად ჰნახავთ, როგორც ჩვენში. **საკმაოა, ჩვენში კაცმა კაცს რაზედმე საბუთიანი უარი უთხრა, საკმაოა, ერთს რომელსამე აზრზედ არ დაეთანხმო, საკმაოა, შენი საკუთარი აზრი იქონიო, სხვის სიტყვას, სხვის საქმეს სამართლიანი წუნი დასდო, საკმაოა, რაც იმას მოსწონს, თქვენ არ მოინონოთ, — ერთ-ერთი ამისთანა საკმაოა-მეთქი, რომ მომდურავ-**

მა კაცმა თავისი კალამი თუ ენა ლაფში ამოავლოს და ზედ თავზედ დაგაბერტყოთ. სამწუხაროა, ჭირთა-ჭირი ის არის, რომ ამის მომქმედს ბარაქალის ქუდსა ვხურავთ და ისიც გაბლინძული და გამოჭიმული დადის და უსირცხვილოდ ჰქაფულობს თავის სამარცხვინო საქციელს.

დღე არ გადის, რომ ზოგიერთ ადგილებიდან ესე ლაფში ამოვლებულ კალმით დაწერილი კორესპონდენციები არ მოგვდიოდეს. ზოგი ამასა ჰლანძღავს ასეთი და ასეთი და სამსახურიდან უნდა გაგდებულ იქმნასო, ზოგი მეზობელზედ, ზოგი მტერზედ, ზოგი მოყვარეზედ. ყოველის სტრიქონიდან გამოჰკრთის, რომ აქ ნაწყენი, გადამტერებული, დამუქრებული გული მოქმედებს, და არა გამკითხველი, გულდინჯი, ჭკუადაძვდარი მართალი.

ამ ლაფის წვიმის ქვეშ, რა თქმა უნდა, უფრო იმისთანანი ჰდგანან, რომელთაც უბედური სვე შეხვედრიათ და გამოსულან გასარჯელად საზოგადო მოედანზედ საზოგადო სამსახურისათვის შეძლებისამებრ. იმისთანა უნუგემო, უმწეო, ხელთალუპყრობელი კაცი არ არის ჩვენში, როგორც საზოგადო საქმის მოღვაწე. როგორც გადატეხილს ღობეს, დიდი და პატარა მისდგომია და თელავს. **არავის სტკენს გულს ეს ასეთი უსამართლო ქცევა, არავის ეზიზღება. არავის ეთაკილება. ისე გაბიარებული, ისე გაუპატიურებული არავინ არის ჩვენში, როგორც სვეუბედური მსახური საზოგადო საქმისა.** აქაო და, მოედანზე სდგას და ნიშანში ადვილი ამოსაღებიაო, აღარაფერს ვერიდებით, ვასორსლებთ ტალახის გუნდას და პანტასავით თავზე ვაყრით.

უცდომელი არავინ არის და შესაძლოა საზოგადო მოღვაწე ბევრში სცდებოდეს, ბევრში არ ემარჯვოს, ბევრში იმედი გაუმტყუნდეს და ამასთანავე შესაძლოა, რომ გული, ნამუსი, სინიდიის წმინდა ჰქონდეს, სურვილი, განზრახვა, გულისნადები პატიოსნად ერჩოდეს. **არ-გამარჯვება, იმედ-**

თა გამტყუნება შეცდომილება საზოგადო მოღვაწისა ჩვენ სასიხარულო ამბად მიგვარჩნია, იმიტომ რომ შემთხვევას გვაძლევს ლანძღვის გუდას პირი მოვხსნათ და გაბიარებულის, გაუპატიურების სანამლაფში ამოვლებულ ისრით გული გავურღვიოთ, და რამდენად უფრო სატკენია, სანყენია ეს ამბავი მოღვაწისათვის, მით უფრო ბევრს ბარაქალას ვეუბნებით მსროლელსა.

ამ ჭუჭყს მოვპირიდანეთ. კმარა ასეთი სამარცხვინო ქცევის შეწყნარება. სამართლიანის გულისწყრომით ზურგი შევაქციოთ სხვის გამაუპატიურებელს და ყოველივე ლანძღვათრევით გაბიარებული ჩვენს საფარველ ქვეშ მივილოთ და სარჩლი გავუწიოთ. ამას ითხოვს ჯანმრთელობა საზოგადოებისა, ამას ითხოვს ნამუსი და პატიოსნება ყველასი ერთად და თვითეულისა ცალკედ. გულტკივნეულად მოქმედი მართებული გამკითხველია და არა შემადგინებელი და მლანძღავი. პირველს მხარი მივსცეთ და მეორე კი... მეორემ კი ილანლანოს, ვიდრე თვის საკუთარ ლაფში სული შეუგუბდება და დაირჩობა.

ყალბი და ნაფიხილი

ტფილისი, 17 ოქტომბერი, 1887 წ.

ლოლიკა თითქო ბაჟს რასმე ემალებაო, სადღაც გაექცა, სადღაც დაეკარგა ადამიანსა. ღრმად დაკვირვება არ არის საჭირო, კაცმა დაინახოს, რომ ადამიანის ჭკუას რაღაც გაუტყდა, ბუნებური მართულები მოეშალა, რაღაც სალტეან მოჰშვებია, ანუ უფრო მეტად ნასჭერია, რაღაც სოლი ამოვარდნია და ძირით თხემამდე თავი და ბოლო დაჰბნევიან. **კაცს ეხლანდელ დროში ვერა გაუგია რა, ვერა გამოურკვევია-რა. ხედვით ერთსა ჰხედავს, სმენით სულ სხვა ესმის. არის ერთი არეულობა.**

იპარვენ პატიოსნების სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად პატიოსნება და სად მპარაობა?

აბეზლებენ და ცილსა სწამებენ გულმტკივნეულობის სახელითა



და არავინ ჰკითხულობს: სად ცილი და ბეზლი და სად გულმტკივნეულობა?

ჰლალატობენ საქმეს, ჰლალატობენ ერთმანერთსა ერთგულობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ღალატი და სად ერთგულობა?

სხვის ნაკლს, სხვის უბედურობას თვის ღირსებად, თვის ბედნიერებად, თვის სიხარულად სთვლიან კაცთმოყვარეობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად სხვის ნაკლის და უბედურობის გამო სიხარული და ცეკვა და სად კაცთმოყვარეობა?

სტყუიან, ცრუობენ სიმართლის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ტყუილი და სად სიმართლე?

კაცს სამარცხვინო ბოძზედ ტყუილ-უბრალოდ გასაკრავად არა ჰზოგავენ, არ ჰთაკილობენ, და იძახიან კი, — ადამიანის ღირსება, ადამიანობა ხელშეუხებელია, სათაყვანებელიაო, და გამკითხავი არავინ არის: სად ტყუილ-უბრალოდ ადამიანის თავზე ლაფის დასხმა და სად ხელშეუხებელობა ადამიანის ღირსებისა?

ათასს ამისთანას ჩამოგიტვლით, საცა თქმა საქმეს არ ებმის და საქმე თქმას არ ემსგავსება, არ ეთანხმება. ყველაფერი ეს ცარიელის სახელით გადის და სახრავს კი არავინ დაგიდევთ. ფიცის სწამთ და ბოლო კი არავის აკვირვებს, თქმა ერთია და ქმნა სხვა. ნუთუ ამას არ ეთქმის, რომ ლოლიკა დაკარგულია, ხელიდამ ნასულია, სადღაც ბარდებშია განაბული?...

ეს ყოფა და ამბავი დიდი ჭირია. ამ ჭირს კაცთა კერძო ცხოვრების ერთმანერთობაში ადამიანი კიდევ როგორც იქმნებოდა, ვაითა და ვაგლახით აიტანდა, გაუძღვებოდა. ვიდრე ქვეყანაზე კაცია, ბოროტიც არის და ბოროტი ხომ იმითია მარტო სულდგმული, რომ თქმა ერთი აქვს და ქმნა სხვა. უამისოდ იგი ერთს დღესაც ვერ გაიჭაჭანებდა კაცთა შორის, ერთს დღესაც ვერ გააბამდა თავის სამაცდურო ბადესა კაცთა საქერად. თუმცა ესეა, მაგრამ ეს ბოროტი, ეს ჭირი ასე თუ ისე აღ-

ვილად მოსანელებელია, ადვილად სახდელია, როცა შინაობაში, ერთმანერთობაში ცალკე კერძო კაცი მოგვივლენს ხოლმე.

სულ სხვაა და დიდი და მეტისმეტი უბედურებაა, როცა ეს ბოროტი, ეს ჭირი გზას გაიხსნის, მოედანს მოიპოვებს იქ, სადაც თქმა და ქმნა ერთი უნდა იყოს, სადაც ჭეშმარიტება უნდა ჭეშმარიტობდეს, მართალი ჰმართლობდეს, კეთილი ჰკეთილობდეს და პატიოსნება ჰპატიოსნებდეს, სადაც ხმა ერისაა და მაშასადამე, ღვთისაცა. ამისთანა „წმიდა წმიდათა“ ლიტერატურაა, საცა ჭკვათამყოფელი, უკეთესი, თავანკარა ნაწილი ერისა უნდა მეტყველებდეს ამკარად, უფერუმართლოდ, უტყუილოდ და უხვანჯოდ. ლიტერატურას სხვათა შორის ერთი შვილი ჰყავს, რომელიც დღეს ყველა სხვა შვილებზე უფრო გაძლიერებულია, უფრო გავლენიანია. ამ შვილს „ჟურნალ-გაზეთობას“ ეძახიან. ამ ჟურნალ-გაზეთობაზე, რომელიც სხვა არა არის რა გარდა ყოველდღიურის ცხოვრების სარკისა, ერი აქდევს ხოლმე თავის ავკარგიანობასა დღითი დღემდე.

აი **სავაგლახო ის არის, როცა ზემოხსენებული ჭირი აქ, ამ ჟურნალ-გაზეთობაშია ც დაიბუდება,** როცა აქ თქმა და ქმნა ერთმანერთის განუყრელნი და-ძმანი არ არიან. მაგრამ რა თქმა და რა ქმნა! დღევანდელ ჟურნალ-გაზეთობას სხვა რა სჭირს კარგი, რომ ეგა სჭირდეს და თქმასა და ქმნას ერთმანერთს არ ამორებდეს და ერთმანერთს არ უპირისპირებდეს. ჩვენ არ ვიცით არც ერთი შემადრწუნებელი ზნე, რომ დღეს ჟურნალ-გაზეთობაში არ დაბუდებულიყოს, ოღონდ, ავად თუ კარგად, ჟურნალ-გაზეთობასთან მოსათავსებელი იყოს და ასე თუ ისე მოსახმარებელი.

გამოცინცვლა რისამე, გნებავთ ვისგანმე, იპოვით იმისთანა ჟურნალ-გაზეთს, რომელიც მზაა სამსახურისთვის. **სახელის გატეხა გინდათ ვისიმე, რამსიგრძეთაც გნებავთ, დაგრიხეთ ბანარი ჭორებისა და იპოვით იმისთანა ჟურ-**

ნალ-გაზეთს, რომელიც სიხარულით დაგითმობთ ადგილსა და თავს მოიწონებს კიდევ ლიბერალობითა. მაშ... ყველას ჰპენტავს და სწენავს, ლიბერალობა არ არის, მა რა ემბაკია!... ჯავრის ამოყრა გინდათ ვისიმე, შესთხზეთ ერთი სამარცხვინო ამბავი თქვენს გამჯავრებელზედ, მოაყარეთ პილპილი ცილისნამებისა, მარილი ლაზათიანის გინებისა და გათავებულისა საქმე. არიან იმისთანა გაზეთები, რომელიც არამცთუ ხელაღპყრობით მიგიღებენ, როცა მიუტანთ ამისთანა განძსა დასაბეჭდად, არამედ თვით მოგნახვენ და თავს შემოგვევლებიან, ოღონდ ხელიდამ არ ნაუვიდეთ თქვენ მიერ შეითხნილი ლანძღვა-გინება.

ჭირთა-ჭირი ეს არის, რომ აღარც მკითხველებსა აქვთ ხალისი და კბილი უკეთესის კითხვისათვის. შეაჩვიეს ყური ამისთანა უწმინდურს ქარაფშუტობას და ცუდლუტობას და ყოველივე ჭკუის გასამრჯელო, გრძნობის ამამალლებელი მოიძულეს, მოიწყინეს, თითქო სიტყვა ადამიანისა სამურველი იყოს, რომ მარტო ყური ჰფხანოს და ჭკუას, გონებას, სულსა და გულს არ მიეკაროს არასგზით. დღეს სიკეთეს თუ სიავეს მწერლობისას მარტო ამ საწყაოთილა სწყვენ. ვაიც ამაშია და ვაგლახიც დღევანდელის დღისა.

ქნელია, როცა სახელმძღვანელო დედააზრებს ფეხქვეშა მინა გამოცელება; ქნელია, როცა თქმასა და ქმნას შუა ხიდი ჩატყდება. აი მაგალითი ამისთანა ყოფისა, რომელმაც გამოიწვია ეს ჩვენი საუბარი და რომელიც ერთი მრავალთაგანია. კითხულობთ ჟურნალ-გაზეთებს და ბიკვირით – რაზედ შემოსწყრომია მწერლობა ლოლიკასაო? სად მიჰმალვია სახელმძღვანელო დედააზრი, რომ ესე არახუნებს უთავბოლოდო? აი რაშია საქმა.

ერთი რუსის მწერალია, რომლის სახელიც ბევრისათვის უცნობია და, სწორედ რომ ვსთქვათ, არც კი დიდად საცნობელია. ამ მწერლის სახელი ა. გორმენევი.



ამას ბევრი რალაცები სანვრილ-მანო უწერია სხვადასხვა გაზეთებში და ამის ნაწერები აუღია და პატრონის დაუკითხავად გადაუბეჭდია გაზეთს „Судебная Газета“-ს. გორშენევსაც აუღია და უჩივლია სამართალში ამ გაზეთის რედაქტორზედ, ჩემი საკუთრება მიითვისაო და საზღაურად ფასი მოითხოვა, რაცა ჰღირს ჩემი ნაწერები, დამნაშავემ მომცესო. სამართალს შეუწყნარებია თხოვნა გორშენევისა და საზღაური დაუდვია „Судебная Газета“-ს რედაქტორისათვის გორშენევის სასარგებლოდ.

აქ, როგორც ხედავთ, არაფერი ნამუსისა და პატიოსნების წინააღმდეგი არა არის რა. კაცს, ცუდია თუ კარგი, თავისი ნაამაგარნაშრომი ნაწერები აქვს; ეგ მისი კუთვნილებაა, მისი საკუთრებაა, მერე იმისთანა, რომელსაც დღეს რუსეთში მუქთად არავინ არავის არ უთმობს და, ცოტაა თუ ბევრი, თავისი ფასი აქვს. ეს საკუთრება მუქთად დაიჩიმა მეორემ და პატრონმა ეს მუქთამჭამელობა არ დაუთმო და თავისი მოითხოვა. აქ არაფერი უკადრისობა არ შეენამება პატრონსა. პირიქით, ჩვენა გვგონია, რომ პატრონმა ამ შემთხვევაში თავისი მოქალაქური მოვალეობა შეასრულა საზოგადოე-

ბის წინაშე, რომლის დედაბურჯის არის, რომ ყველამ თავისი მოხმაროს და თავისით ირჩინოს თავი და რომლის წინაშე ყველა დავალებულია, რომ ეს წესი ცხოვრებისა არავის არ დაარღვევინოს დაუსჯელად.

ხომ ესეა და ესე უნდა იყოს უფრო იმისთანა გაზეთისათვის, რომელსაც სახელად „სამართლის გაზეთი“ ჰქვია და თავისი პროგრამით სამართალს და სამართლიანობას ემსახურება. მაგრამ **სახელი ერთია და სახრავი სხვა ეხლანდელს დროში**; როგორც ეტყობა, აქაო და გორშენევმა ეს საქმე დამანიაო, გაზეთს აუღია და ერთი ლაზათიანი, თქვენი მონებული ზღაპარი გაუპრტყელეზა თავის ფურცლებზედ და ამ ზღაპარში საწყალი გორშენევი თავიდაც ფეხამდე ლაფში ამოუტანტლავს და სამარცხვინოდ და სასაცილოდ გაუხდია, თუმცა სახელი კი ნიშნობლივ არ უხსენებია.

ახლა რას იტყვით ამისთანა საქმეზედ, მკითხველო! როგორ გგონიათ: იმ „Судебная Газета“-მ რომ ერთს ნატეხ პურის ქურდობაში სამის დღის მშიერ-მწყურვალ გლახა-ლატაკი დაიჭიროს, ხომ ნაცარტუტას აადენს: ეს რა მოხდა, ჯვარს აცვით ქურდი, ჯვარს აცვით!.. აქ კი დღის ნა-

თელზედ თვითონ არა მშიერ-მწყურვალმა ხელდახელ დაიჩიმა სხვის ნაწვავ-ნადაგი, პატრონმა უსასყიდლოდ არ დაანება თვისი კუთვნილება და იმან კი აილო და ბოდბის მაგიერად ჯავრი ამოიყარა. რით? ლანძღვითა და თრევიტა! ნუთუ დროთა ნიშანი არ არის ესეთი თელვა ყოველის ლოლიკისა, დედააზრისა, ყოველის ადამიანობისა, ყოველის მართებულობისა და უფლება-მოვალეობისა!..

ეხლაც არ დაგვეთანხმებით, რომ ლოლიკა საძებნელი და საპოვნელი გაუხდა ადამიანსა ცალკედ და მწერლობასა საერთოდ! **აბა, ეხლა იანგარიშეთ, რამდენი ამისთანა გაზეთია, რომელიც დედააზრობით ერთს გვეფიცება და საქმით კი სულ სხვასა საქმობს. არ შეიძლება, რომ ჩვენ თვითონ არ ვაქეზებდეთ ამისთანა მიმართულებას, თორემ დღეს აქამომდე ამისთანა მწერლობას სული ათჯერ ამოეხუთებოდა, რადგანაც, როგორც ჭირიანს, შემოეფანტებოდნენ მკითხველები და მკითხველები იძლევიან მას, რითაც მწერლობაც ავად თუ კარგად იკვებება და სულდგმულობს. რაკი ესეა, ბოროტიც ამ მხრით არის გაძლიერებული და ამაშია დღის სავალალოც.**

ილია ჭავჭავაძის ბენიალური აზრები

„სარწმუნოება სინდისის, სასოების საქმეა და აქ ყველა თავისუფალია და ხელშეუხებელი“.

„გმირობა, რა სახისაც უნდა იყოს, სულის ღონეა და არა ხორცისა და ამიტომაც გმირის სიყვარული მარტო სულითვე ღონიერს შეუძლია. აქ ხორციელს თვალს ვერას გააჭრევიანებთ, სულიერი თვალი უნდა და ამ სულიერის თვალის ახილება მარტო ცოტად-თუ-ბევრად რიგიანს განათლებას შეუძლია და სხვას არაფერს“.

„რა არის იგი სწავლა, განათლება, ზნეობა-განრთვნილობა, რომ თავისუფლების ჭეშმარიტი მნიშვნელობაც ვერ გამოარკვე-

ვინოს ადამიანსა, იმოდენა ღონე არ მისცეს სულისა, რომ ადამიანი მის მაღალ მნიშვნელობას ასწვდეს და ბოროტის ქმნის თავისუფლებას სიკეთის ქმობა არ არჩევინოს“.

„ჩვენში ხორციელი თვალი უფრო მოქმედებს, ვიდრე თვალი სულისა“.

„შურს ისა სწყინს და გულს უკლავს, — სხვას ჩემზე მეტი რადა აქვსო. ნატვრა კი პატიოსნური სურვილია, მეც ის შევიძინო, რაც სხვას შეუძენია, მისდა სიკეთემდე, ღირსებამდე მივალწიოო. შური ვერ იტანს სხვისა ღირსებას, ნატვრა კი შეჰხარის. შური ებრძვის ღირსებას, ნატვრა — კი ეტრფის.“

არჩილ გელოვანი — საინჟინრო ჯარების მარშალი

ყოფილი სსრ კავშირის ომიშემდგომ სამხედრო ისტორიაში იყო უიშვიათესი ფენომენი სამი დიდი ქართველის მონაწილეობით. ყველაზე მრისხანე რაკეტებს, მტერს რომ თავზარს სცემდნენ, ამუშავებდა და აგებდა ალექსანდრე ნადირაძე, მათ ცდიდა გალაქტიონ ალფაიძე, ხოლო უნიკალურ სარაკეტო საშახტო გამშვებ დანადგარებს აპროექტებდა და აშენებდა არჩილ გელოვანი. სამივე დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა ზეგასაიდუმლოებულად და პლანეტის საუკეთესო მზვერავეები ამოად ეძიებდნენ ინფორმაციას მათს დამუშავებათა შესახებ. ამჯერად არჩილ გელოვანზე ვიამბობთ, რომელიც საბჭოთა კავშირის ისტორიაში იყო საინჟინრო ჯარების პირველი მარშალი კაპიტალურ მშენებლობაში. შეიარაღებულ ძალებში მან გაიარა გზა სამხედრო-საზღვაო საინჟინრო-სამშენებლო სასწავლებლის სპეციალური კურსების მსმენელიდან სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილემდე.



ღირსეული წინაპრების ჩამომავალნი იყვნენ არჩილის მშობლები. მამამისი — ვიქტორ გიორგის ძე ამიერკავკასიაში ერთ-ერთი ცნობილი ინჟინერ-მექანიკოსი იყო. ის დაიბადა ლეჩხუმში, ცაგერის რაიონის სოფელ სპათაგორში. საოჯახო განათლების მიღების შემდეგ შევიდა ხარკოვის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1910 წელს. შემდეგ წარმატებით აპროექტებდა და აგებდა რკინიგზის ხიდებს და სხვა იმ დროისათვის რთულ საინჟინრო ნაგებობებს ამიერკავკასიაში. აზნაურთა ცნობილი ოჯახიდან გახლდათ მარშლის დედა — ანა სტეფანეს ასული შენგელია. როგორც მისმა ექვსივე დამ, მანაც ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის კეთილშობილ ქალთა გიმნაზია დაამთავრა.

მშობლები აღმერთებდნენ პატარა არჩილს. სამწუხაროდ, არჩილი ექვსი წლისაც არ იყო, როდესაც მუცლის ტიფით გარდაეცვალა მამა. ანამ ქმარი ქუთაისში დაკრძალა და შვილთან ერთად თბილისში გადმოსახლდა, სადაც მისი ორი და ცხოვრობდა. ეს იყო საქართველოსთვის არეული და მეტად მძიმე წლები — სამოქალა-

ქო ომი, ქვეყნის ოკუპაცია წითელი არმიის მიერ, დევნა, სიღარიბე, ნგრევა, შიმშილი. არჩილის დედა იძულებული იყო, ემუშავა ხან ბილეთის გამყიდველად თეატრში, ხან კლუბში, მაგრამ ამ დროს შვილს ზრდიდა ოჯახის ძველ და სახელოვან ტრადიციებზე, რომლებიც საქართველოში განსაკუთრებით მყარი და პატივსაცემი იყო.

არჩილი ექვსი წლისაც არ იყო, სკოლაში რომ მიიყვანეს. სკოლის დირექტორმა მიხეილ ზანდუკელმა ჯერ სკეპტიკურად შეხედა ბიჭს, რამდენიმე ხნის შემდეგ კი ველარ მალავდა თავის აღტაცებას. ექვსი წლის არჩილი შესანიშნავად კითხულობდა ლექსებს, ყვებოდა ნაკითხულის შინაარსს, შეეძლო ანგარიში ათასის ფარგლებში. შედეგად, მოხიბლულმა სკოლის დირექტორმა ბიჭი მიიღო უმაღლე... მესამე კლასში!

1936 წელს ამთავრებს ამიერკავკასიის ს. კიროვის სახელობის ინდუსტრიულ ინსტიტუტს (ამჟამად — თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი) და დაინიშნა შრომითი საქმიანობა ტრესტ „ინჟმშენში“ თბილისში. ხოლო 1939 წელს არჩილ გელოვანი არმიაში გაინიშნა. ახალგაზრდა ინჟინერ-

მა სწრაფად იპოვა თავისი ადგილი. ამას ადასტურებს საატესტაციო ანგარიში, რომელიც მას ლენინგრადის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის მოკლევადიანი კურსების დამთავრების შემდეგ გადასცეს: „ამხ. გელოვანი სპეცკურსების შექმნის დღიდან ასრულებდა უმცროსი მეთაურის მოვალეობას. ამ ხნის მანძილზე ის სერიოზულად და კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას; მისი დისციპლინირებულობა ისევე სამაგალითოა დანარჩენებისათვის, როგორც მისი დამოკიდებულება საგნების შესწავლისადმი და სამხედრო სამსახურისადმი. ამხ. გელოვანი კარგი ორგანიზატორია... მსმენელთა შორის კარგი ავტორიტეტით სარგებლობს. ღირსია, მიენიჭოს I რანგის სამხედრო ტექნიკოსის ნოდება“.

I რანგის სამხედრო ტექნიკოსმა საქმიანობა დაიწყო შავი ზღვის ფლოტში №8 მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებლად, მალე კი №12 მშენებლობის მთავარ ინჟინრად გადაიყვანეს. იგი სათავეში ჩაუდგა მშენებელთა ოპერატიულ ჯგუფს, რომელმაც, მიუხედავად




მტრის საარტილერიო სროლები-სა და საავიაციო თავდასხმებისა, არბატისა და ჩონგარის რაიონში სანაპირო არტილერიის 8 სტაციონარული და 2 მოძრავი ბატარეა (152მმ) დააყენა. საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის ა. გელოვანი ნითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვდა. შემდგომ მის მკერდზე მრავალი ორდენი და მედალი გაჩნდა, მაგრამ ეს პირველი საბრძოლო ჯილდო მისთვის განსაკუთრებით ღირებული იყო.

არჩილ გელოვანმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სევასტოპოლის დაცვის ბრძოლებში, სადაც აგებდა პირველ ზღუდეებს. იმაში, რომ ფაშისტები უმაღვე ვერ შეიჭრნენ სევასტოპოლში, არის ქართველი ინჟინრის დამსახურებაც, რომელსაც მაშინ 26 წელი შეუსრულდა.

განსაკუთრებით რთულ პირობებში მიმდინარეობდა აეროპორტების მშენებლობა ადლერსა და გუდაუთაში, სადაც მოწინააღმდეგეთა ტყვეების ქვეშ, სიცოცხლის რისკის ფასად მიიწვედა საქმე წინ. მიუხედავად ამისა, მშენებლობები უმოკლეს დროში დასრულდა. გელოვანის წვლილი მისი მშობლიური კავკასიისათვის ბრძოლაში სამამულო ომის I ხარისხის ორდენით შეფასდა.

1944 წლის ივნისში ა. გელოვანი დაინიშნა ნიკოლაევსკის სამხედრო საზღვაო ბაზის ადდგენითი სამუშაოების ხელმძღვანელად. ერთი წლის შემდეგ ის ოდესაშია, სადაც სხვადასხვა სახის სამხედრო საზღვაო ობიექტების ადდგე-



არჩილ გელოვანი ოჯახთან ერთად

ნით სამუშაოებს ასრულებს. სწორედ აქ შეხვდა იგი ფაშიზმზე გამარჯვების დღეს. შემდეგ იყო სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობები. 1949 წელს ჩვენი თანამემამულე გადაიყვანეს სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი სამხედრო მშენებლობის სამმართველოს მთავარ ინჟინრად, 1953 წელს კი გახდა შავი ზღვის ფლოტის ბაზისა და ქალაქ სევასტოპოლის ადდგენის ხელმძღვანელი. 1956-1959 წლებში შავი ზღვის ფლოტის სარდლობის თანაშემწეა მშენებლობის დარგში და სამშენებლო სამმართველოს უფროსი. 1959 წელს მას ნიშნავენ ფლოტის მეთაურად მშენებლობის დარგში. სწორედ შავი ზღვის სანაპიროზე გაიარა მან გზა ლეიტენანტობიდან გენერლობამდე. 12 წლის განმავლობაში მან შეასრულა კოლოსალური სამუშაოები, რასაც მოჰყ-

ვა ა. გელოვანისთვის გენერლის ნოდების, მთავრობის ჯილდოების, „ქალაქ სევასტოპოლის საპატიო მოქალაქეობის“ მინიჭება.

1960 წლის იანვარში სსრ კავშირში შეიქმნა შეიარაღებული ძალების ახალი სახეობა — სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარები, რომელთა ცენტრალურ აპარატში მალე გადაიყვანეს გენერალი ა. გელოვანი, როგორც ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო სამხედრო ინჟინერ-მშენებელი, 1962 წელს კი დაინიშნა სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების მთავარი საინჟინრო სამმართველოს უფროსად.

სამხედრო მშენებლების წინაშე სერიოზული და უზარმაზარი ამოცანები იდგა: უმოკლეს ვადაში აეშენებინათ საბრძოლო სარაკეტო კომპლექსები გამშვები და ნადგარებით და მოეყვანათ ისინი საბრძოლო მზადყოფნაში. მათ ეს შეძლეს. 1968 წელს ბატონ არჩილს სპეციალური ობიექტების მშენებლობისათვის ინდუსტრიული მეთოდების შემუშავებისა და განხორციელებისათვის ლენინური პრემია მიენიჭა, რამდენიმე წლის შემდეგ კი — სახელმწიფო პრემია, ახალი სარაკეტო სისტემების მწყობრში ჩაყენებისათვის.

სარაკეტო ჯარების მთავარი საინჟინრო სამმართველოს უფროსად, სტრატეგიული დანიშნუ-

არჩილ გელოვანს ყველაზე ინტალიგენტურ პარპალს უწოდებდნენ. ის იყო ყოველმხრივ განათლებული, სტავდა უსანისონავად, უკრავდა ფორტაჟინაოზე, თავისუფლად ფლობდა ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ ენებს. ქართულად ზეპირად კითხულობდა შოთა რუსთაველს და ღვინოვანი კითხულობდა კანტას და გოთის



ლების სარაკეტო ჯარების მთავარი კომიტეტის უფროსის მოადგილედ ყოფნის დროს არჩილ გელოვანი მის მიერვე შექმნილ კოლექტივთან ერთად იწყებდა ცალკეული უნიკალური სარაკეტო შახტების შექმნით, ხოლო დაამთავრა საუკუნის უდიდესი მშენებლობით, თავისი ძლიერი სარაკეტო ბაზებით, რაკეტადრომებით, რომლებმაც იმ დროს მსოფლიო გადაარჩინა ბირთვულ კატასტროფას, ვინაიდან თავისი არსებობით, შესაძლო საპასუხო დარტყმით შეეძლო ხელი შეეშალა ატომური ომის გაჩაღებისთვის.

1974 წლის 14 მარტს გენერალ-ლეიტენანტ არჩილ გელოვანს ნიშნავენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ. ოთხი წლის შემდეგ მას მიანიჭეს გენერალ-პოლკოვნიკის წოდება, კიდევ ორი წლის შემდეგ ის ხდება კაპიტალურ მშენებლობაში საინჟინრო ჯარების პირველი მარშალი. თავისი განსაკუთრებული უნარისათვის ის იღებს ორ „დახურულ“ პრემიას: ლენინის (1968 წელს) და სახელმწიფოს (1977 წელს).

არჩილ გელოვანი მუშაობდა თავდაუზოგავად, გამოსასვლელი დღეებისა და დღესასწაულების გარეშე. როდესაც უმაღლესი სამხედრო სპეციალისტებისა და ექსპერტების სხდომებზე იწყებდნენ დავას, მისი თავმჯდომარე, თავდაცვის მინისტრი დმიტრი უსტინოვი ამბობდა ხოლმე: „არჩილს მოუსმინეთ. არჩილმა თქვა, მაშასადამე, მორჩა!“ — აი, ასეთი ავტორიტეტი ჰქონდა გელოვანს.



1977 წელს გენერალ-პოლკოვნიკ არჩილ გელოვანს საინჟინრო ჯარების მარშლის წოდება მიენიჭა.

...საშინელმა ავადმყოფობამ დარია ხელი ამ დიდ შემოქმედს და 1978 წლის 19 აგვისტოს გარდაიცვალა. მაშინ, საავადმყოფოში ყოფნისას ბატონმა არჩილმა ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ სამხედრო ჟურნალს: „ნამდვილი მშენებელი შეიძლება გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გეყვარება შენი სპეციალობა, უფრო მეტად კი — ადამიანები... თავისი შრომით სამხედრო მშენებლები ადამიანებს ანიჭებენ ბედნიერებას და

სიხარულს. განა აქვს კი ადამიანს ამაზე მაღალი მოწოდება?!“

არჩილ გელოვანის უშუალო ხელმძღვანელობითა და პირადი მონაწილეობით საბჭოთა კავშირში აიგო ასობით სპეციალური ობიექტი, სარაკეტო-გამშვები შახტები, სამხედრო-საზღვაო ბაზები, მიწისქვეშა აეროდრომები და თავდაცვითი მნიშვნელობის სხვა ნაგებობანი, რომელთა უმრავლესობა დღესაც ემსახურება რუსეთის თავდაცვას.... იგი მუშაობდა დიდი რაკეტების გამშვებ დანადგარებზე, რომლებსაც ნითელ მოედანზე სამხედრო აღლუმის ბოლოს უშვებდნენ.

არჩილ გელოვანს ყველაზე ინტელიგენტურ მარშალს უწოდებდნენ. ის იყო ყოველმხრივ განათლებული, ხატავდა შესანიშნავად, უკრავდა ფორტეპიანოზე, თავისუფლად ფლობდა ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ ენებს. ქართულად ზეპირად კითხულობდა შოთა რუსთაველს და დედნებში კითხულობდა კანტსა და გოეთეს. უყვარდა ლიტერატურა, თეატრი, კინო, იცოდა შესანიშნავი თხრობა. ამ დროს იყო უკიდურესად უბრალო და თავმდაბალი. ის სულით ხორცამდე ქართველი იყო. ძალიან უყვარდა საქართველო და ჰქონდა მუდმივი კავშირი სიჭაბუკის მეგობრებთან. ასეთ ადამიანებზე იტყვიან ხოლმე, დაბადებისას ღმერთმა ყველა სიკეთე დააბერტყაო.

მოამზადა
დარეჯან ანდრიაშვილი



არჩილ გელოვანი:
თავისი შრომით
სამხედრო მშენებლები
აღამიანებს ანიჭებენ
ბედნიერებას და
სიხარულს. განა აქვს
კი ადამიანს ამაზე
მაღალი მოწოდება?!



სინამდვილეში რუსეთი დგას იმ უდიდეს წმინდანებზე, როგორც დღესაც გაუსრნელად ასვენია ეკლესიებში

პატრიარქის მოსკოვში ვიზიტზე, მის მნიშვნელობასა და შედეგებზე გვესაუბრება ყოვლადწმიდა სამების ტაძრის დეკანოზი — მამა მიქაელი (გვარამაძე).

— მამაო მიქაელ, რამდენიმე დღის წინ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ვიზიტით მოსკოვში იმყოფებოდა. სამშობლოში დაბრუნებულმა მისმა უწმინდესობამ განაცხადა, რომ შეხვედრა წარმატებული იყო და ის დადებით შედეგს მოიტანს. რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე? რა მოლოდინი გაქვთ ორ მეზობელ ერს, რუს და ქართველ ხალხებს, შორის დღესდღეობით უკიდურესად გამწვავებული ურთიერთობის მომავალთან დაკავშირებით (პოლიტიკურ ჭრილში შეგნებულად არ გეკითხებით)?

— „რუსეთსა და საქართველოს შორის დამოკიდებულება რთულია და მხოლოდ რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიების ძალისხმევით არის შესაძლებელი სულიერი კავშირი და კეთილი ურთიერთობა“, — განაცხადა უწმინდესმა. სხვაწაირად, ალბათ, არც არის შესაძლებელი ურთიერთობის დაწყება, თუ არა ეკლესიების ერთობით. პოლიტიკა და რელიგია ერთმანეთისგან გამიჯნული უნდა იყოს. ხშირად არ ემთხვევა ეკლესიისა და მთავრობის ნება ერთმანეთს საგარეო თუ საშინაო საქმეებში. ეს სწორი ნაბიჯი იყო.

ღმერთი აერთიანებს, ბოროტი კი ჰყოფს. რაც პოლიტიკამ დაშალა და დააქუცმაცა, ეკლესია შეაერთებს. სამ-



წუხაროა, რომ არასწორმა პოლიტიკამ ორ ხალხს შორის გარკვეული დაძაბულობა წარმოშვა. მაგრამ ერთმორწმუნე ერებს კარგად ესმით, ეს ვისგან მოდის, ამიტომ, ვფიქრობ, ხალხი მალე აღადგენს ამ ურთიერთობას.

— **იმედია, კითხვის გამეორება არ გამომდის. როგორ ფიქრობთ, რელიგია და ერთმორწმუნეობა რამდენად არის დღეს ის ფაქტორი, რომელმაც ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობაზე შეიძლება მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა მოახდინოს? როგორ გესახებათ ამ ვითარებაში თქვენს სარწმუნოების როლი?**

— **თუ ორივე ეკლესია უფრო მეტ ძალისხმევას გაამოიჩინებს და ეცდება კეთილი ნებას გამოხატოს, ეს აშუცილდება იძულებული დიდი ნაბიჯი სა-**

პართველოს ტერიტორიების დაბრუნებისკენ. ჩვენმა პატრიარქმა, ერის მამამ, ეს ნაბიჯი, უპირველესმა გადადგა და ამით დაიწყო ურთიერთობის აღდგენა ორ ერთმორწმუნე ერს შორის. ეს მოვლენა აუცილებლად მოახდენს გავლენას პოლიტიკაზე, რადგან სინამდვილეში ორივე სახელმწიფო რწმენაზე დაფუძნებული. ჩვენ ვნახეთ, თუ რა შედეგი შეიძლება მოიტანოს იმან, როცა მთავრობის პირველი პირის შეხვედრები და მისწრაფებები არ ემთხვევა ერისა და ეკლესიის აზრს.

— **რადგან ამ კონკრეტულ ვიზიტზე ვსაუბრობთ, პატრიარქის კიდევ ერთ განცხადებაზე გკითხავთ. მისმა უწმინდესობამ ბრძანა, რომ „რუსეთს სჭირდება ერთიანი საქართველო და საქართველოს — ერთიანი, ძლიერი რუ-**



სეთი“. როგორ ფიქრობთ, რა შინაარსი დევს ამ განცხადებაში?

— ერთიანობაში, ალბათ, არ იგულისხმება მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობა და სიძლიერე, არამედ აქ, აგრეთვე, ეკლესიებს შორის ერთიანობასა და სიძლიერეზე უნდა იყოს საუბარი, რადგან ორი სახელმწიფოს შერიგება სულიერი, ზნეობრივი და კულტურული ფასეულობებით იწყება და მთავრდება ეკონომიკური ურთიერთობით, რაც განაპირობებს ძლიერი და მთლიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. თუ გავიხსენებთ და გადავხედავთ რუსეთის ეკლესიის ისტორიას, როგორც შიდა სახელმწიფო და არა გარე ურთიერთობებს, არა ეგზარხოსების, არამედ სახელმწიფოს შიგნით მორწმუნე ერის მოღვაწეობას, მივხვდებით, რომ სინამდვილეში რუსეთი დგას იმ უდიდეს წმინდანებზე, რომლებიც დღესაც გაუხრწნელად ასვენია ეკლესიებში.

— ვიზიტის ფარგლებში პატრიარქი მოსკოვის ოსური გაერთიანების რამდენიმე წევრს შეხვდა და, სავარაუდოდ, კონფლიქტების მოგვარებაზე ისაუბრა, რამაც ოსურ გაერთიანებაში პანიკა გამოიწვია. მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაგმო ეს ფაქტი. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ის საფრთხე, რომ მსგავსმა შეხვედრებმა, შესაძლოა, კიდევ უფრო გაგვიმწვავოს ურთიერთობა განდგომილ რეგიონებთან, რაზეც საპარლამენტო უმცირესობა ბევრს საუბრობს?

— უწმინდესი ყოველთვის სწორ და აუცილებელ ნაბიჯს დგამს ერის წინაშე. ყოველი ეპარქია, ეკლესია და ხალხი ძვირფასია ერის მამისთვის, ამიტომ საშიშროება როგორ შეიძლება იყოს ყოველი კეთილი განზრახვა და სურვილი, მცდელობა ხალხის სულიერი თუ ყოფიერი კეთილდღეობისთვის.

— რას ფიქრობთ ქართველი მეფეების, ვახტანგ VI-სა და თეიმურაზ II-ს, საქართველოში გადმოსვენებასთან დაკავშირებით?

— ქართველი ერისთვის მოღვაწე მეფეების საქართველოში გადმოსვენება მნიშვნელოვან როლს

შეასრულებს ორი ქვეყნის დამოკიდებულებაში. ეს რუსეთის მხრიდან საქართველოს და ქართული ეკლესიის პატივისცემას ნიშნავს. ჩვენთვის კი რუსეთისადმი ურთიერთობის აღდგენის კიდევ ერთი ნაბიჯია.

— რაც შეეხება, საერთოდ, ეკლესიის მონაწილეობას ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებში, საზოგადოებაში ეს მუდმივად სადისკუსიო თემაა. ბევრს მიაჩნია, რომ საპატრიარქო უფრო აქტიურად უნდა ერეოდეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ნაწილი კი პირიქით თვლის. თქვენი აზრით, რეალურად შესაძლებელია თუ არა და რამდენად მისაღები იქნება, რომ ეკლესია უფრო მეტად ჩაერიოს მიმდინარე პროცესებში (რასაკვირველია როცა ამის აუცილებლობაა)?

— უწმინდესი, წმიდა სინოდი, ეკლესია იმდენად იღებს და იღებდა მონაწილეობას პოლიტიკაში, რამდენადაც ეს საჭირო იყო ქვეყნისთვის და ხალხისთვის. ემოცია და დაუფიქრებელი ნაბიჯი ცუდი მასწავლებელია ერისთვის. ბრძნულად გადადგმული ნაბიჯი კი მომავალი თაობებისთვის უფრო შესამჩნევი გახდება. ჩვენი პატრიარქი, ერის მამა, უწმინდესი და უნეტარესი ყოველთვის ბრძნულ და დროულ ნაბიჯს დგამდა და დგამს მთელი საქართველოს ეკლესიის ამ მოკლე და მძიმე ისტორიაში; მთელი თავისი ცხოვრება ღმერთის დიდებას, საქართველოსთვის ზრუნვას და ხალხისთვის ლოცვას შეაღია.

— ბოლო ცხრა წლის მანძილზე ქვეყანაში აქტიური ანტიმართლმადიდებლური კამპანია მიმდინარეობდა. იყო მთელი რიგი ინსტიტუტები და ორგანიზაციები, რომელთა მიზანსაც ეკლესიის დისკრედიტება წარმოადგენდა. როგორ ფიქრობთ, რეალურად მოახდინა თუ არა ამ პროპაგანდამ საზოგადოებაზე გავლენა და (თუ მოახდინა) რაში იგრძნობა ეს ყველაზე მეტად?

— თუ ახლო კომუნისტურ პერიოდს გავიხსენებთ, საქართველოს წარსულ ისტორიაზე აღარ

ვსაუბრობ, მივხვდებით, რომ მაშინ უფრო მეტი დევნა, შევიწროება, ნგრევა და წამება იყო მომთმენი, ზნეობრივად დიდი, მორწმუნე ერისათვის. სამწუხაროა ის, რომ, როცა ადამიანი ქვეყნის სათავეში მოხვდება, ავიწყდება, რომ ეკლესიასთან ჭიდილი ღმერთთან ჭიდილია. გუნურებაა, დაგავიწყდეს, რა არის ფასეული და წმინდა, ეშმაკს დაემონო ამპარტავნების, ვერცხლისმოყვარეობის და სხვა ვნებების გამო.

რატომ გვიკვირს, ჭემმარიტებას რომ ებრძვის ბოროტი, ის ხომ სუსტ და გამოუცდელ ადამიანებში ნერგავს თავის მისწრაფებებს? ეს ბრძოლა ყოველთვის იყო და იქნება, მთავარია, ერს არ მიეძინოს და იფხიზლოს.

რომ არა უწმინდესის — ილია II-ს ძალისხმევა, ერი ძალიან ცუდ მდგომარეობაში იქნებოდა. ეკლესიების აღდგენამ, აშენებამ, საზოგადოების ტაძარში დაბრუნებამ განაპირობა ერის გამოღვიძება და გაერთიანება. ეს პროცესი იმ დღიდან დაიწყო, როცა უწმინდესი ილია II საპატრიარქო ტახტზე ავიდა და დღესაც ეკლესიისა თუ ქვეყნის წინსვლა ერში და ქვეყნის გარეთ მის გარეშე არ იწყება.

მცდარი პოლიტიკა ყოველთვის ახდენს გავლენას ქვეყანაზე, მაგრამ ამით არც დაწყებულია და ამით არც დამთავრებულია. მთავარია, ქვეყნის ბედი ღირსეულ და სულიერად მაღალი ადამიანების ხელში იყოს. საქართველოს გაბრწყინება ერის ჭირთათმენაშია, ნანატრი სულიერი მშვიდობა მოთმინებით, ლოცვითა და შრომით მიიღწევა. მშვიარი ხალხი პურს ითხოვს, რადგან შიამაგამ ეკლესიები სავსაა სულიერი საკვების მთხოვნელი ადამიანებით. ეკლესია ძლიერი უნდა იყოს, რათა შეძლოს ერის ყველანაირად დაპურება, რასაც ერის მამა, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ცდილობს, ამიტომ, თუ გვინდა, რომ მეტი შეცდომები აღარ დავუშვათ, ყურადღებით უნდა მოვუსმინოთ ერის მამას და მის რჩევას და კურთხევას დავემორჩილოთ.


ესაუბრა ჯაბა ჭვანიანი



გივი გალოგრე:

დემოკრატიულმა წყობამ თავი „ისახელა“ ხალხის ანიოქებით, დაყარალებით, გაღატაკებით, ჩაბვრით და არამზადათა ხროვის ზღაპრულად გაგვიფრებით!

89 წელს მიღწეული, დიდი სამამულო ომის მონაწილე გივი გალოგრე „სტამბოლის კაჟივითაა“ და თავს „ჩარეცხილებს“ ნამდვილად არ მიაკუთვნებს. პირიქით, ძალზე ეცოდება ან გარდაცვლილი „ნაციონალური“ ხელისუფლება, რომელიც 9 წელი სიგლახით იყო დაკავებული და არა ქვეყნის მშენებლობით. „თავიც შეირცხვინეს და საკუთარი ნაშეიერებიც სირცხვილზე განერესო!“ — დარწმუნებულია ბატონი გივი.



— დავიბადე ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესში, გლეხის ოჯახში, 1924 წლის 8 მაისს. იქ ვიციხოვრე 12 წლის ასაკამდე და ოთხი კლასიც იქვე დავამთავრე. მერე გადავედი სოფელ შუხუთში, სადაც ცხოვრობდა ჩემი და — ლუბა, რომელიც იქ იყო გათხოვილი. მისი მეუღლე, ალექსანდრე გოგუაძე, ლუბაზე 17 წლით იყო უფროსი. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, ტყვედ ჩავარდა. გერმანიაში შექმნა ოჯახი. კარგად ცხოვრობდა, მაგრამ უსამშობლოდ ვერ გაძლო. მისმა გერმანელმა ცოლმა საქართველოში ცხოვრება არ ისურვა და ალექსანდრე მარტო დაბრუნდა. აქ ჩემს დაზე იქორწინა. შვილივით მზრდიდნენ. ასე რომ, ორი ოჯახი მქონდა!

ომი რომ დაიწყო, გივი გალოგრე მეცხრე კლასში სწავლობდა. მასზე უფროსი ორი ძმა ჰყავდა. ერთი ომამდე გარდაიცვალა, მეორე კი, ალბერტი, ომის დაწყებისთანავე ჯარში გაიწვიეს.

— ჰოდა, დაჯდა ორი ოჯახი და დეინყეს ფიქრი, როგორ გადამარჩინონ ჯარიდან, — ღიმილით იხსენებს ბატონი გივი. — იფიქრეს

და ნამიყვანეს სასწავლებლად ბათუმის რკინიგზის ტექნიკუმში, რომელიც დაჯავშნული იყო. მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ, როცა გავიგე ძმის დაღუპვის ამბავი, ვერ მოვითმინე და მოვინდომე საომრად წასვლა ჩემს ამხანაგთან ერთად, რომელსაც ასევე ძმა დავეღუპა. მივედით კომისარიატში და, კომისრის პროტესტის მიუხედავად, ჩვენსას მივალწიეთ!

ჩამოგვიყვანეს თბილისში, ნავთლულში იყო განმანაწილებელი, საიდანაც მოვხვდი კარდანახში. იქ არტილერიის კურსებზე დაგვეწყო მეცადინეობა. ახლა, ბაბუა, ზოგიერთი აბდალი ისტორიკოსი გვიმტკიცებს, რომ წვევამდელები მომზადების გარეშე მიჰყავდათ ფრონტზე „საზარბაზნე ხორცად“. არ დაიჯერო მაი ტყუილი! ცეცხლში ვინ გაგიშვებდა მოუმზადებელს?!

კარდანახიდან გადაგვიყვანეს აზერბაიჯანში, აქსტაფაში. მოვხვდი ნალმტყორცნელთა პოლკში. შემდეგ სომხეთში გავდიოდი წვრთნებს — კიროვოკანში და ბოლოს დავმკვიდრდით ვაზიანში. 1944 წლის ივნისში ჩვენი პოლკი ფრონტზე გაიწვიეს. ჩავედით

მოსკოვთან ახლოს მდებარე ქალაქ კოლომნაში. ვფიქრობდით, ფრონტზე მივყავართ-თქო, მაგრამ მოხდა ჩვენი პოლკის რეორგანიზაცია. ის დაშალეს და გაგვანაწილეს საარტილერიო ბრიგადაში. ძაან ეწყინა ჩვენი პოლკის მეთაურს, რადგან კარგად ვიყავით მომზადებულნი და ამით ამაყობდა.

თავად რიგითმა გალოგრემაც გამოიჩინა თავი. მაღლობა მიიღო წარჩინებული სწავლისათვის და პირველი ადგილიც დაიკავა სროლაში.

კოლომნიდან ბრიგადა გადაიყვანეს ახლადგათავისუფლებულ მინსკში, მინსკამდე არ მისული, არტილერიის ტებმა ფიჭვნარში გაშალეს კარვები და იქ დაბანაკ-



დნენ. საბრძოლო ნათლობა ბატონმა გივიმ ძველ ახალ წელს, 1945 წლის 14 იანვარს მიიღო, როცა საბჭოთა ჯარებმა გადალახეს ვისლა და პოლონეთის დედაქალაქი ვარშავა გაათავისუფლეს გერმანელი ფაშისტებისგან. საარტილერიო ცეცხლის უბადლო კორექტირებისთვის გივი გალოგრემ დაიმსახურა პირველი მადლობა უმაღლესი მთავარსარდლისგან.

— მადლობები სტალინისგან ოთხი მაქვს მიღებული და ისინი ყველა ორდენს მირჩევენია! — ამბობს ბატონი გივი. — ვისლა რომ გადავლახეთ და ვარშავა რომ გაათავისუფლეთ, მალე გერმანიის ტერიტორიაზე შევედით. ჩვენი ფრონტის — პირველი ბელორუსიის ფრონტის მთავარსარდალი მარშალი როკოსოვსკი გახლდათ, მაგრამ სტალინმა იგი ყუკოვით შეცვალა. ბერლინი რუსმა უნდა აიღოსო, — გადანწყვიტა მან. 20 აპრილს დაიწყო ბერლინის შტურმი...

— ბატონო გივი, ამბობენ, ბერლინის შტურმი უაზრობა იყო. ამდენი მეომარი ტყუილ-უბრალოდ, უაზროდ დაიხოცაო. თქვენ რას იტყვი?

— ომი მსხვერპლის გარეშე არ არსებობს! იმასაც ამბობენ, რომ საბჭოთა სარდლობა ჯარისკაცებს არ ინდობდაო. შეტევას იწყებდა არტილერია, მერე მიფრინავდა ავიაცია დასაბომბად, შემდეგ ტანკები და სულ ბოლოს — ფეხოსნები. მაგ ისტორიის ფალსიფიკატორები ზემოთ ჩამოთვლილის რიგიანობას უკუღმა ითვლიან. რაც შეეხება იმას, თუ რატომ იყო ბერლინის შტურმის დროს ასეთი დიდი მსხვერპლი, გეტყვი: გერმანელებმა ყველა ბრძოლისუნარიანი სამხედრო ნაწილი მოხსნეს დასავლეთის ფრონტიდან და ბერლინის დასაცავად გადმოისროლეს. მეტსაც გეტყვი — სტალინის ზურგს უკან მოკავშირეები ანარმობდნენ გერმანელებთან სეპარატულ მოლაპარაკებებს და ისინი შეთანხმდნენ, რომ ფაშისტები ბერლინს ინგლისელებს და ამერიკელებს



უბრძოლველად ჩააბარებდნენ! მაგ უნამუსოებს, მათხოვრებს სტალინის მოტყუება უნდოდათ, მაგრამ საბოლოოდ საკუთარი თავი მოატყუეს!

ბატონი გივი ძალიან ნანობს, რომ ბერლინის აღებაში არ მონაწილეობდა.

— ფეხში ინფექცია შემეჭრა და დამისივდა. მომათავსეს ჰოსპიტალში. იქიდან ექიმებს რომ გამოვეწერე, კომისიაზე უნდა გავსულიყავი. მანდ გავაცხადე, აღარაფერი მტკივა და გამიშვიტ ფრონტზე-მეთქი. ჩემი მკურნალი ექიმი იყო რუსი ქალი და მან უთხრა ჰოსპიტლის უფროსს: ეგ ერთი ქართველი გვყავსო აქ. სტალინის სამშობლოდან არისო. ბრძოლა 2-3 დღეში დამთავრდებოდა და ამ ბიჭს ნუ გავწირავთო. ჰოდა, დამტოვეს. სიმართლე გითხრა, ბრძოლისუნარო ვიყავი, ფეხი მაინც შეშუპებული მქონდა. ჩექმას ვერ ვიცვამდი. ჰოსპიტალში მოჰყავდათ დაჭრილები ჩემი ნაწილიდან. მადლობა ღმერთს, ყველა გადარჩა. 2 მაისს ჩვენმა ჯარებმა ბერლინი აიღეს!

მიუხედავად იმისა, რომ გივი ბალოგრამ რაინის დედაქალაქის შტურმში მონაწილეობა ვერ მიიღო, იგი მაინც დააჯილდოეს მედლით „უთ ვზაჟიმა ქავომნო“, რადგან ამ სამხედრო ოპერაციაში მისი

ნაწილი მონაწილეობდა. გერმანია ოთხ საკუპაციო ზონად გაიყო. რიგითი ბალოგრა, რა თქმა უნდა, საბჭოთა საოკუპაციო ზონაში მოხვდა და ქალაქ გერაში 1946 წლის ბოლომდე მსახურობდა. იმავე წლის 31 დეკემბერს დაბრუნდა რუსეთში, ქალაქ სარატოვში და იქ დაჰყო 1947 წლის თებერვლამდე, დემობილიზაციის ბრძანების გამოსვლამდე. გაზაფხულზე ჩამოვიდა თბილისში და იმავე, 1947 წლის სექტემბერში გააბრძოლა სწავლა არა რკინიგზის ტექნიკურში, არამედ გათუმის სავაჭრო ტექნიკურში, რომელიც 1950 წელს დაამთავრა. მას შემდეგ მუშაობდა აფხაზეთში, აჭარაში, გომობლიურ ლანჩხუთის რაიონში სავაჭროსამაგისტრო თანამდებობებზე. 1950 წელს იქორწინა ფაცია ჩხარტიშვილზე, რომელთანაც 58 წელი სიამტკბილობით იცხოვრა. ჰყავს ქალ-ვაჟი, ეთერი და ზურაბი, ოთხი შვილიშვილი და შვიდი შვილთაშვილი. მიუხედავად ამისა, ბატონი გივი, ხუმრობით, თავს უპატრონოდ თვლის. ზამთარში ჩამოდის თბილისში და შვილთან — ეთერთან ცხოვრობს. ეთერი ექიმი ნარკოლოგია.



— ვინ იყო სტალინი თქვენთვის?

— სტალინი ჩემთვის იყო ღმერთკაცი!

— აბა, სტალინი პირსისხლიანი დიქტატორი იყო, მავნებლობის მეტი არაფერი გაუკეთებიაო?

— სამაგიეროდ ხომ აგვაშენეს დემოკრატებმა... ტფუი! მე 24-ში ვარ დაბადებული და კარგად მახსოვს, როგორ ჩამოყალიბდა კოლექტივი 30-იან წლებში; და ძალიან კარგად მახსოვს 37-ში დაჭერებიც. ჩემი აზრით, 37-ში წმენდა რომ არ მომხდარიყო, გერმანიასთან ომს წავაგებდით!

ჩვენ სოფელში, ლესაში, ტროცკისტთა ჯგუფი იყო, რომლებიც მავნებლობდნენ: წამლავდნენ პირუტყვს, წვავდნენ კოლმეურნეობის ბეღელს და, კიდევ უამრავ ბოროტებას სჩადიოდნენ. მაგრამ ყველაზე ცუდს, რასაც აკეთებდნენ, უდანაშაულო ხალხს აბეზღებდნენ. მერე, სტალინმა რომ ბერიას დანიშვნით წესრიგი დაამყარა შინსახკომში, ეს ჩვენი სოფლის ტროცკისტებიც დაიჭირეს და გაასამართლეს.

მოგვიანებით, ერთ-ერთი მაგ მავნებლის შვილი, ნიკიტა „დურაკის“ დროს, იცოცხლე, ლანძღავდა სტალინს: მამაჩემი მან დახვრიტაო; თუმცა, თანასოფლელები შეახსენებდნენ მას, რომ მამამისი უდანაშაულო ხალხს ასმენდა, აჭერინებდა და ამ არაკაცობისათვის დახვრიტეს.

— ბატონო გივი, რომელი წყობა სჯობია — უწინდელი თუ ახლანდელი?

— სოციალისტური წყობა! სოციალისტური წყობის დროს მდიდარი და ღარიბი ხალხი ქე იყო, მაგრამ გაჭირვებულ ადამიანებს სანთლითაც ვერ მოძებნიდი. ახლა რომ ვუყურებ დღევანდელ ცხოვრებას, ამ ხნის კაცი ვარ, რამდენი მთავრობა გამომიცვლია, მაგრამ ასეთი წყობა და ასეთი მთავრობა მე არ მინახავს, და ასეთი გაჭირვება!

იყო დრო, სანამ კოლექტივი ჩამოყალიბდებოდა, მჭადი არ გვქონდა სახლში, საჭმელად. მემამუ-



ლეებს და კულაკებს მიწა რომ წართვეს და გლეხებს დაგვირიგეს, მეორე წელს მჭადის ფქვილი უკვე გასაყიდათ გვქონდა! აი, ეს მახსოვს კოლექტივიდან მე.

— და, მაინც, ბატონო გივი, რა დაინახეთ დღევანდელ ცხოვრებაში კარგი?

— დღევანდელ ცხოვრებაში, ბაბუა, მე ვერ ვხედავ ვერაფერს კარგს! სახელმწიფოს სიძლიერე იმით განისაზღვრება, როგორ ექცევა ის თავის უმწეოებს. საბჭოთა დროს, პენსიონერებს უამრავი შეღავათი ჰქონდათ, პატივსაცემი ხალხი იყო.

— რამდენი გქონდათ პენსია მაშინ და რამდენი გაქვთ დღეს?

— დღეს პენსია მაქვს 129 ლარი. დენზე შეღავათი მაქვს 28 ლარი და 16 — სამგზავროზე, მაინც არ მყოფნის საარსებოდ! მაშინ ქე მქონდა 92 მანეთი, მაგრამ მყოფნიდა. ხორცი 2 მანეთი ღირდა, ახლა კი — 10-12 ლარი, ერთი კილო თეთრი პური — 30 კაპიკი, დღეს — ორი ლარი; ერთი კილო შაქარი 60 კაპიკი ღირდა, ახლა ორი ლარი! ადრე სანატორიუმში სიმბოლურ ფასად ვისვენებდით, ახლა ერთი დღე 30-50 ლარამდეა! ექიმის მომსახურებაც უფასო იყო! მაგალითად, შუხუთიდან ლანჩხუთამდე მგზავრობა 5 კაპიკი ღირდა, დღეს — 50 თეთრი! შეს-

ვენებაზე გახვიდოდი კაცი, სოსის შეჭამდი, ლუდს დააყოლებდი და მანათად მაძლარი იყავი. თუ სამი მანეთი გეღებოდა ჯიბეში, მეგობარსაც დაპატიჟებდი სასადილოში. ასე იყო, ბაბუა, სტუმრის მოსვლა არ გეშინოდა! ქორნილში წახვიდოდი ან ტირილში, ფულს წერდნენ. ხალხიც დებდა, რადგან ჰქონდათ. გვყავდა ასეთი აღმასკომის თავმჯდომარე, რეზო ებრალიძე, ჰოდა, გვეუბნებოდა, მე ვარო აღმასკომის თავმჯდომარე და თქვენზე მეტი ხელფასი მაქვსო. მე 300 მანეთს მიხდიანო, თქვენ კი — ასს; და მე რომ სატირალში ან ქორნილში სამ თუმანს დაწვნიო, თქვენ ამას სავალდებულოდ კი ნუ მიიღებთო, თქვენ დაწერეთ, რამდენსაც შეძლებთო, ნუ აყვებით ამ მოდასო.

ამჟამად, მოდაზე არიან აყოლილნი. დღეს მუხლზე გამოხეულ შარვალს იცვამენ და ხუთ თუმანს აძლევენ მაგ შარვალში! სამაგიეროდ, მუხლი უჩანს. ადრე, რომელი თავმოყვარე ადამიანი გამოვიდოდა გარაღმა დახეული შარვლით! ამას ვედავები ჩემს შვილიშვილს, გოგოს, მაგრამ ვერ შევაგნებინე!

— რა მოსწონთ ამ დახეულ შარვალში?

— რა ვიცი, მოდაა! ავტობუსში რომ ავალ, ვინ დაგითმობს ად-



გილს? 40-50 წლის ქალები და კაცები მითმობენ ადგილს, ბავშვები არც მოგხედავენ! პირიქით, ადგილი თავისუფალი თუ დაინახეს, ფეხებში გაგიძვრებიან, ოღონდ, დაგასწრონ! ამფერი ბავშვებია! ახლანდელი თაობა მე არ მომწონს იმიტომ, რომ ვერ იზრდება კარგად! ბავშვს თუ ქართველად გაზრდი, ქართველი იქნება, რუსად — რუსი. რა რჯულზეც გაზრდი, იმ რჯულისა იქნება.

დღეს რუსეთს გადაეკიდენ, აგინებენ და ინგლისურს ასწავლიან ბაღებს. წარწერებიც ინგლისურია! გაზეთებსაც ვერ ვკითხულობ!

დღეს ბაზარში ყველს ყიდის ქალი და ძროხა რაფერ ინველება, არ იცის! ყიდულობს, დავუშვათ, მანათად ყიდის სამად. ასე ილღობება ხალხი! კი, ბატონო, იყავით ჩვენზე მდიდარი, მაგრამ მე თავზე ნუკი დამაჯდები შენი ფულით! მე ბიზნესმენი არ მიყვარს, ჩვენებურად საქმოსანია. ის საქმეს აკეთებს თავისთვის; თორემ, მან მე თუ არ წამლლიტა, ხალხს თუ არ წაღლიტა, ისე მილიონებს ვერ იშოვის. 1992-ში, შევარდნაძის მოწოდებით, გაორმაგების იმედით, შევინახე ბანკში 17 ათასი მანეთი. წელიწადი! მეორე დღეს კი სოკოებივით ამოტივტივდნენ მილიონერები. სიდან?! სიდან და, ჩემი ფული, ხალხის ფული გაიტაცეს. ბანკის მმართველი იყო ვანო ჩხარტიშვილი, მან გაძარცვა ხალხი შევარდნაძის დავალებით! შევარდნაძე რომ არ გაჩენილიყო ამ ქვეყანაზე, ასეთი ცხოვრება არ გვექნებოდა!

შეიძლება, ბაბუა, ვიღაცას ეს არ მოეწონოს, მაგრამ მე საბჭოთა კავშირის დაშლა არ მომწონებია და არც მოვიწონებ, იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი იყო მსოფლიოში უძლიერესი ქვეყანა, რომელსაც თითქმის ემონებოდა შენი ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკა. ეხვეწებოდნენ სტალინს, ჩვენთან მობრძანდითო, არაო — პასუხობდა, მე თქვენთან საქმე არ მაქვსო, თუ თქვენ გაქვთო, ჩემთან მობრძანდითო. როგორც სახელმწიფოს ხელმძღვანელი, სტალინი

არსად არ იყო ნამყოფი. მხოლოდ ომის დროს ჩავიდა თეირანში და მერე, ომის დამთავრებისთანავე, გერმანიაში, პოტსდამში. არ დადიოდა იმიტომ, რომ მუშაობდა, არ ეცალა! ასეა, როცა თავდაუზოგავად მუშაობ, სეირნობის დრო არ გრჩება! აბა, ეს სააკაშვილია ხელმძღვანელი?! რას ხელმძღვანელობს, როცა სამუშაო კაბინეტში ერთი საათითაც თოკით ვერ დააბავ. დარბის იქით-აქით, „ცნობილი“ ხარით! სააკაშვილი თავის ჯიბის საქმეს ხუთიანზე აკეთებს, ხალხის საქმეს მაგი არ აკეთებს. ახლა, ვეკითხები ივანიშვილს, რომ ამბობს გევიმარჯვეთო, რაში გევიმარჯვეს და სად ჩანს მისი გამარჯვება? დავამარცხეთო სააკაშვილიო. სად ჩანს სააკაშვილის დამარცხება? სააკაშვილი ისევ მეფობს. კი, შეუზღუდა ივანიშვილმა მას ძალაუფლება, მაგრამ ცოტათი!

ადრე გაზეთებს ვკითხულობდი, მაგრამ ბოლოს, როგორც გითხარი, ამივარდა გული. ერთსა და იმავეზე წერენ, ერთსა და იმავე სიტყვებით, ერთი და იგივე ლანძვა-გინება. მაი არ მწამს მე! აგერ, ტელევიზორში ვნახე პარლამენტში ორი ქალი გამოდიოდა, მალრაძე და ოჩიაური. ვერ ვხვდებოდი მათ ლაპარაკს: „ტატატატა და ტატატატა! ტატატატა და ტატატატა!“... წინადადებებს ვერ ვგებულობდი! რათ მინდა ასეთი ლაპარაკი?! რა სარგებლობა მოაქვს ხალხისათვის?!

ავალორძინებთ სოფლის მეურნეობასო! უნინ რომ იყო სოფლის მეურნეობის მინისტრი, მას ჰყავდა რაიონებში სოფლის მეურნეობის განყოფილებები, გამგებები, სამმართველოები. მე ბრიგადირად რომ ვმუშაობდი კოლექტივში, დღეს ჩაის რომ მოვკრეფდით, საღამოს ფაბრიკაში ჩავაბარებდი. იქ საბუთს მაძლევდნენ; საღამოს კი ეს საბუთი უნდა კოლმეურნეობის თავმჯდომარისთვის მიმეტანა, სადაც ეწერა რამდენი კილო მოვკრიფეთ. თავმჯდომარე აცნობებდა რაიონს, რაიონი აცნობებდა სამინისტროს. დღეს სოფლის მეურნეობაში რა დაითე-

სა, რა დაიხნა, რა მოიმკეს, ამას კაცი პატრონი არ ჰყავს, ყველა თავისას ეძებს; და მინისტრმა სიდან უნდა აილოს ცნობა? პირველ რიგში სტატისტიკა უნდა იყოს, აღრიცხვიანობა უნდა იყოს, რა კეთდება ქვეყანაში. და ამ აღრიცხვიანობით უნდა გაიგოს მინისტრმა, მისი პროექტი თუ გეგმა ხორციელდება თუ არა! და ეს სტატისტიკა არაა! ჩვენთან კერძო მესაკუთრეობაა, ჰოდა, სანამ კერძო მესაკუთრეობა იქნება, (ამას ყველგან ვამბობ), მანამ ჩვენ არაფერი გვემველება! კი ბატონო, კერძო მე მაქვს ჩემი ეზო და კარი — რაც მინდა, იმას დავთესავ, რაც მინდა, იმას მოვიყვან, მაგრამ საერთო საქმე, „ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის“ — ეს ლოზუნგი მწამს! ჩვენ ვიბრძვით ერთისათვის, რომ ერთმა არ წააგოს და მშვიერი არ მოკვდეს; და ის ერთი ჩვენდა იბრძვის, რომ ჩვენ არ მოგვივიდეს რაიმე მარცხი. სახელმწიფო საკუთრება აუცილებელია. ტყე, მიწა, მინის ნიაღისეული ეს იყო სახელმწიფო ქონება, რასაც კერძო ვერ შეეხებოდა. დღეს მიწა კერძოდ აქვენ ვინცხა ბეჟუამვილებსო, ადვიშვილებსო და სხვებს. რატომ?! სამი კაპიკი ღირდა „სალიარკა“, სამი კაპიკი! ახლა რა ღირს? — ორმანეთ-ნახევარი, არა?! რატომ მაყიდინებ მეხუთე ხელიდან, მაყიდინე პირველი ხელიდან!! სოფელ ქვიანში ცისტერნები იყო, აზერბაიჯანიდან მოდიოდა სანავი და კოლექტივებში ნაწილდებოდა. არ იყო გადაყიდვა! გადაყიდვები, სპეკულაცია ღუპავს ქვეყანას!

— **სამაგიეროდ, ბატონო გივი, დემოკრატია გვაქვს!**

— გეტყვოდი, ბაბუა, დემოკრატიაზე რას ვფიქრობ, მარა, თქვენ მკითხველს ამას არ ვაკადრებ! მე რაც დავინახე, იმას მოგახსენებ — დემოკრატია ულმა წყობამ თავი „ისახელა“ ხალხის ანიოკებით, დაყაჩაღებით, გაღატაკებით, ჩაგვრით და არამზადათა ხროვის ზღაპრულად გამდიდრებით!

ესაუბრა
ბიორბი კორაკაძე



ჯემალ მებონია:

სააკაუპილის რეჟიმთან ბრძოლას უნივერსიტეტის 70-მდე პროფესორი შეენირა, ბევრს ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად დაუემიძა...

ბოლო ცხრა წლის მანძილზე განათლების სისტემაში განხორციელებულ რეფორმებსა და მის შედეგებზე გვესაუბრება პროფესორი ჯემალ მებონია.

— ბატონო ჯემალ, წინა ხელისუფლების წარმომადგენლები განათლების სისტემაში გატარებულ რეფორმებს დღემდე მათი მმართველების ყველაზე დიდ წარმატებად მიიჩნევენ. მართლაც მთელი ამ ხნის განმავლობაში არაერთი ნოვაცია დაინერგა და არაერთი ექსპერიმენტი განხორციელდა. როგორ აისახა ეს ყველაფერი განათლების ხარისხზე? რა შეიცვალა რეალურად?

— პირველ ყოვლისა, მოდი, ვთქვათ ასე: რასაც ისინი ეძახდნენ ძირეულ ცვლილებებსა და ნოვაციებს, რეალურად ეს იყო ანტი-რეფორმა. ზოგადად ამ სიტყვის, რეფორმის, შინაარსში დევს რალაციის უკეთესობისკენ შეცვლა. ამათ კი ყველაფერი შეცვალეს უარესობისკენ. თქვენ ვერ დამისახელებთ ვერც ერთ გადანყვეტილებას ხელისუფლების მხრიდან, რომელსაც სასურველი შე-

დეგი მოჰყვა. ხომ ამბობენ, ეროვნული გამოცდები წარმატებული იყო, კორუფცია აღმოიფხვრაო, მე ვარ მონმე, რა ხდებოდა სინამდვილეში. კი, ვილაც იღებდა ქრთამს, ვილაც ამას სისტემატურადაც აკეთებდა, მაგრამ ჯამში ამას არ ჰქონდა მასშტაბური ხასიათი. იყო სულ რამდენიმე სასწავლებელი და ცალკეული ფაკულტეტები, რომლებზეც ასეთი ხმები დადიოდა. ამ დროს ხელისუფლებამ სწორედ ეს სასწავლებლები და მათი პროფესურა დატოვა ხელუხლებელი.

ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა დააქინა ზოგადი განათლება, იმიტომ, რომ ბავშვები სკოლებში არ დადიოდნენ, უმეტესობა მეცადინეობდა მარტივ საგნებს, რომლებიც უნდა ჩაეზარებინა. გახსოვთ, ალბათ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ტრიმესტრები გააკეთეს, რის



შედეგადაც ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია ერთად ისწავლებოდა. იგივე ქნეს ისტორია-გეოგრაფიასთან დაკავშირებითაც. საბოლოოდ კი ამან გამოიწვია ის, რომ აბსოლუტურად უცოდინარი ბავშვები ამთავრებდნენ სკოლას. სხვათა შორის, ამასწინათ სოცარ ფაქტს შევესწარი: ერთ-ერთ სკოლაში მოსწავლეებს ვკითხე, რა ნიშნებით გასწავლიან-მეთქი. ვერც ერთი სახელმძღვანელო ვერ დამისახელეს, არც იცინან, ვინაა ავტორი, ერთი სიტყვით სრული ქაოსია. იგივე მდგომარეობაა უმაღლესეხსონ, საუნივერსიტეტო პროგრამები ისეა შედგენილი, ისეთი მეთოდით, რომ არანაირ ფუნდამენტურ პრინციპს არ ემყარება. აი, რა მოიტანა იმ ე.წ.

«ერთ-ერთ სკოლაში მოსწავლეებს ვკითხე, რა ნიშნებით გასწავლიან-მეთქი. ვერც ერთი სახელმძღვანელო ვერ დამისახელეს, არც იცინან, ვინაა ავტორი, ერთი სიტყვით, სრული ქაოსია»

რეფორმებმა, რომელიც ლომიამ დაიწყო და შემდეგ სხვებმა დაავიროვეს...

— ვინ ადგენს ამ პროგრამებს და, თქვენი აზრით, მათი არასრულყოფილება რითაა განპირობებული: პროფესიონალიზმის ნაკლებობით თუ, უბრალოდ, უპასუხისმგებლობით?

— კონკრეტულ მაგალითს გეტყვით და თავად განსაჯეთ. რამდენიმე წლის წინ ფიზიკის ერთ-ერთი პროგრამის განხილვაში ვმონაწილეობდი უნივერსიტეტში და პირდაპირ განვაცხადე: ეს პროგრამა არ ვარგა, ვერ იმუშავებს-მეთქი. ჩემი მოსაზრება რომ დავასაბუთებ, იცით, რა მითხრა ერთმა პროფესორმა? ახლა ჩვენ უნდა გადავრჩეთ, სტუდენტები უნდა მოვიზიდოთ და მოდი, ბავშვებს რთულ პროგრამას ნუ შევთავაზებთო. ეს იყო ჩემთვის გამაოგნებელი. სამწუხაროდ, ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა პროფესორის დიდ ნაწილს საქმისადმი და დღესაც იგივე ხდება.

— დასაწყისში სკოლის სახელმძღვანელოები ახსენეთ. ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ მათი უმეტესობა არის უხარისხო, რომ მათში ინფორმაციული მხარე მაქსიმალურად შეზღუდულია და ა.შ. თქვენ როგორ უყურებთ ამ ყველაფერს?

— მთავარი პრობლემა იყო და რჩება ის, რომ, როდესაც ზოგიერთი მიუშვეს თავის ნებაზე, როგორც გინდათ, წერეთ სახელმძღვანელოები, ოღონდ ჩვენ ჩვენი წილი მოგვეცითო, ყველამ ეს საქმე გაიხადა ბიზნესის, ფულის შოვნის საშუალებად. აქედან წამო-

ვიდა უხარისხო წიგნები და პლიუს ამას ძალიან ცუდად გაკეთებული პროგრამები. ზოგადი ლაპარაკი რომ არ გამომივიდეს, მე ამ შემთხვევაში ჩემს სპეციალობაზე, ფიზიკაზე, ვისაუბრებ. დღეს ეს საგანი რა სტანდარტებით ისწავლება, კაცმა არ იცის. არანაირი ფუნდამენტი, არანაირი საბაზისო ცოდნა, რა მეთოდიკა და თანმიმდევრობა, ვერ გაიგებთ. ამათ უარყვეს სწავლის ის ძირეული პრინციპი, რომ ყოველი შემდგომი საკითხი უნდა საჭიროებდეს წინას; ხოლო ყოველი წინა კი უნდა იყოს აუცილებელი შემდგომის გასაგებად. ერთი პერიოდი ვიფიქრე, მივიღებ მეც მონაწილეობას და გავაკეთებთ ნორმალურ სახელმძღვანელოს-მეთქი, მაგრამ, რომ დავიწყებ და დაინახეს, პროგრამას სხვანაირად ვალაგებდით, მაშინვე გაგვაჩერეს, ასე არ შეიძლება, ეს უკვე დამტკიცებული აქვს სამინისტროსო. ბოლოს კამათს აზრი არ ჰქონდა და შევეშვი. ახლა ვაკვირდები, რას გააკეთებს განათლების ახალი ხელმძღვანელობა. მე, ჩემი მხრიდან, ისევ მზად ვარ, არ დავიზარო და ჩავეერთო ამ პროცესში.


— წინა ხელისუფლებამ, რეფორმის ფარგლებში, არაერთი პროფესორი გაათავისუფლა სამსახურიდან. ზოგი მათგანის წინააღმდეგ ძალაც გამოიყენეს. როგორ ფიქრობთ, ახალმა ხელმძღვანელობამ უნდა დააბრუნოს თუ არა ისინი უმაღლესებში?

— რასაკვირველია, ეს ხალხი თავის ადგილს უნდა დაუბრუნდეს, მაგრამ საზოგადოებას ამასთანავე არ უნდა დაავინყდეს, რა

გაუკეთა მათ წინა ხელისუფლებამ. ამასწინათ ვიხსენებდი, რამდენი ადამიანი შეეწირა უნივერსიტეტისთვის ბრძოლას. მარტო ფიზიკოსები თორმეტი დავთვალე და ჯამში კი ასეთი სამოცდაათამდეა. ახლა ვილაც იტყვის, გარდაცვალება ისედაც ხდებაო, კი, ბატონო, მაგრამ, თუ ადამიანის სიცოცხლე თუნდაც ერთი დღით შემოკლდა, ის უკვე მსხვერპლია. როცა დამსახურებულ ხალხს პატივს აყრი, რას არ ეძახი, დაწყებული ხულიგნებითა და ბანდიტებით, დამთავრებული ჩარეცხილებით, ბუნებრივია, ამას ყველა ვერ უძლებს. ბევრი შეეწირა ამ შეურაცხყოფას, ბევრის ჯანმრთელობა კატასტროფულად გაუარესდა. ამიტომ დღეს, რომც შეთავაზო, მათი უმეტესობა ფიზიკურად ვერ შეძლებს დაბრუნებას. **მე ვფიქრობ, რომ ახალმა ხელისუფლებამ, განსხვავებით წინასგან, უნდა გამოიჩინოს გულსხმიერება და უნდა მიხედოს იმ ადამიანებს. ეს იქნებოდა, ერთის მხრივ, სამართლიანობის აღდგენაც და უდიდესი მორალური მხარდაჭერაც მათადმი.**

— თქვენი აზრით, რამდენად პოლიტიზირებული იყო ან არის დღეს უნივერსიტეტი?

— იმ პროფესორების აბსოლუტური უმეტესობა, რომლებიც დატოვეს, შერჩეული იყო სწორედ პოლიტიკური ნიშნით. წარმოიდგინეთ, თორმეტკაციანი აკადემიური საბჭო გააკეთეს, რატომ იცით? იმიტომ, რომ თორმეტი კაცის მართვა ადვილი იქნებოდა. ამ ყველაფერს ოფიციალურად ხელმძღვანელობდა ალექსანდრე ლომია და მის უკან კიდევ ვილაცები იდგნენ. მაგალითად, ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ას თორმეტი თანამშრომელი იყო ფიზიკის ფაკულტეტზე, დაიყვანეს ოცდასამამდე. შემდეგ ისევ ასი კაცი მონივიეს. ახლა რა გააკეთეს ამით? ყველაფერი ძალიან მარტივია: იმ მონვეულ ხალხს არანაირი უფლებები არ ჰქონდა, არც კენჭისყრაში მონაწილეობდნენ. ასე რომ, ფაქტობრივად, თვითონ ჩაიგდეს





ხელში სასწავლებლის მმართველობა. დღეს უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორი უფრო მეტია, ვიდრე ძირითადი თანამშრომლები. და კიდევ, ადმინისტრაციულ ერთეულთა რაოდენობა აღემატება პედაგოგებისას. გადაჭარბების გარეშე შემიძლია გითხრათ, რომ არც ერთი ნორმალური ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში ასეთი რამ არ ხდება. როგორც ნესი, ადმინისტრაცია არის აკადემიური პერსონალის დაახლოებით 20-25%. აი, ასეთი მდგომარეობაა და ახლა განსაჯეთ, იყო თუ არა უნივერსიტეტი პოლიტიზირებული, იმართებოდა თუ არა იგი უშუალოდ ცენტრალური ხელისუფლებიდან.

— დაუბრუნდეთ ისევ სახელმძღვანელოების თემას. თქვენ თქვით, რომ რეფორმების შედეგად სასწავლო პროგრამები გაფუჭდა. საინტერესოა, რეფორმებამდე რა სახის პროგრამები იყო და რით განსხვავდებოდა ისინი ახლანდელისგან?

— ზოგადად, რეფორმა განათლების სისტემაში არ დაწყებულა ნინა ხელისუფლების დროს, იგი დაიწყო ჯერ კიდევ 90-იან წლებში. ამიტომ, შედარებაზე რადგან ვსაუბრობთ, უფრო ლოგიკური იქნება, შევადაროთ საბჭოთა მოდელი და შემდგომი პერიოდის. მე ერთი რამის თქმა შემიძლია: **რამდენიც უნდა აკრიტიკონ და იტახონ, რომ ის სისტემა არ ვარგოდა, კი, ალბათ, სარკვევებიც არსებობდა, მაგრამ, მაგალითად, ჩამი დარგის,**



საბუნებისმეტყველო საბუნების, კუთხით, სწავლება მიმდინარეობდა უმაღლეს დონეზე. გადაჭარბების გარეშე ვიტყვი: საბჭოთა სკოლა, როგორც მათემატიკოსების, ისე ფიზიკოსებისა და ქიმიკოსების, ერთ-ერთი საუკეთესო მსოფლიოში. სახელმძღვანელოებიც შესაბამისად მაღალი ხარისხის გამოიცემოდა, პროგრამულადაც და საერთოდ.

— რაც შეეხება ახალი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ცვლილებებს. განათლების ამჟამინდელმა მინისტრმა, გიორგი მარგველაშვილმა, პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ დაფინანსება გაზარდა. რა აზრის ხართ ამაზე?

— ეს ცვლილება თავის დროზე განათლების სამინისტრომ არ ან ვერ ახსნა ისე, როგორც საჭირო იყო, ამიტომ თავიდან ამან გაუგებრობა და მითქმა-მოთქმა გა-

მოიწვია საზოგადოებაში. **ამ მნიშვნელოვანია ის, რომ დაფინანსება მოიმატა არა კერძო სექტორის, არამედ სახელმწიფო ნაწილის ხარჯზე.**

ერთია ეს და მეორე: მთელ რიგ დარგებში საერთოდ უფასო გახდა სწავლა. უმეტესად ესაა საბუნებისმეტყველო სპეციალობები. საერთოდ ეს ტენდენცია კარგია, მაგრამ, ვიმეორებ, დაფინანსება არ უნდა გაიზარდოს კერძო პირების ხარჯზე, ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, დაფინანსება უნდა იყოს ასიმეტრიული და წინააღმდეგობებს არ უნდა ქმნიდეს...

— ხელისუფლების შეცვლიდან ასი დღე გავიდა. ეს ის ვადაა, რომლის შემდგომაც, როგორც წესი, მთავრობას პირველ შედეგებს სთხოვენ. თქვენი აზრით, რა შეიცვალა ამ სამთვე-ნახევრის განმავლობაში განათლების კუთხით?

— საქართველოს ისტორიას რომ გადავხედოთ, მუდმივად იყო სიძნელეები და კატაკლიზმები, მაგრამ გამოსავალი ყოველთვის მოიძებნებოდა ხოლმე. ახლა ამას რატომ ვამბობ: ჩვენ, ქართველმა ხალხმა, ყოველთვის ვიცოდით, რომ ეს რეჟიმი დამთავრდებოდა და თანაც ძალიან ცუდად მათთვის.

რაც შეეხება ახალ ხელისუფლებას, მთავარი, რაც მან დღემდე გააკეთა, ისაა, რომ იმედი გააჩინა, ხალხს დაუბრუნა რწმენა და მოლოდინი, რომ ყველა სფეროში უკეთესობა იქნება. მიუხედავად ამისა, მას ჯერ კიდევ ებრძვის რეჟიმის ნარჩენები, ამიტომ ჯერჯერობით ვერ აიღეს სათანადო ტემპი განათლების მიმართულებით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სამართლიანობის აღდგენის პროცესი ლოგიკურ დასასრულამდე მივა, ეს ამბები ჩანყნარდება და ყველაფერი თავის ადგილას დადგება. მთავარია, საქმე პროფესიონალებს ჩაბარდეთ და დამთავრდეს ერთხელ და სამუდამოდ ხალხის პოლიტიკური ნიშნით შერჩევა. სხვანაირად წინსვლა შეუძლებელია და, მე მგონი, ახალ ხელმძღვანელობას ეს კარგად ესმის.

ესაუბრა ჯაბა შვიანი

«დარწმუნებული ვარ, საქართველოს ადგილის პროცესი ლოგიკურ დასასრულამდე მივა, ეს ამბები ჩანყნარდება და ყველაფერი თავის ადგილას დადგება. მთავარია, საქმე პროფესიონალებს ჩაბარდეთ და დამთავრდეს ერთხელ და სამუდამოდ ხალხის პოლიტიკური ნიშნით შერჩევა»

ქლიერი სოფელი – ქლიერი საქართველო

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ბრიფინგზე, რომელიც 5 თებერვალს გაიმართა, მთავრობის მეთაურმა ერთ-ერთი მთავარი აქცენტი სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარებაზე გააკეთა. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ ეს დარგი პრაქტიკულად განადგურების პირას დააყენა.

ისიც ცნობილია, რომ ანტიხალხურ ნაციონალ-ბოლშევიზმს ქართველი ერის მომსახურე ვერად გარდაქმნის თავისი პროგრამის პრიორიტეტულ მიმართულებად სოფლის ნასოფლარად ქცევა ესახებოდა.

ამას კიდევ სტიქიის არნახული შემოტევა დამატა, ნაცბოლებმა კი, ვითომდა კახეთის დასახ-მარებლად გამოყოფილი თანხა, ისეთივე მასშტა-ბური მონდომებით მიითვისეს, როგორც წლების განმავლობაში იყვნენ მიჩვეულები.

და გლახმა ფარ-ხმალი დაყარა.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, დღეს უკ-ვე შექმნილია სახელმწიფო და კერძო ფონდები საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლაფსი-დან გამოსაყვანად. 7 თებერვალს კი მთავრობამ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაამტკიცა, რომლის განხორციელებაც უმძიმესი საქმეა, რადგან, როგორც ბატონ ნაპოლეონ ქარქაშიძის ინტერვიუდან შეიტყობთ, საქართველოში სა-სოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება უახ-ლესი წარსულის მოცულობის 12-14 პროცენტი დარჩა...

კატასტროფული რეალობაა.

ნაპოლეონ ქარქაშიძე, ეკონომიკურ მეცნიერე-ბათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრე-



მიის ლაურეატი, ღირსების ორდენისა და სხვა სა-ხელმწიფო ჯილდოების კავალერია; საქართვე-ლოსა და რუსეთის სოფლის მეურნეობის სახელ-მწიფო მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევ-რი, სან-ფრანცისკოსა და სხვა საერთაშორისო აკადემიების აკადემიკოსი.

1975-1990 წლებში საქართველოს სუბტროპი-კულ მეურნეობათა ინსტიტუტის რექტორია, იყო ქართული მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი აფხაზეთში. 1990 წლიდან 2004 წლამ-დე გახლდათ საქართველოს აგრარული უნივერ-სიტეტის რექტორი. დღეს იგი საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის საპატიო პრეზი-დენტია.

ციფრებით მოთხრობილი ისტორია

— ბატონო ნაპოლეონ, საყო-ველთაოდ ცნობილია, რომ სა-ბაზრო ეკონომიკა ისე სწრაფად შემოიჭრა პოსტსოციალისტურ სისტემაში, რომ გააზრებაც კი ვერ მოვასწარიტ, თუ რასთან გვაქვს საქმე. წარსული რევო-ლუციურად „ჩამოვიბერტყეთ ფეხზე, ვით მტვერი“, დავანგრი-ეთ ყველაფერი, რისი დანგრევაც

შეიძლებოდა და დავრჩით გატი-ალებული სოფლის ანაბარა. გეგ-მური ეკონომიკიდან ქაოსურ (ანუ საბაზრო) ეკონომიკაზე გა-დასვლა უკიდურესად რთული აღმოჩნდა. ყოფილი სოციალის-ტური სისტემის სახელმწიფოთა დიდმა ნაწილმა დღემდე ვერ აულო ალლო ახალ ეკონომიკურ სისტემას. სამწუხაროდ, მათ რი-გებშია საქართველოც.

— გეთანხმებით, რომ ასეაუფ-როსი თაობა მომსწრეა, თუ რო-გორ ბარბაროსულად ინგრეოდა,

ნიავედებოდა ძველი სანარმოო სტრუქტურები, ისე, რომ წარ-მოდგენაც კი არ გვექონდა, როგორ აგვემენებია ახალი.

კომუნისტურ საზოგადოებაში მინისა და წარმოების საშუალებე-ბის მესაკუთრეები, სახელმწიფო და კოოპერაციული (ანუ კოლექ-ტიური) გაერთიანებები იყვნენ.

გავიხსენოთ, რომ სოფლადაც საკუთრების ორი ფორმა არსე-ბობდა, კერძოდ, სპეციალიზებუ-ლი საბჭოთა მეურნეობები, რო-მელთა მეპატრონეც სახელმწიფო

იყო, და მრავალპროფილური კოლმეურნეობები, რომელთა ქონებასაც, საპაიო წილის შესაბამისად, კოლმეურნეობის წევრები ფლობდნენ, ხოლო მიწა მათ სახელმწიფოს მიერ უვადო სარგებლობაში ჰქონდათ გადაცემული. წვრილგლეხური მეურნეობები, ანუ საკარმიდამო ფართობები გათვალისწინებული იყო კომლის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ცხადია, სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოება ყოველთვის არ იყო მომგებიანი, ამ მხრივ არც საქართველო წარმოადგენდა გამონაკლისს. თუმცა ჩვენში არსებობდნენ მთელ კავშირში ცნობილი მილიონერი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები თანამედროვე ტიპის ინფრასტრუქტურით.

— ბატონო ნაპოლეონ, დამიდესტურებით, რომ ჩვენს თაობას უნახავს ნატანების, შრომის, რუხის, ზემო ქედისა და სხვა სოფლების კულტურის სასახლეები, სკოლები, ბიბლიოთეკები, საავადმყოფოები და ა. შ., რომლებიც დღეს მთლიანად განადგურებული და გაძარცვულია.

— მეტსაც გეტყვით: საქართველოს სოფელი ეკონომიკურად იმდენად ძლიერი იყო, რომ გლახს თავისი შემოსავლით შეეძლო ორსართულიანი სახლის აშენება, მსუბუქი ავტომანქანის შეძენა, სანიმუშო სტუმარ-მასპინძლობა.

— მინდა გთხოვოთ ვითარების გაანალიზება — საიდან მოვდივართ და რანი ვართ დღეს?

— მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის საქართველოში გამოიყენება ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 16,1 პროცენტი (ცნობისთვის: ჰოლანდიაში — 88, დანიაში — 74, გერმანიაში — 41,8 პროცენტი და ა.შ.). მიწით უზრუნველყოფა, ერთ სულზე გაანგარიშებით, მსოფლიო საშუალო მაჩვენებელზე ოთხჯერ ნაკლებია. საქართველოში სახნავით უზრუნველყოფა 0,14 ჰექტარია, ჩვენს მეზობელ ქვეყნებში ბევრად უფრო მაღალია, მაგალითად, აზ-

«საქართველოში გავრცელებული იყო ვაზის 400-მდე და ხეხილის (ციტრუსების ჩათვლით) 188 ჯიში. ქვეყანა აწარმოებდა 750-800 ათას ტონამდე ყურძენს, რომლის პირველად გადაამუშავებს ემსახურებოდა 112 ღვინის ქარხანა, ხოლო ჩამოსხმას — 17 ქარხანა. საქართველო აწარმოებდა 35 სახის ორდინალურ ღვინოს და 11 სახის კონიაქს»

ერბაიჯანში — 0,67 ჰა, თურქეთში — 0,70 ჰა, სომხეთში — 0,16 ჰა და ა. შ.

მიუხედავად მცირემიწიანობისა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთო წარმოების ღირებულებით, საქართველო მეზობელი ქვეყნების დონეზე იყო ან ზოგიერთს (სომხეთს) უსწრებს კიდევ. ამის მიზეზია ის, რომ საქართველოში ვანარმოებდით მაღალშემოსავლიან პროდუქციას (ჩაი, ღვინო, ციტრუსები, ეთერზეთები, ადრეული ბოსტნეული და სხვ).

— შეგიძლიათ უფრო დანვრით ნარმოგვიდგინოთ ფაქტობრივი სურათი?

— კომუნისტური სისტემის დროს საქართველო აწარმოებდა: 640-680 ათას ტონა მარცვლეულს, 400-450 ათას ტონა კარტოფილს, 600 ათას ტონა ბოსტნეულს, 500 ათას ტონა შაქრის ჭარხალს, 11,0 ათას ტონა მზესუმზირას.

საქართველოში გავრცელებული იყო ვაზის 400-მდე და ხეხილის (ციტრუსების ჩათვლით) 188 ჯიში. ქვეყანა აწარმოებდა 750-800 ათას ტონამდე ყურძენს, რომლის პირველად გადაამუშავებს ემსახურებოდა 112 ღვინის ქარხანა, ხოლო ჩამოსხმას — 17 ქარხანა. საქართველო აწარმოებდა 35 სახის ორდინალურ ღვინოს და 11 სახის კონიაქს.

ხილის საერთო მოსავალი 700-750 ათას ტონას აღემატებოდა, ციტრუსის — 300 ათას ტონას. საქართველო აწარმოებდა მაღა-

ლი ხარისხის ჩაის ფოთოლს — 500 ათას ტონას, რომლის გადაამუშავებს ემსახურებოდა 100-მდე ჩაის ფაბრიკა.

— ეს მემცენარეობაა, მაგრამ ადამიანების კვების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი ხომ მეცხოველეობის პროდუქციაა?

— რა თქმა უნდა, მაგრამ საქართველო არ ითვლება კლასიკური მეცხოველეობის ქვეყნად, თუმცა ბარისა და მთის მეჯოგეობა ჩვენი ქვეყნისთვის ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყო ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება.

უახლოეს წარსულში საქართველოში აღრიცხული იყო 1,7 მლნ სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომლის 65 პროცენტი საზოგადოებრივ სექტორში იყო, ხოლო დანარჩენი — კერძო სექტორში. დაბალი იყო წველადობაც და ძალიან მწირი საკვები ბაზა. მაგრამ ასეთ პირობებშიც კი საქართველო მთლიანად იკმაყოფილებდა საკუთარ მოთხოვნებს ადგილობრივი წარმოების რძითა და რძის პროდუქტებით და საქონლის ხორციით.

საქართველოში წარმოდგენილი იყო მეცხვარეობა, რომლის სულადობა 1,6 მლნ სულს შეადგენდა, მატყლის საერთო ნაპარსი იმ წლებში 6-7 ათას ტონამდე აღწევდა. საზოგადოებრივ და კერძო სექტორებში აღირიცხებოდა 1,2-1,4 მლნ. სული ღორი, 25-26 მლნ ფრთა ფრინველი, იწარმოებოდა 900 მლ ცალი კვერცხი და ა. შ.

მეცხოველეობა ძირითადად გადასული იყო ინდუსტრიულ სა-



ფუძველზე. შენდებოდა მექანიზებული ფერმები, მეფრინველეობისა და მეღორეობის კომბინატები, დარგს ემსახურებოდა მაღალტექნოლოგიური გადამამუშავებელი მრეწველობა და არსებობდა მისი პერსპექტიული განვითარების პროექტებიც.

განვითარებული იყო მებაღე-შუმეობა, ნედლი პარკის წარმოება 5,5 ათას ტონას შეადგენდა, ინდივიდუალურ სექტორში იყო მეფუტკრეობაც და ა. შ.

ყოველწლიურად იზრდებოდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება, ენერგოშეიარაღება 12-14 ცხენის ძალას აღწევდა. იმ დროისათვის ეს არ ითვლებოდა მაღალ მაჩვენებლად, მაგრამ, თუ სამექანიზაციო ფართობების სტანდარტებით ვიმსჯელებთ, საბჭოთა კავშირში საშუალო მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს.

საინტერესოა, რომ სასოფლო-სამეურნეო შრომის საკავშირო დანაწილებაში საქართველო წარმოდგენილი იყო საუკეთესო ღვინოების, ჩაის, ციტრუსების, ეთერზეთების მწარმოებელ რესპუბლიკად. **1985 წელს საქართველო**

ველომ საკავშირო ფონდებში შეიტანა 2,2 მლრდ მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ხოლო შეიშინა 1,8 მილიარდი მანეთის. ექსპორტ-იმპორტის სალდო ჩვენი რესპუბლიკის სასარგებლოდ იყო.

საქართველოს შემოჰქონდა სასურსათო და საფურაჟე მარცვლეული 1,5 მილიონი ტონა, ხორცი — 74 ათასი ტონა, ცხოველური ცხიმო — 16,0 ათასი ტონა, გარდა ამისა, — რძის ფხვნილი, კვერცხი, თევზი, კარტოფილი, შაქარი.

სხვა რესპუბლიკებში და საზღვარგარეთ გაგვქონდა 120 ათასი ტონა ჩაი, 250 ათასი ტონა ციტრუსი, 124 ათასი ტონა ხილი და კენკრა, 10 მლნ დეკალიტრზე მეტი ღვინო, 1,0 მილიონი დეკალიტრამდე შამპანური, 740 ათასი დეკალიტრი კონიაკი, 110 ათასი დეკალიტრი სპირტი, 250 მლნ ბოთლი მინერალური წყლები; ასევე, — ბოსტნეული, თამბაქო, ადრეული კარტოფილი, ახალი ბოსტნეული და სხვ.

— **ნოსტალგია ხომ არ მოგეძალათ, ბატონო ნაპოლეონ?**

— არა, რა თქმა უნდა. მაგრამ ამ სურათის ჩვენება მკითხველისთვის აუცილებლად საჭიროდ მივიჩნევი იმიტომ, რომ საზოგადოებაში ნათლად დაინახოს, რა ზარალი მივაყენეთ ჩვენს ქვეყანას და ჩვენსავე თავს გაუზარებელი ქმედებით, როცა წინსვლის ერთადერთ გზად მხილოდ ნგრევა და იავარქმნა წარმოვიდგინეთ.

რა მდგომარეობა შეიქმნა ქართულ სოფელში 1990 წლიდან მოყოლებული, როგორი იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დინამიკა, ამაზე ბაყატონ ნაპოლეონთან საუბარს ჟურნალის მომდევნო ნომერში გავაგრძელებთ.

ესაუბრა
არამაზ სანუბლიაძე

P. S. საუბრის დასასრულს ჩვენმა რესპონდენტმა დაბეჯითებით განაცხადა, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება საქართველოში დღეს საბაზისო წლების მხოლოდ 12-14 პროცენტითაა.

«მწვანე ოქროს» კრიზისი

XX საუკუნეში მეჩაიეობას უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა საქართველოს ეროვნული მეურნეობის სისტემაში. 80-იან წლებში იკრიფებოდა 500 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი და ამ მაჩვენებლით იგი მსოფლიოს მეჩაიეობის ქვეყნებს შორის IV-V ადგილებს იკავებდა. დარგს გააჩნდა მძლავრი საწარმოო ინფრასტრუქტურა და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი. მზა პროდუქციის უდიდესი ნაწილი (100-120 ათასი ტონა) ექსპორტზე (ძირითადად, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში) გადიოდა. მეჩაიეობაზე მოდიოდა საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში წარმოებული მთლიანი პროდუქციის 18 პროცენტზე მეტი.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში მეჩაიეობასა და ჩაის მრეწველობაში უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა. ქვეყნის ბიუჯეტისა და სუბტროპიკული ზონის მოსახლეობის ამ დარგიდან ფულადი შემოსავლების ძირითადი წყაროს შესაძლებლობები ამჟამად მხოლოდ 10-15 პროცენტი-

თაა გამოყენებული. ჩაის პლანტაციების ფართობი 64,5 ათასი ჰა-დან შემცირებულია 47,3 ათას ჰა-მდე (აფხაზეთის ჩათვლით, მის გარეშე — 37,3 ათას ჰა-მდე), ჩაის ფოთლის წარმოება კი — 1985 წლის 581 ათასი ტონიდან 2006 წლისათვის — 7 ათას ტონამდე. მეჩაიეობაში განვითარებული

სისტემური კრიზისი, უწინარესად, განპირობებულია ეროვნულ ეკონომიკაში კრიზისის გამომწვევი ისეთი საერთო მიზეზებით, როგორცაა ბაზრების დაკარგვა, სამეურნეო-კოოპერაციული კავშირების რღვევა, ახალ გარემოში სამეურნეო-საწარმოო და ფინანსური საქმიანობის უცოდინარობა, ტექნოლოგიური დანადგარების ფიზიკური მოძველება, მათი განახლებისათვის ფინანსური რესურსების უქონლობა, ლიბერალურ სავაჭრო გარემოში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მოუხერხებლობა და მრავალი სხვა.

ამონარიდი
სუზანა დობოჯაშინიძის
სადისერტაციო შრომიდან „ჩაის წარმოების მიმართულებები საქართველოში“



წინ ნაკვეთით თუ უკან

აი, რას წერდა გაზეთი „სოფლის ცხოვრება“ 1983 წლის თებერვალში:

გამოწამება — «სოფლის ცხოვრების» კონტროლი!

ამთავითვე მაღალი ფეხვალღობა

მეთერთმეტე ხუთწლადის დამამთავრებელი წელი დამკვერალური შრომით დაიწყეს სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს“ (ბამბეოვის თავმჯდომარე რ. ჭიბვილი) მეცხოველეებმა. ოთხი იანვრისათვის კოლმეურნეობაში მიღებული იყო ათასი კილოგრამი რძე, რაც დაახლოებით 120 კილოგრამით მეტია შარშანდელთან შედარებით.

მეცხოველეობის ფერმის მუშაკთა შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: „დამკვერალური შრომით აღვნიშნოთ ახალი წლის პირველი დღეები, ღირსეული შრომითი წარმატებით შევხვდეთ საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას“. სოციალისტურ შეჯიბრებაში წინ მიდის მწველავი ო. დოლიძე, რომელიც მოვლა-პატრონობას არ აკლებს გაპროვინებულ პირუტყვს, ზამთრის თვეებში სისტემატურად იცავს პირუტყვის კვების რაციონს.

შარშან კოლმეურნეობაში თითოეულ ფურზე მივიღეთ 2.800 კილოგრამი რძე, რაც 300 კილოგრამით მეტია გეგმასთან შედარებით. წელს ნაგომრელთა პირობაა 3.000 კილოგრამიანი ზღვარის გადალახვა. იანვრის პირველი დღეების შედეგები მონიშნა, რომ ჩვენი მეცხოველეები სიტყვას არ უღალატებენ, წელსაც შრომითი წარმატებებით ასახელებენ სამშობლოს, მეჩაიეობასთან ერთად საზოგადოებრივ

მეურნეობას გადააქცევენ მაღალმოსავლიან დარგად.

შ. მალულარია,
მახარაძის რაიონის ნაგომრის კოლმეურნეობის ფერმის გამგე

პროდუქტიულობა რომ გაიზარდოს პირველი დღეებიდანვე — მაღალი ფეხვალღობა

ისე, როგორც ყველგან, ხელვაჩაურის რაიონშიც მეცხოველეობა დამკვერელური ფრონტია.

პირუტყვს ნორმალურად აზამთრებენ და მაღალ წველადობას აღწევენ ახალსოფლის კოლმეურნეობის მეცხოველეები. აქ თითოეული ფურის წველადობა გასულ წელს სამიათასიან მიჯნას მიუახლოვდა. კოლმეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის დავალბა.

კოლმეურნეობაში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს მწველავებმა გუგული კახიძემ, ნათელა ნაგერვაძემ, ნინა კახიძემ და სხვებმა. ახალსოფლელები კარგად მოემზადნენ ზამთრისათვის: დაამზადეს 240 ტონა უხეში საკვები, 668 ტონა სილოსი, კარგად მოამზადეს პირუტყვის სადგომები და ახლა ენერგიული შრომით აღწევენ მაღალპროდუქტიულობას. მაგრამ მონინავეების გვერდით რაიონში არიან ჩამორჩენილიც. მაგალითად, „რაიცხოველმრეწვა“ ვერ დააღწია თავი ჩამორჩენას. იმის ნაცვლად, რომ შარშან წინა წელთან შედარებით

გაეზარდა პროდუქტიულობა, შეამცირა. ასევე მეცხოველეობის პროდუქტების დონე შესაძლებელთან შედარებით დაბალია მეცხოველეობის სანაშენე მეურნეობაში.

ხელვაჩაურელმა მეცხოველეებმა, როცა აბაშისა და ბოლნისის რაიონების მეცხოველეთა თაოსნობას გაეცნენ, გადაწყვიტეს წელს გასული წლის გამოზამთრების პერიოდთან შედარებით ანარმონ 26 ტონით მეტი ხორცი, 17 ტონით მეტი რძე, 500 ათასით მეტი კვერცხი. სახელმწიფოს მიეყიდება გამოზამთრების პერიოდში შარშანდელთან შედარებით 20 ტონით მეტი ხორცი, 355 ათასი ცალით მეტი კვერცხი. თითოეული ფურის წველადობა გაიზარდა 9 კილოგრამით, ჩაბარებული პირუტყვის საშუალო წონა — 280 კილოგრამამდე, ღორის — 100 კილოგრამამდე.

აღებული ვალდებულებების შესასრულებლად წლის პირველი დღეებიდანვე გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: ვანარმოთ წელს შარშანდელზე მეტი მეცხოველეობის პროდუქტები! ახალი წლის პირველი ორი დღე რაიონის უმეტეს მეურნეობებში აღმავლობით დაიწყო.

მ. ბალაშაძე,
ხელვაჩაურის რაიონი.

კეთილარელ მეცხოველეთა კარგი სტარტი

აბაშის რაიონის მეცხოველეები თავდადებით იბრძვიან სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის. შეჯიბრებაში მწინავეობენ კეთილარის კომპლექსის მშრომელები, რომლებიც ახალი წლის პირველი დღეებიდანვე გაცილებით მეტ ფერმების პროდუქციას აბარებენ სახელმწიფოს, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. შეჯიბრების მონინავეთა შორისაა კომკავშირელი მაია ფარცვანია, რომელიც 100-ზე მეტ მოზარდს უვლის.



ნარმატაჰის სანიღარი: მეხნეარაგისა და ნარმოების პარტნიორობა

როგორც ცნობილია, ციტრუსოვანთა შორის ყინვისაგან ყველაზე მეტად ლიმონის მცენარე ზიანდება, ამიტომ ამ კულტურის დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ცნობილია, რომ აგრონესებით გათვალისწინებული დაცვითი ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფენ ლიმონის ნარგავების სრულ დაცვას ძლიერი ყინვების შემთხვევაში, რასაც, მაგალითად, ადგილი ჰქონდა 1941-1942 წ.წ., 1959-1960; 1963-1964 წ.წ. ზამთარში, ლიმონის ნარგავები ნაწილობრივ ანდა მთლიანად განადგურდა სამეფნა დოლბანდის ან მისი შემცვლელი ქსოვილის გადახურვის ქვეშაც კი.



არის თუ არა მოსალოდნელი მსგავსი მკაცრი ყინვები უახლოეს მომავალში და გვაქვს თუ არა მასთან ბრძოლის ეფექტური საშუალებები?

პირველ კითხვაზე პასუხის გაცემა არც თუ ისე ძნელია. ციტრუსოვანთათვის დამლუბველ ყინვებს უნდა ველოდეთ. ბოლო წლებში ადგილი აქვს ამინდის მოულოდნელ და მკვეთრ ცვლილებებს. ამიტომ ამინდის პროგნოზირების მიუხედავად, ხშირად არ ვიცით როდის გვეწვევა იგი. უდავოა ერთი: უნდა ვიყოთ მზად და ყოველგვარი საშუალებებით დავიცვათ მცენარე ყინვებისაგან.

რადიაციული სანთურით გათბობის გაუმჯობესებული ტექნოლოგია დაედო საფუძვლად ზემდგომი ორგანოების დადგენილებას, რომელიც ითვალისწინებს ამ სისტემის დანერგვას დამატებით ოთხ საბჭოთა მეურნეობაში: გაგრის, ილიჩის სახელობის, ფოთისა და ჯალის, სულ 12,6 ჰექტარზე.

კიდევ უფრო პერსპექტიულია ლიმონის ნარგავების ყინვებისაგან დაცვა ბუნებრივი აირის გამო-

ყენებით, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ქუთაისი-ბათუმის და ქუთაისი-სოხუმის მიმართულეებით მშენებარე აირსადენის ტრასაზე მყოფ ლიმონის პლანტაციებში. ჩვენს მიერ შემუშავებული ტექნოლოგიის მიხედვით აირის გათბობის აღნიშნული სისტემა ძლიერ მარტივდება და იაფდება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტისა და სრულიად საკავშირო ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ერთობლივი კვლევით დამტკიცებულია, რომ აირით გათბობით ლიმონის ნარგავების ღია გრუნტში ყინვებისაგან დაცვა შესაძლებელია ნებისმიერი ყინვების შემთხვევაში დაზიანების გარეშე.

მიუხედავად ჩვენს მიერ შემუშავებული დისტანციური აირის ანთების საიმედოობისა, მის შემდეგ, რაც გასათბობ რიგებში ავანთეთ სანთურები, მათი შემდგომი, უფრო მაღალ რეჟიმზე სამუშაოდ გადაყვანამდე, აუცილებელია ჩამოთვლა და დარწმუნე-

ბა იმაში, რომ ყველა სანთური აინთო. თუკი რომელიმე სანთურში აირის აალება არ მოხდება, იგი უნდა ავანთოთ ხელის ჩირაღდნით, ან გამოვროთ უნესივრობის აღმოფხვრამდე. ეს გავლენას არ მოახდენს თბური ეფექტის სიდიდეზე გასათბობ პლანტაციაში.

ცნობისათვის: აშშ-ში, კერძოდ, კალიფორნიისა და ფლორიდის შტატებში, სადაც უმთავრესად გავრცელებულია ციტრუსოვანები, მათი ნაყინებისაგან დასაცავად ფართოდ გამოიყენება ნავთის მათბურები, მათბურებში ნავთის ჩასხმა, ანთება და საჭიროების შემთხვევაში ხელახლად ჩასხმა და ანთება. აღსანიშნავია, რომ იქ ამ წესით ძალიან დიდი ფართობებია დაცული და გათბობა წარმოებს ყოველწლიურად.

დამტკიცებულია, რომ თხევადი აირით ლიმონის ნარგავების გათბობის მოსაწყობი ერთდროული ხარჯები ერთ ჰექტარზე არ აღემატება 24 ათას მანეთს, ხოლო დაცული ნაყოფის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი ანაზღაურებს მას პირველსავე წელს. მომდევნო წლებში კი საჭიროა სისტემის მოსავლელი შედარებით მცირე ხარჯები.

იმისათვის, რომ დაჩქარდეს ამ ღონისძიების დანერგვა, საჭიროდ მიგვაჩნია აქედანვე შევექმნათ პირობები საპროექტო სამუშაოების ჩასატარებლად და საჭირო მასალებისა და მოწყობილობების შემოტანის დასაგეგმავად.

ს. რობაქიძე,

საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაზისა და ადგილობრივი ენერგორესურსების გამოყენების ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.



ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესება — ყველას დიდი საზრუნავი!

ჩაი ასეთი უნდა იყოს

სიმხნევის ჭეშმარიტი ელექსირია — ასეთ შეფასებას აძლევენ მომხმარებლები ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ექსპერიმენტულ ჩაის ფაბრიკაში დამზადებული ჩაის ახალ ნიმუშებს.

ქართველ მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა ბევრითი და შემოქმედებითი შრომით ბოლო წლებში სულ უფრო იზრდება ჩაის წარმოება, მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება მისი ხარისხის გასაუმჯობესებლად. მიუხედავად ამისა, მეჩაიებს და ჩაის მრეწველობის მუშაკებს ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვები გააჩნიათ და მათი ვალდებულებაა, ქართულ ჩაიზე მომხმარებელს ისეთი გულწრფელი ქება ათქმევინონ, როგორც ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკის მიერ გამოშვებულ შავი ბაიხის ჩაიზე გამოთქვენს.

საქმე ის არის, რომ ფაბრიკამ 1983 წლიდან დაიწყო ექვსი სახის შავი ბაიხის ჩაის: „ანასეული“, „ჩაქვი“, „გაზაფხულის არომატი“, „ელიტა“, „პრიმა“ და „ნორმა“ გამოშვება, რომლებიც ქართული სელექციური ჩაის ჯიშების ნედლეულისაგან მზადდება, მომხმარებელმა მაღალი შეფასება მისცა. ამ ჩაის გაერთიანების სახელზე მოსული გამოხმაურებები იმაზე მეტყველებს, რომ ეს პროდუქცია სავსებით აკმაყოფილებს მომხმარებლის გაზრდილ მოთხოვნებს როგორც ხარისხით, ისე სასაქონლო სახით. ისინი ქართულ ჩაის მაღალ შეფასებას აძლევენ და ითხოვენ ასეთი ჩაი ბევრი აწარმოონ, ხარისხი არ გააუარესონ.



„დიდი მადლობა ასეთი ჩაის გამოშვებისათვის. დიდი ხანია ამის მსგავსი არაფერი დამიღვია. საუკეთესო გემო და არომატი, ფერი და საუკეთესო გაფორმება. ერთი სიტყვით, ყველაფერი მსოფლიო სტანდარტების დონეზეა. ბოლოსდაბოლოს კავშირი გამოჩნდა ნამდვილი ჩაი, არადა ძალზე შელახა ქართული ჩაის პრესტიჟი იმ „ნარეცხმა“, რომელსაც „ქართულ ჩაის“ ვეძახით. ყოჩაღ, ახლა მთავარია, არ გავაუარესოთ და გავზარდოთ მისი წარმოება. ვიგემე „ელიტა“ და „გაზაფხულის არომატი“. ორივე საუკეთესოა. დიდი მადლობა! დიდი მადლობა მოსკოველებისაგან საუკეთესო და ნანატრი პროდუქციისათვის!“ გვწერს მოსკოველი ო. სოლნიშკინა.

აი, რას იწერება ლენინგრადელი ლ. მაიოროვი: — „ნევის პროსპექტზე კარგად გაფორმებული ჩაი „ნორმა“, „პრიმა“, „ელიტა“, „გაზაფხულის არომატი“, ვიყიდე. ჩემი აზრით „პრიმა“ სჯობია „ნორმას“, „ელიტა“ — „პრიმას“. მაგრამ „გაზაფხულის არომატი“ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ეს ჩაი კი არა, სიცოცხლის ნექტარია. მეორე დღეს მივედი მაღაზიაში, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ იყო, გაყიდულიყო. ჩაისთვის დიდი მადლობა, მაგრამ სად შევიძინოთ?“

„მოსკოვში გავლით ვიყავი, — იწერება ჩუვაშეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქ. ალატირის მცხოვრები ვ. მარევევი, — ვიყიდე ჩაი „პრიმა“. ჩაის ხარისხი სავსებით შეესაბამება ორიგინალურად და მიმზიდველად გაფორმებულ შეფუთვას. სამწუხაროა, რომ ჩვენთან ასეთი ჩაი არ იყიდება. დიდი მადლობა ასეთი არომატული ჩაის გამოშვებისათვის!“

პოლტაველმა ვ. გოლდმანისმა კი ასე გამოხატა თავისი აღტაცება: მაღაზიაში გაჩნდა თუ არა „ნორმა“, „პრიმა“ და „ელიტა“, უცბად დაიტაცეს. განსაკუთრებით მოგვეწონა „პრიმა“. როცა ამ ჩაის ვსვამდი, უდიდეს კმაყოფილებას ვგრძნობდი. საოცრად სასიამოვნო არომატი, ყვავილის სუნი, თაფლის გემოც კი. გმადლობთ იმ კმაყოფილებისათვის, რომელიც თქვენ მოგვანიჭეთ!”

— „ჩემთვის კარგი ჩაი დიდი ხანია გახდა პირველი მოთხოვნის პროდუქტად, იგი მხნეობასა და შრომისუნარიანობას მანიჭებს. გისურვებთ წარმატებებს საუკეთესო ჩაით საბჭოთა ხალხის უზრუნველყოფისათვის!“ — იწერება ვლადიმირის ოლქის კირჟაჩის მკვიდრი ლ. სუპონევი.

აი, რას იწერება პოლონელი ტურისტისტი ანდატი ტომასიკი: „საბჭოთა კავშირში ვიყავი ექსკურსიაზე. ვიყიდე ჩაი „ელიტა“. ჩაი ჩვენს ოჯახში ყველას მოეწონა. პოლონეთში ასეთი კარგი ჩაის ყიდვა იშვიათად შეიძლება. ძალზე ვწუხვარ, რომ „ელიტა“ უფრო მეტი არ ვიყიდე“.

— „არ შემიძლია თავი შევიკავო და არ მოგწეროთ, ამას წინათ შემთხვევით ვიყიდე ჩაი „ანასეული“. რა შეიძლება თქვა ამ ჩაიზე? ბრწყინვალე არომატი, საუკეთესო გემური თვისებები და ნაყენის ფე-



რი, უმაღლესი ხარისხის სასმელია! მთელი სულითა და გულით უდიდესი მადლობა. ასე გააგრძელეთ! კმაყოფილებას გვგვრის თქვენი შრომა". ლ. ლოგინოვი. ქ. მოსკოვი.

— „ჩემმა ქართველმა მეგობარმა ჩაი „გაზაფხულის არომატი“ მაჩუქა, — წერს გაერთიანებას ბერლინელი ხეიდი შმიდტი, — ჩაი ძალზე გემრიელია. არასოდეს არ დამილევიას ასეთი კარგი ჩაი“.

დონეცკელი ლ. ლიპნიკი: „როგორც ჩაის დიდი თაყვანისმცემელი, მსურს გულითადად მოგესალმომო ქართული ჩაის „გაზა-

ფხულის არომატისათვის“. ბოლო ხანებში პრესაში სამართლიანად იყო გაკრიტიკებული ქართული ჩაი. მაგრამ თუ სხვა ქართული ჩაიც „გაზაფხულის არომატის“ დონეზე იქნება დამზადებული, მაშინ უცხოეთიდან შემოტანილ ჩაის კავშირში მყიდველი არ ეყოლება. სამწუხაროდ გაერთიანების ექსპერიმენტული ფაბრიკის პროდუქცია ჩვენთან დიდ იშვიათობას წარმოადგენს, სამაგიეროდ რამდენიც გნებავთ იმდენია ოდესისა და ბათუმის გადაამწონი ფაბრიკების პროდუქცია, რომელიც ვერა-

ვითარ კრიტიკას ვერ უძლებს“.

ვფიქრობთ, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ექსპერიმენტული ფაბრიკის პროდუქციაზე მიღებული ეს გამომხაურებები საკმარისია იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ დავრწმუნდეთ იმაში, თუ რა დიდი შესაძლებლობები აქვს ქართულ ჩაის იმისათვის, რომ დიდი სიამოვნება მივანიჭეთ ჩაის სმის მოყვარულებს, ასეთი მოყვარული კი მთელი ქვეყანაა.

რ. დევდარიანი.

გაზაფხულს – გაპართული ტექნიკა სიმაღლოვის გარანტიით

გურჯაანელ და ზუგდიდელ მექანიზატორთა მხარდამხარ

ამბობენ, მოსავალს ზამთარი უყრის საფუძველსო. იმაზე, თუ რამდენად დროულად მომზადდება ტექნიკა მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის, ბევრად არის დამოკიდებული მოსავლის ბედი.

გურჯაანისა და ზუგდიდის რაიონების მექანიზატორთა თაოსნობაც სწორედ ამას ითვალისწინებს. ამიტომ არის, რომ რესპუბლიკის მექანიზატორები ფართოდ გამოეხმაურნენ ამ თაოსნობას. მათ შორის არიან ბოლნისის რაიონის მექანიზატორები, რომლებ-

მაც გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს.

ბოლნისელი მექანიზატორები 1985 წლის 5 თებერვლისათვის დაამთავრებენ ნიადაგის დამამუშავებელი და სათესი მანქანების რემონტს, ხოლო სამი მარტისათვის მზად იქნება ტრაქტორების 97 პროცენტი, საკვებისა და მარცვლის ასაღები კომბაინების 92 პროცენტი. 30 აპრილისათვის მზად ექნებათ ყველა დასაწვინი დანადგარი და სატუმბი სადგური. 3 პროცენტით გაზრდიან სარემონტო სახელოსნოების მწარ-

მოებლობას, 1.5 პროცენტით შეამცირებენ ტექნიკის შენახვის ხარჯებს, დაზოგავენ საწვავსაცხებს და სხვ. პირველი მაისისათვის მოამზადებენ სხვადასხვა სპეციალობის 140 სპეციალისტს, კვალიფიკაციას აიმაღლებს 372 კაცი.

განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს აგროსამრეწველო გაერთიანების მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმო (დირექტორი ზ. შახბაზოვი, პარტბიუროს მდივანი ზ. სააკიანი, მთავარი ინჟინერი თ. კაპანაძე). როგორც აქ გვითხრეს, სულ რაიონში სხვადასხვა მარკის 414 ტრაქტორია, 38 მარცვლის ასაღები კომბაინი, კარტოფილის 96 სარგავი და 125 ამომთხრელი მანქანაა. რემონტს ექვემდებარებოდა 108 ტრაქტორი, დღეისათვის შეკეთებულია 56, პირველ კვარტალში 60 ტრაქტორის შეკეთებაა გათვალისწინებული.

საწარმომ შარშან გეგმა-ვალდებულება დიდი გადაჭარბებით შეასრულა. გეგმა 3 მილიონ 475 ათას მანეთს ითვალისწინებდა, ფაქტიურად შესრულდა 3 მილიონ 612 ათასი მანეთის სამუშაო. შესრულებულია მთლიანად ხუთწლიანი გეგმა. ნაცვლად 11 მილი-





ონ 19.600 მანეთისა შესრულებულია 12 მილიონ 867 ათასი მანეთის სამუშაოები.

წარმოების მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შეკეთება დაამთავრონ 25 თებერვლისათვის, შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 6 პროცენტით, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შემცირონ 1,5 პროცენტით.

რაიონში ტექნიკა რომ მუდამ მზადყოფნაშია და მას მაღალმწარმოებლურად იყენებენ, ამას მონიშნავს რატევის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის (დირექტორი რ. ჭობონელიძე, პარტკომის მდივანი ვ. დევნოზაშვილი, მთავარი აგრონომი ნ. გოგოლაძე, მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი თ. მათეშვილი) მუშაობა. მეურნეობას 58 სხვადასხვა მარკის ტრაქტორი აქვს. აქედან რემონტშია 6 ტრაქტორი, რომელიც მწყობრში ჩადგება 15



თებერვლისათვის, სხვა ტექნიკის შეკეთება კი 20 თებერვლისათვის დამთავრდება.

მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მოამზადოს 7 ტრაქტორისტი, კვალიფიკაცია

აუმალღოს 12 ტრაქტორისტს. დაზოგოს 20 ტონა საწვავ-საცხები.

**ბ. დგაბუაძე,
ო. უბრანელიძე,
„სოფლის ცხოვრების“ სპეც. კორესპონდენტები. ბოლნისის რაიონი**

გმირი თანასოფელის ანგარიში იურიალეს თუთის კლანტაცია

გმირები, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული ადამიანები არასოდეს კვდებიან, მათი საქმეები თაობებს გადაეცემა. წულუკიძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და დიდების მუზეუმში ბევრი, ძალიან ბევრი ექსპონატია რაიონის რევოლუციურ წარსულსა და დღევანდელობაზე რომ მოგვითხრობენ, საქვენოდ სახელგანთქმულ თანამემამულეებზე ამაღლებულად რომ გვესაუბრებიან. გვეამაყება, რომ მათ შორის არის მათხოველი **ნოე ადამია**, მეშვიდე საზღვაო ქვეითი ბრიგადის სნაიპერთა ინსტრუქტორი — გმირი ვაჟკაცი, რომელმაც სევასტოპოლისის ბრძოლებში სნაიპერული შაშხანით სიცოცხლეს გამოასალმა 230 ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ნოე ადამიამ დაწყებითი განათლება მათხოველში მიიღო, შემდეგ

სწავლობდა თბილისის 33-ე საშუალო სკოლაში, სამხედრო-საზღვაო ფლოტში განვევამდე მშობლიური სოფლის კოლმეურნეობაში ბრიგადირად მუშაობდა.

...სევასტოპოლისის გმირულ დაცვაში არა ერთი გმირული ფურცელი ჩანერა ნოე ადამიამ. ოთხმოცმა მეზობელმა დაამთავრა ნოე ადამიას სნაიპერთა „სკოლა“, სამმა მათგანმა ნოეს მეთაურობით ერთი მეტად პასუხსაგები დავალების შესრულებისას ზუსტი სროლით 50 ფაშისტი მოსპო. ან კიდევ: ნოე ადამია და თერთმეტი მეავტომატე მტრის ალყაში მოჰყვნენ. „რუსო, დაგვენბდიო,“ — გაჰკიოდნენ ყაჩაღები, მამაცმა მეომრებმა ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს ფაშისტებს, მონინალმდეგის 180 ჯარისკაცი მოკლეს და გაიმარჯვეს კიდევ.

ორმოცდაორის ოცდაათ ივნისს

ნოე პეტრეს ძე ადამიას საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა. რამდენიმე დღის შემდეგ გმირი დაეცა ბრძოლის ველზე.

სევასტოპოლისის გმირული დაცვის მუზეუმში ფაქიზადაა დაცული მასალები ნოე ადამიას გმირობაზე, სევასტოპოლისის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მოსწავლეები, რომლებსაც მეგობრობა აქვთ წულუკიძის საშუალო სკოლის მოსწავლეებთან, მზრუნველობით უვლიან ქართველი გმირის საფლავს. ნოე ადამიას სურათი ცენტრალურ ადგილზეა მათხოველის შინმოუსვლელთა სტენდზე. გაზაფხულზე მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად ერთ ჰექტარზე გაშენდება „ნოე ადამიას თუთის კლანტაცია“.

**ელდარ ფიოლია,
მათხოველის კოლმეურნეობის
თავმჯდომარე.
წულუკიძის რაიონი.**

გონა ჯაფარიძე:

ახალი არაბული წყარო XIII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის

საქართველოს ისტორიის უცხოურ წყაროთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს IX-XV საუკუნეების არაბულ საისტორიო ლიტერატურას, რომლის ფურცლებზეც აისახა ჩვენი ქვეყნის წარსულის მრავალი საინტერესო ეპიზოდი. ქართული ისტორიოგრაფია იცნობს ბევრ არაბ და არაბულენოვან ისტორიკოსს (ალ-ბალაზური, ატ-ტაბარი, ალ-ფარიკი, იბნ ალ-ასირი, ან-ნასავი, ალ-კალკაშანდი...), რომელთაც მოეპოვებათ ცნობები საქართველოს შესახებ, მაგრამ ბევრი მათგანი ჯერ კიდევ ელის თავის მკვლევარს. მათ რიცხვს მიეკუთვნება XII-XIII სს არაბი მეცნიერი აბდ ალ-ლატიფ ალ-ბალდადიც.



ცნობილი არაბი ისტორიკოსის აზ-ზაჰაბის „ისლამის ისტორიამ“ შემოგვინახა ბევრი ნაწყვეტი აბდ ალ-ლატიფ ალ-ბალდადის მემუარული ჟანრის თხზულებიდან, რომელსაც პირობითად ავტობიოგრაფიასაც უწოდებენ. ამ ნაწყვეტებში დახასიათებულია მათი ავტორის თანამედროვე არაერთი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე: ბალდადის ხალიფები, აიუბიანთა საგვარეულოს წარმომადგენლები, მათი გარემომცველი წრე და საუბარია, აგრეთვე მონღოლებზე და ხვარაზმელებზე.

აბდ ალ-ლატიფ ალ-ბალდადის კუთვნილი ყველა პასაჟი აზ-ზაჰაბის „ისლამის ისტორიის“ ავტოგრაფიდან შეკრიბა და ცალკე გამოაქვეყნა კ. კაენმა. მანვე ფრანგულად თარგმნა ის ცნობები, რომლებიც ხვარაზმელებს ეხება. ამ ავტორის ცნობები მონღოლების შესახებ შეისწავლა ჟ. დე სო-მოგიმ.

საქართველო და ქართველები ფიგურირებენ აბდ ალ-ლატიფ ალ-ბალდადის იმ ცნობებში, რომლებშიც აღწერილია მონღოლთა და ხვარაზმელთა შემოსევები.

აბდ ალ-ლატიფ ალ-ბალდადი თანადამხდური და მომსწრე იყო მონღოლთა პირველი შემოსევები-

სა 1220-1221 წწ., რომლებმაც თავზარდამცემი გავლენა მოახდინეს მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ხალხებზე. არაბი ისტორიკოსები ამ შემოსევების ანალოგიებს ვერ პოულობდნენ ისტორიაში. ისლამის სამყაროზე დამტყდარი უბედურება მწვავედ განიცადა აბდ-ალ-ლატიფმაც: — „თათართა (ანუ მონღოლთა) ამბავი სხვა ამბებს ფარავს და ნთქავს. ეს არის ისტორია, რომელიც სხვა ისტორიებს დაგავიწყებს, შემთხვევა — ყველა სხვა შემთხვევას რომ არარად ხდის და უბედურება, რომელიც დედამიწის ზურგზე ვრცელდება და მთელ სიგრძე-სიგანეზე აღავსებს მას.“

აბდ ალ-ლატიფ ალ-ბალდადი პირველი არაბი მწერალია, რომელმაც დაახასიათა მონღოლთა ანთროპოლოგიური ტიპი. ის აგვიწერს მათ საბრძოლო ხერხებსაც: მოწინააღმდეგეზე მოულოდნელ გალაშქრებას, ბრძოლაში ცრუ უკან დახევას, მტრის მახეში შეტყუებას და ზურგიდან თავდასხმას, ქალების მონანიღობას ბრძოლებში, მონღოლთა სამხედრო აღჭურვილობას (მშვილდისრის სიჭარბეს), მათ დაუნდობლობასა და მხეცურ სისასტიკეს დამარცხებულთა მიმართ, შემდეგ კი **ჰიჯრის 618 წლის**

(1221 წ.) ამბავში მოგვითხრობს მონღოლთა ლაშქრობას საქართველოზე: „თათრებს გამოეყო ორი რაზმი... რომელთაგანაც ერთი აზერბაიჯანისა და არრანისკენ გაემართა. შემდეგ კი ქართველთა ქვეყნისკენ (ბილად ალ-ქურჯ) წავიდა, ხოლო მეორე რაზმი ჰამაზანსა და ისფაჰანს მივიდა და ბალდადზე ლაშქრობას ისახავდა მიზნად... რაც შეეხება პირველ რაზმს (თათრებმა), მოაოხრეს ქვეყნები, რომლებიც გაიარეს და როცა ქართველთა ქვეყანას მიაღწიეს, ქართველებმა შეჰყარეს თავიანთი რაზმები, შეეგებნენ მათ, მაგრამ დამარცხდნენ. მოიკლა მათგან 8 ათასი რჩეული მეომარი, დიდძალი ქვეშევრდომი (ალ-ითბა) და გლეხი (ალ-ფალლაჰინა). ქართველთა მეფე (მალიქ ალ-ქურჯ) სასონარვეთილებაში ჩავარდა. მის დასახმარებლად მოვიდნენ დიდებულნი (ალ-უმარა) და იხსნეს ის თათართა მძლავრი კბილებიდან. მეფე ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეში გამაგრდა, ხოლო თათრები ქვეყანაში დათარეშობდნენ და, ვინც გადარჩა, სიმწრისაგან თითებს იკვნეტდა... (შემდეგ) თათრებს გამოეყო ერთი მხედარი. ქართველთა მეფემ იკითხა: არის ჩვენს შორის ვინმე



ისეთი, ვინც გავა მასთან (ორ-თაბრძოლაში)? მაშინ ერთმა ქართველმა მოყმემ (ბატალ) დაინყო ქადილი, გამოვიდა და გაემართა თათრისკენ. თათარმა ბევრი არ დაახანა, მოჰკლა ის, გამოიყვანა მისი ცხენი, ნელა მობრუნდა და გააჭენა. თითქოსდა მისი ასაკის გაგება ენადა. გაოცდა ქართველთა მეფე და თქვა: (ცხენი) ისე წაიყვანა, თითქოსდა იყიდაო. შემდეგ ქართველებმა სხვა ჯარი შეკრიბეს და დახმარებისათვის მიმართეს არზან არ-რუმის ლაშქარს. მაგრამ თქვა ხალხმა: თითრები აღარ დაბრუნებულან და როცა აუტანელი გახდა სისხლისღვრის დანაშაული, გაბრუნდნენ უცნობი მიზეზის გამო... ეს მოხდა 618 წელს და ამ დროს ვიყავი არზანში... თათრები მიიქცნენ შირვანისკენ, დაიპყრეს მახვილით, მოსრეს დედა-ბუდიანად, ძალით და მახვილით გადაჭრეს დარუბანდი, გადაუარეს ყივჩალებსა და ალანებს და მოსრეს მახვილით“.

ზემომოყვანილი ვრცელი ცნობა ეხება მონღოლთა იმ ლაშქრობას, რომელიც ჩინგიზ-ხანის დავალებით ჯებე და სუბუდაი ნოინების სარდლობით 1220 წლის გაზაფხულზე დაიწყო სამარყანდიდან. ხვარაზმ-შაჰ მუჰამადის (1220-1221) დევნაში მონღოლებმა შუა აზიიდან გადაჭრეს ირანი და აზერბაიჯანი, აიღეს მრავალი ქალაქი, მოსპეს ათეულათასობით მშვიდობიანი მცხოვრები, ცეც-

ხლს მისცეს აურაცხელი მატერი-ალური დოვლათი და საქართველოს საზღვრებს მიადგნენ.

1220 წლის მიწურულსა და 1221 წლის დამდეგს მონღოლებმა რამდენიმეჯერ დაამარცხეს ქართველები. ამ ბრძოლებიდან აბდ ალ-ლატიფ ალ-ბალდადი მხოლოდ ერთს ასახელებს. მის მიერ მოხსენიებული ქართველთა მეფე — დიდი თამარის ვაჟი — ლაშა-გიორგია (1210-1222), რომელსაც დიდი ისტორიული განსაცდელი დაატყდა თავს. აბდ-ალ-ლატიფ ალ-ბალდადი მოგვითხრობს, რომ მონღოლებთან მარცხის შემდეგ საქართველოს სამეფო კარზე სასონარკვეთილებამ დაისადგურა, მაგრამ მისი ინფორმაციიდან ისიც ჩანს, რომ ქართველებს ფარხმალი არ დაუყრიათ.

ფაქტია, რომ ძლივამოსილ ჯიპესა და სუბუდაის ყვილაზე მეტად მაინც საქართველოში გაუჭირდათ. ლაშა-გიორგიმ ორგანიზებული სამხედრო ძალა დაუპირისპირა მტერს, რომელსაც მანამდე ცინე-ქალაქებში შეხიზნულ ბარნიზონებთან და მოსახლეობასთან ჰქონდა საქმი. სწორედ ძლიერი და შეუპოვარი წინააღმდეგობა იყო მიზეზი იმისა, რომ 1220-1221 წლებში მონღოლებს, მიუხედავად რამდენიმე გამარჯვებისა, არ აუღიათ არც ერთი ქალაქი საქართველოს სამეფოს საზღვრებში.

ლაშა-გიორგის სამხედრო ღონისძიებებში მეზობელი პოლიტიკური ერთეულების დარაზმაც შედიოდა. აბდ ალ-ლატიფ ალ-ბალდადი ერთადერთი მუსლიმი ავტორია, რომელიც მოგვითხრობს, რომ ქართველებმა დახმარებისათვის მიმართეს მეზობელი არზან არ-რუმის, ანუ არზრუმის საამიროს ლაშქარს. მისი ცნობის შემდარტებას ადასტურებს ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვიდრე: მეფემ დამარცხების შემდეგ მონღოლებთან საბრძოლველად... „მოირთნა კარნუ-ქალაქისა (ე. ი. არზრუმის — გ. ჯ.) ლაშქარნი“.

აბდ ალ-ლატიფის თანამედროვის, ცნობილი არაბი ისტორიკოსის, იბნ ალ-ასირის, თანახმად, ქართველებმა მონღოლთა წინააღმდეგ გაერთიანება მოუწოდეს, აგრეთვე, აზერბაიჯანის ათაბეგს — უზუეკს (1210-1225) და ხლათის მფლობელს — აიუბიან ალ-მალექ ალ-აშრაფს (1210-1237), მაგრამ, სამწუხაროდ, დიდი კოალიციის შექვრა არ მოხერხდა, საამისოდ უზუეკი უნიათო და წინდაუხედავი მმართველი აღმოჩნდა, ხოლო აშრაფმა, რომელსაც მონღოლები ჯერ კიდევ უშუალოდ არ ემუქრებოდნენ, ეგვიპტეში ჯვაროსანთა წინააღმდეგ საბრძოლველად ამჯობინა გამგზავრება.

ლაშა-გიორგიმ დიდი გეგმის მხოლოდ ნაწილი განახორციელა: „მოირთნა კარნუ-ქალაქისა ლაშქარნი“, მაგრამ მონღოლებმა მოულოდნელად დატოვეს საქართველო: „ვიდრე ზედმისვლამდე გაიქცნეს და გარდაიხუენნეს, განვლეს დარუბანდის გზა“.

მონღოლთა ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლის შემდეგ, იმავე წლის ამბებში აბდ ალ-ლატიფ ალ-ბალდადი მოგვითხრობს ლაშა-გიორგის გარდაცვალების, რუსუდანის გამეფებისა და მისი ქორნიების შესახებ: „შემდეგ მოკვდა ქართველთა ჭაბუკი მეფე და გამეფდა მისი და, რომელმაც არზან არ-რუმის მფლობელს — ალ-მუდლის შეუთვალა, რომ დაექორნიებინა მასზე მისი უმცროსი ვაჟი. ის იყო ხლათის მფლობელის ბეგ-

აბდ ალ-ლატიფი:
მონღოლთა ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლის შემდეგ მოკვდა ქართველთა ჭაბუკი მეფე და გამეფდა მისი და, რომელმაც არზან არ-რუმის მფლობელს — ალ-მუდლის შეუთვალა, რომ დაექორნიებინა მასზე მისი უმცროსი ვაჟი. ის იყო ხლათის მფლობელის ბავთიუარის ქალიშვილის ვაჟი, 17 წლისა. (მუდისმა) დააქორწინა ის დედოფალზე და გაკრძალდა სხა რომ ის გაქრისტიანდა



თიმურის ქალიშვილის ვაჟი, 17 წლისა. (მულისმა) დააქორწინა ის დედოფალზე და გავრცელდა ხმა რომ ის გაქრისტიანდა“.

რუსუდანის ქორწინების ამბავს იხსენიებენ სხვა არაბი ისტორიკოსებიც (იბნ ალ-ასირი, აბუ ლ-ფიდა), მაგრამ, მათგან განსხვავებით, აბდ ალ-ლატიფის ცნობაში ყურადღებას იპყრობს ერთი დეტალი: **არზრუმის გამგებლის — მულის ადდინ თოღრულშაჰის (1201-1225) უმცროსი ვაჟი, რომელიც რუსუდანის მეუღლე გახდა, დედით იყო ხლათის მფლობელის - ბეგთიმურის შთამომავალი.**

ბეგთიმური ქ. ხლათს დაეუფლა 1185 წ., როცა უძეოდ გადაეგო ხლათის შაჰ-არმენთა სახელმწიფოს გამგებელი, სუქმანიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი ნასირ ადდინ სუქმანი იბნ იბრაჰიმი. მისმა მამლუქმა ბეგთიმურმა თავი შაჰ-არმენად გამოაცხადა და ხლათს 1193 წლამდე განაგებდა.

ბეგთიმური ასასინებმა იმსხვერპლეს. შემდეგ მისი მცირეწლოვანი შვილიც დაიღუპა და სახელმწიფოში არეულობა დაიწყო. ტახტზე ერთმანეთს ცვლიდნენ შაჰ-არმენთა მამლუქები. ხლათს თვალი დაადგეს მეზობელმა სახელმწიფოებმა. საქართველოს სამეფო კარი, რომელსაც განუწყვეტელი ომები ჰქონდა ხლათთან XII საუკუნეში სერიოზულად ისახავდა მიზნად მის ანექსიას. მაგრამ ხლათისთვის ბრძოლაში წარმატება სირიის აიუბიანებს ხვდათ წილად. აიუბიანთა სულტნის — ალ-ადილის (1206-1218) ძე ალ-აუჰადი 1207 წელს დაეუფლა ხლათს და მის დროს 1210 წელს საქართველოსთან 30-წლიანი სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო.

არ არის გამორიცხული, რომ დინასტიური ქორწინება რუსუდანსა და მულის ად-დინის ვაჟს შორის, რომელიც დედით ხლათის მფლობელის შთამომავალი იყო, შორეულ მიზნებსაც ისახავდა. საქართველოს სამეფოს ის ახალ პერსპექტივებს უხსნიდა

ხლათისთვის ბრძოლაში. გარდა ამისა, აღნიშნულმა ქორწინებამ კიდევ უფრო გააძლიერა საქართველოს პოლიტიკური გავლენა არზრუმის საამიროზე.

აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი გაკვრით ეხება მონღოლთაგან დევნილი ყივჩაყების გადმოსვლას ამიერკავკასიაში და შემდეგ ვრცლად მოგვითხრობს მონღოლთა ცდაზე, დაელაშქრათ ბაღდადი.

ბრძოლებში მონღოლთა შეუპოვრობა თანამედროვეებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი აღნიშნავს, რომ ალ-მალქ ალ-აშრაფს თურმე ჰკითხეს აზრი თათართა შესახებ და მან უპასუხა: „ამ ხალხზე ვერაფერს ვიტყვით, რადგანაც მათგან ჯერ არავინ ჩავვიგდია ტყვედ. ისინი იბრძვიან მანამდე, ვიდრე არ დაიხოცებიან, ანდა თავს არ დაიხსნიან“-ო. ირკვევა, რომ ამ ინფორმაციის ერთ-ერთი წყარო საქართველოს სამეფო კარი იყო. ეს სიტყვები თათართა შემოსევის აღწერასთან ერთად საქართველოს მეფეს შემოეთვალა და ანდაზასავით ქცეული აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის არზრუმში გაეგო. მეფე, აგრეთვე, იტყობინებოდა: „რაც შეეხება თათრების მიერ დახოცილთ, ჩვეულება მათ ისე ვერ განსაზღვრეს, თუ არ გააორმაგა და (ამიტომ) ამბობენ არა იმას, თუ რამდენი დახოცეს (თათრებმა) ამა თუ იმ მხარეში, არამედ მხოლოდ იმას, თუ რამდენი (მცხოვრები) დარჩა“.

აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის ინფორმაცია მონღოლთა შესახებ მთავრდება ნიშაბურსა და ფერღანაში მათ მიერ ჩადენილი საშინელი ამბების აღწერით. აქვე საუბარია ხვარაზმ-შაჰის — მუჰამადის (1200-1220) შესახებ, მაგრამ ამ სულტანზე და საერთოდ ხვარაზმელებზე ის სპეციალურ ნაკვეთებში ჩერდება.

ავტორის დამოკიდებულება მუჰამადისადმი უარყოფითია. მართალია, ის არ მალავს მუჰამადის დადებით თვისებებს, მაგრამ ამავე დროს ყურადღებას ამახვი-

ლებს ხვარაზმ-შაჰის უარყოფით მხარეებზე, როგორც იყო მუხანათობა, სისასტიკე, დაუნდობლობა და მეკობრეობა.

როგორც ცნობილია, მუჰამადმა ხვარაზმის ჰეგემონობით გააერთიანა თითქმის მთელი ირანი (ხუზისტანის გარდა), რასაც ბევრი ადგილობრივი, წვრილი გამგებელი შეენირა. ამას აბდ ალ-ლატიფი დანაშაულად უთვლიდა მუჰამადს, ისევე, როგორც მის მტრულ დამოკიდებულებას ბაღდადის ხალიფასთან.

მუჰამადისადმი მიძღვნილ ვრცელ პასაჟში, სადაც დამახასიათებელია სულტანის ექსპანსიური გეგმები, ჩვენთვის საინტერესოა აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის შენიშვნა: **„მუჰამადს სურდა, წასულიყო (სალაშქროდ) თბილისზე და გადაექცია ის თავის სახელმწიფოს დედაქალაქად (სარირ ალ-მულქიში), საიდანაც იგანმგებლებდა არ-რუმის, ყივჩაყთა და სომეხთა ქვეყნებზე, აღმოსავლეთზე და დასავლეთზე“.**

მართალია, სხვა არაბული წყაროები მუჰამადის ამ გეგმას არ იცნობენ, მაგრამ ასეთი განზრახვა ხვარაზმ-შაჰის შეიძლება მართლაც ჰქონოდა. 1217-1218 წწ. მუჰამადმა შემოიმტკიცა ჯიბალის (სპარსეთის ერაყი) და აიძულა საქართველოს მეზობელი აზერბაიჯანის ათაბეგი უზბეკი თავი მის ვასალად ელიარებინა. **სულტანმა გააფრთხილა საქართველოს სამეფო კარი, რომ, თუ არ შეწყებოდა აზერბაიჯანის დარბევა, ის ილაშქრებდა საქართველოზე, რისთვისაც 50 ათასი რჩეული მეომარი გამოყო. ბაღდადზე წარუმატებელი ლაშქრობისა და ხვარაზმში დაბრუნების გამო სამხედრო კონფლიქტი საქართველოსთან არ მოხდა. მაგრამ ხმა იმის თაობაზე, რომ მუჰამადს თბილისის დალაშქვრა სურდა, სწორედ ამ დროს უნდა გავარდნილიყო.**

აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი გვიხატავს ჯალალ ად-დინის (1220-1231) პორტრეტს („ის იყო შავყვითელი, გამხმარი, მახინ-



ჯი“... და საკმაო ადგილს უთმობს მის ბრძოლებს ხლათთან, რუმის სასულტნოსთან და საქართველოსთან. ავტორის დამოკიდებულება ხვარაზმელთა მიმართ აქაც უარყოფითია: „ხვარაზმელებთან გავრცელებულია მრუმობა, — წერს ის, — და მამათმავლობა არ ითვლება უხამსობად და სამარცხვინო საქმედ. ვერაგობა მათი დამახასიათებელი თვისებაა“...

ხვარაზმელთა ვერაგობა აბდ-ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის საქართველოს მაგალითზეც აქვს დასურათებული. ინფორმაცია მას მიუღია თავისი ყოფილი მოწაფისგან, რომელსაც სააქიმო საქმე შეასწავლა. ეს უკანასკნელი თბილისში 6 წელი ცხოვრობდა და ექიმობით დიდძალი ქონება დააგროვა. მან უამბო აბდ ალ-ლატიფს, რომ, („ხვარაზმელებმა) თბილისთან აიღეს ციხე შეუვალობის პირობით (ბი-ლ-ამან) და, როცა გამოვიდა ციხიდან მისი ხალხი, გაშორდნენ მათ მცირედით, შემდეგ მოუბრუნდნენ და დახოცეს ისინი, ვისაც აღუთქვეს მშვიდობა — დახოცვის გარეშე და დაატყვევეს ისინი, ვისაც აღუთქვეს მშვიდობა-დატყვევების გარეშე“... „როდესაც მოახლოვდნენ ხვარაზმელები, მათი ელჩი ეახლა დედოფალს ტკბილი სიტყვით და, როცა მასთან დარბაზობაზე იყო, მოვიდა მაცნე ამბობით, რომ ეს ხალხი აოხრებდა ქვეყნის სანაპიროებს. მაშინ დედოფალმა უთხრა ელჩს: განა ამგვარად იქცევიან მეფეები, ელჩს ერთს ალაპარაკებენ და თავად სანინაალმდეგოს აკეთებენ? და ბრძანა მისი გაძევება“...

აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი მოგვითხრობს ქართველებსა და ხვარაზმელებს შორის ბრძოლაზე (იგულისხმება გარნისის ბრძოლა, 1225 წლის აგვისტოში), როცა ქართველთა მთავარბანაკში თავი იჩინა უთანხმოებამ ივანე მხარგრძელსა და შალვა ახალციხელს შორის.

ხვარაზმელთა ელჩის გაძევებიდან „თხუთმეტი დღის შემდეგ მოვიდნენ ხვარაზმელები. გამო-

ვიდა მათ წინააღმდეგ ქართველთა ლაშქარი. თქვა ივანემ და მონყო ლაშქარი ცენტრად, მარჯვენა და მარცხენა ფრთად. მაგრამ თქვა შალვამ: ისინი (ხვარაზმელები) ამისი ღირსნი არ არიან და მათ მეც ვეყოფი. ის ჩაეშვა ბრძოლაში წინდაუხედავად 7 ათასი მეომრით (რომელთა უმრავლესობა იყო თურქმანი), რადგანაც თავში სიმთვრალე ჰქონდა. დაიძრა, შეიჭრა მათ შუაგულში. მაგრამ (ხვარაზმელები) გარს შემოერტყნენ. დაეცა მისი ალაში და მაშინ თქვა ივანემ: შალვა დამარცხდა და ჩვენც უკუვიქცეთ. ის გაემართა უღელტეხილისკენ და უკან მიჰყვნენ ოტებულნი, ისინი იჩხებოდნენ ვიწრობებში, ისე, რომ უმეტესობა დაიღუპა. ივანე და მისი მხლებლები ციხეებში გამაგრდნენ, ხვარაზმელებმა კი დაიწყეს ყველაფრის მოოხრება, რაც კი ჰპოვეს. დედოფალი გამაგრდა ციხეებში უღელტეხილზე“...

ხვარაზმელთა მუხანათობას აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი საქართველოს კიდევ ერთი ქალაქის აღების მაგალითზე გვიჩვენებს. ქალაქი მტრისთვის იბნ ას-სადიდ ათ-თიფლისის (ე. ი. თბილისელს) ჩაუბარებია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს პიროვნება ყადი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ჩანს, თუ რომელ ქალაქზეა საუბარი: „შემდეგ იბნ ას-სადიდ ათ-თიფლისიმ მოინადინა დაზავება, იფიქრა, რომ ისინი (ხვარაზმელები) ადამიანებსა ჰგავდნენ და რომ შეეძლოთ სიტყვისა და პირობის შესრულება. გამოვიდა და ითხოვა შეუვალობა (ალ-ამან) ქალაქის ხალხისთვის მთლიანად: მუსლიმთათვის, ქართველებისა და ებრაელებისთვის. მიიღო ჯალალ ად-დინისა და ლიას ად-დინის (ჯალალ ად-დინის ძმის — გ. ჯ.) ხელწერილი, შეუვალობა, მათი ბეჭდები... და ერთი საათის შემდეგ, როცა შევიდნენ (ხვარაზმელები ქალაქში) დაიტაცეს იბნ ას-სადიდის მამლუქები და მისი ქონება. ინანა (იბნ ას-სადიდმა) ეს. (ხვარაზმელებმა) იგივე გაუკეთეს ყველას და უძახდნენ მუსლი-

მებს რენეგატებს (ალ-მურთადინა), მიითვისეს მათი ქონება და ცოლები, არ დაუტოვებიათ არც ერთი ლამაზი ქალი და ლამაზი ბავშვი. მიადგებოდა ხოლმე (ხვარაზმელი) ვინმეს ოჯახს და, როცა საქმელ-სასმელად დაპატიჟებდნენ, ეძიებდა სახლის პატრონის ცოლს, თხოულობდა ლოგინში და ამბობდა: ჩვენი დააო. დილით კი, თუ მათთან ნახავდა ბავშვს, რომელიც მოეწონებოდა, თან მიჰყავდა. თუ ვინმეს გასაყიდი საქონელი ჰქონდა და 50 დინარს აფასებდა, 5 დინარს აძლევდა და თუ პატრონი რამეს იტყოდა, თავში რკინის ბუნიკიან მათრახს გადაუჭერდა, რისგანაც ის (ნაცემი) კვდებოდა ან გრძნობას ჰკარგავდა“.


ჯალალ ად-დინი ამტკიცებდა, რომ მისი ძირითადი მიზანი მონღოლებთან ბრძოლა იყო, მაგრამ ფაქტიურად მისი სამხედრო კამპანიები მიმართული იყო ამიერკავკასიისა და მცირე აზიის ქვეყნების წინააღმდეგ. მან აიძვინა და გადაიმტერა ამ ქვეყნების ქრისტიანული და მუსლიმანური მოსახლეობა, ქართველებში ხვარაზმელებს მეტი სიძულვილი დაუმსახურებიათ, ვიდრე მონღოლებს. ეს აისახა ზემოხსენებული თბილისელი მკურნალის სიტყვებში, რომლებიც მას აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადისთვის უთქვამს: **„ყველა, ვინც კი ებრძოდა თათრებს, მონღოებს, რომ თათრები ხვარაზმელებზე უკეთ იქცევიან“**-ო.

აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის ავტობიოგრაფიულ თხზულებაში, რომლის ნაწყვეტებიც აზ-ზაჰაბის „ისლამის ისტორიამ“ შემოგვინახა, საქართველო და ქართველები არ წარმოადგენდნენ ძირითად თემას და ისინი იხსენიებოდნენ ისლამის სამყაროში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბების აღწერასთან დაკავშირებით. ამისდა მიუხედავად, აბდ ალ-ლატიფის ცალკეული ცნობები უდავოდ საყურადღებოა და ისინი გარკვეულად ავსებს ჩვენს ცოდნას XIII საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის შესახებ.



ფოტოები არასოდეს ძველდება

სათაურით „ფოტოები არასოდეს ძველდება“ ფირზე აღბეჭდილი წარსულის არაერთი საინტერესო მომენტი გაცოცხლდა. დიახ, არც ფოტოები ძველდება, არც დიდი ადამიანები იკარგებიან და ისტორიაც, როგორც არ უნდა იყოს ის, დავინწყებას არ ეძლევა, განსაკუთრებით ის ისტორია, რომელიც დროთა განმავლობაში მტიკვნიულადაც და დიდებულადაც აღიქმება.



ჯოტო გუგუჩია

ერთ-ერთ წარმატებულ ადამიანს, ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, სოციალისტური შრომის გმირს, უმაღლესი საბჭოს დეპუტატს — **ჯოტო გუგუჩიას** გავიხსენებთ.

ეს ადამიანი გლეხის ოჯახში დაიბადა. მათი გვარი ოდითგანვე შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა, რის გამოც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ასე გაზარდეს შვილებიც, ოჯახმა ვერ შეძლო შვილებისთვის უმაღლესი განათლების მიცემა, მაგრამ მშრომელებად და პატიოსან ადამიანებად კი ნამდვილად გამოზარდეს.

ჯოტო გუგუჩია კახათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე 1971 წელს გახდა. მას შემდეგ, ჩაუმუხლავი შრომით შეძლო, რომ საკუთარი სოფელი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უმდიდრეს სოფლად ექცია. სოფელს ჰქონდა და დღემდე აქვს ორი საშუალო სკოლა, რომლის გაუქმებაც „ნაცმოძრაობამ“ ოპტიმიზაციის პირობებშიც კი ვერ შეძლო, ჰქონდა და აქვს ორი საბავშვო ბაღი, სკოლებშიც და ბაღებშიც კვება ბავშვებს უფა-



ზუგდიდის რაიონის ხელმძღვანელ-მუშაკები



უკრაინაში სტუმრობისას

დღეს საქართველოში ბავშვებს სკოლაში ასწავლიან, რომ საბჭოთა სივრცე საშინელება იყო, რომ იმ დროს ადამიანი დაჩაგრული იყო, არ ჰქონდა თავისუფლება და არ შეეძლო, რაც უნდოდა, ის ეკეთებინა. ამ თემას სადავოს არავინ ხდის, თუმცა, თუ იმ ოც წელიწადს გადავხედავთ, რომელიც საქართველომ გამოიარა, არა მგო-

ნია, რომ ვინმემ ის თქვას, ამ ხნის მანძილზე ქვეყანა და ხალხი წინ წავიდაო და ან ქართველებმა რაიმე ფასეული შევიძინეთო, გარდა იმისა, რომ საზღვრებს გარეთ გასვლა შეეძლიათ და უცხო ქვეყნებში მოსამსახურეებად დავინწყეთ მუშაობა.
„ისტორიული მემკვიდრეობის“ ამ ნომერში იმ დროისა და ეპოქის



ქახათის კოლმეურნეობა „თბილისობაზე“
გასული საუკუნის 80-იან წლებში



გუგუჩიების ოჯახი



სტუმრად ტალალაევძელ გავშვებთან

სოდ ჰქონდათ. არსებობდა უნიკალური ფერმა, რომელიც დამეგობრებული იყო უკრაინის ერთ-ერთ სოფელთან, საიდანაც განსაკუთრებული ჯიშის ძროხები და ღორები ჩამოჰყავდათ, მისი თანამედროვეები იხსენებენ, რომ ამ პროექტს თავდაპირველად საქართველოს მთავრობიდან მხარდაჭერა არ ჰქონდა და თვლიდნენ,

რომ იმ უნიკალური ძროხების გამოკვებას ფერმა ვერ შეძლებდა, მაგრამ სოფლის თავკაცმა თავისი გაიტანა და ანაკლიის ზღვის შესართავთან მდებარე ქუჩის ქაობის სათიბები მთლიანად აითვისა.
საქართველოს მთავრობასთან პირობა დადო და ყოვლადწარმოუდგენელი რამ შეძლო: ჯოტო გუ-


გუჩიამ დაიწყო ჩაის მიკროფაბრიკის მშენებლობა და ზუსტად 45 დღეში მშენებლობაც დაასრულა და ჩაის უმაღლესი ხარისხის პროდუქციაც გამოუშვა. მან ამით მთელი საბჭოთა კავშირის გაოცება შეძლო.
4500 ტონა ჩაი მოჰყავდათ, 500 სული ძროხა ჰყავდათ, 400 ჰექტარი სიმინდის მოსავალს ეკავა, ასევე უდიდესი შემოსავლები ჰქონდა მებალეობას, დაფნის წარმოებას, მებოსტნეობას და ასე შემდეგ. სოფელში 12 დარგი იყო აღორძინებული. 80-იანი წლების შუაში სოფლის შემოსავალი 5 მილიონი მანეთი იყო, აქედან სრულ მოგებად 1 მილიონი მანეთი რჩებოდა. სოფელს ჰყავდა საკუთარი კატერები, განვითარებული იყო საცხენოსნო სპორტი, რითაც კახათელები ძალიან ამაყობდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცხენები თბილისიდან დოღში გამარჯვებულები ბრუნდებოდნენ.
1984 წლის 6 ივნისს საბჭოთა კავშირმა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს უდიდესი ღვაწლი და



ეგვანი ხარაქესთან ერთად



შენხედრა ჟურნალისტებთან



ანაკლიაში, ჭურის სათიგებთან

შრომა დაუფასა და მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. 1989 წელს ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გახდა და აგრარული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე იმ დრომდე იღვწოდა, ვიდრე საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ქართველი დეპუტატები უკან არ გამოიწვია.

სოფელ კახათის ჩაის ფაბრიკის მიერ ნაწარმოები ჩაი მთელ საბჭოთა კავშირში დიდი წარმატებით იყიდებოდა. გლეხებს სოფელში სეზონურად იმდენი შემოსავალი ჰქონდათ, რომ ჩაის სეზონის დასრულებისას მათ მანქანის ყიდვა და სახლების მშენებლობაც კი შეეძლოთ. მათი შრომა ფინანსურადც ფასდებოდა და იმდროინდ-

ელი ჯილდოებითაც, რომელიც მეტად წამახალისებელი იყო იმ პერიოდის გლეხისთვის, ისინი იყვნენ სოფლის დეპუტატები, მათ ეკითხებოდნენ რჩევა-დარიგებებს, რაც ისეთ სტიმულს აძლევდათ, რომ უფრო და უფრო მუყაითად შრომობდნენ. ასწავლიდნენ შვილებს, სოფლის თავკაცი ყველა ახალგაზრდას, რომელსაც უმაღ-



კახათის მეცხოველეობის ფარგლებში




ანაკლიაში



ირაკლი აბაშიძე, რეზო ჩხეიძე და ჯოტო გუგუჩია



შვილიშვილთან ერთად



ჯოტო გუგუჩია მოსკოვში, თავის კაბინეტში

ლესში სწავლის სურვილი ჰქონდა, ხელს უწყობდა, სოფელი მათ სტიპენდიას უხდოდა და სწავლის დასრულების შემდეგ სამსახურს სოფელშივე აძლევდა, ანუ კახათელ ახალგაზრდებს სოფელში გარანტირებული სამუშაო ადგილები ხვდებოდათ, სწორედ ამიტომაც სოფელი ახალგაზრდებითაა სავსე და მიგრაციასაც, გაჭირვების

მიუხედავად, არ უჩივიან. დღეს თუ ქართულ სოფლებს შემოვივლით, შეუძლებელია უდიდესი სიღრმე არ შენიშნოთ, რასაც ვერ იტყვიან კახათზე, მას დიდების ნაშთი ჯერ კიდევ ატყვია. დღესაც ყველა გაკვირვებულია, სოფელს აქვს გზები, ლამპიონები, სკვერები, უნიკალური გამწვანება, სტადიონი. რაც სოფლის იმ

ერთადერთი თავკაცის დამსახურებაა, რომელსაც დღემდე მისტიკის ადგილობრივი მოსახლეობა, დღემდე ამ სოფელს „ჯოტოს კახათად“ მოიხსენიებენ და პირველადაც რომ იყო ზუგდიდის რაიონში, ნებისმიერი ტაქსის მძღოლი მიგასწავლის „ჯოტოს სოფლისკენ“ მიმავალ გზას.

კატო ბერიკა



1920-იანი წლები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი პადაგოგები

პეტროგრადის, მოსკოვის, ოდესის, კიევის, ტარტუს, ყაზანის უნივერსიტეტებიდან საქართველოსკენ დაიძრა უბუნეული გამოგზავნილი ქართველი ერის ინტელექტუალური ელიტა: ანდროა რაზმაძე, პეტრე მელიქიძე, გრიგოლ ნათაძე, კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ჯანელიძე, ალექსანდრე ნათიშვილი, ვასილ ვარაზიშვილი, ალექსანდრე ალადაშვილი, გრიგოლ მუხაძე... ჩამოსულ კოლეგებს ივანე ჯავახიშვილი აცნობდა მომავალი საუნივერსიტეტო საქმიანობის გეგმებს და წვრილმანებს, ბოლოს ყოველ მათგანს მიმართავდა ასეთი წინადადებით: „ლექცია აუცილებლად ქართულ ენაზე უნდა ნაიკითხოთ, ამაზე ნულარ მისაუბრებთ“.

